

180

# ივერია

1881

№ VI, ივნისი.



თბილისი.  
ექვთიმე სულაძის სტამბა.  
1881

## შინაარსი:

I პოლინკა საქს, მოთხრობა ა. დრუჟინინისა, (თარგმანი გნეინა ა. მ. მელიქიშვილისა). . . . .	3
II მილეკ შენ წინა (მიმზგავსება) ლექსი გ. ო-ისა.	113
III შესაფუძვლო წადილი, (ილ. ჭავჭავაძის „ცხორება და განჯის“ გამო“) წერილი პირველი, ნ. სუდადოვისა . . . . .	115
IV სიმღერა, ლექსი, ვლ. მიქელაძისა . . . . .	136
V ხალხური ლექსები . . . . .	137
VI შრიების ბედი . . . . .	138
VII შმეცრების ამაყობა, ი. გოგებაშვილისა . . . . .	157
VIII ახალი წიგნები, (მერცხალი) . . . . .	191

---

P. S. უადგილობის გამო შემდეგის ნომრისათვის გადავდეთ სტატია სხვა ახალ-გამოსულ ქართულ წიგნებსად და ბერეთვე კორესპონდენცია ქუთაისის პანკის კრებასად.

32

43  
1881/34

# ივერია

საპოლიტიკო და სალიბერატურო  
ქურონალი.

წელიწადი მეხუთე.

№ VI

3086 257



თბილისი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა, აჯამანის ქუჩაზე.  
1881

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Мая 1881 г.

## პოლინიკა საქს.

(მოთხრობა ა. დრუჟინინისა.)

(თაჭომანი კნენა ა. მ. მედიჰიშვილისა.)

წინა-სიტყვაობა ორს წერილად.

I.—კოსტანტინე ალექსანდრეს ძის საქსისაგან პავლე ალექსანდრეს ძეს ზალეშინთან.

დიდი ხანია, რაც აღარ მომსკვლია შენგან წერილი, პანტივ-ცემულო პანტაგრუელისტა \*); მეც უნდა მომეგო შენთვის მაგერი, ესე იგი არა მომეწერა-რცა, მაგრამ ამ შემთხვევაში ისევე შეგე ბევრს დაგეკარგადი.

მე რომ ვგვარი მივიღო, ან სამსახურიდამ გამომაგდონ, —ამას ყოველსავე შეიტყობ შენ გასეთებიდამ. რომ მოკვდებ, იქნება ისიც ჩასწერონ.—რასაკვირველია, არ ვიქნები მე აღწერილი ხარისხოვანად, დატირებული სელ-ქვევითთაგან; თითქმის იქამდინაც კი სუთი წელიწადი მიკლია, რომ «ყოველად პანტივ-ცემუელი» მიწოდონ. მაგრამ მაინც კი შეიტყობ, რომ

---

\*) პანტაგრუელი არის რომანი ფრანცუზების გამოჩენილ მწერლის რაბლესი, საესე სამღვდელთა მოქმედების გაკიცხვით და გამბედავის აზრებით.

ესა და ეს საქსი, ჩინოვნიკი, გამორიცხა ამა და ამ სამინისტროს სიებიდანა.

შენს ამბავს კი, თუ არ შენის წერილით, ვერას გავიგებ. შენს ხარ მდიდარი მებატონე, მწვერებს დასდეგ, როგორც არის ნათქვამი ჩვენში ძველთაგან, გუბერნიაში გიწოდებენ შენის გლეხ-კაცების მამად, მაგრამ ვინ არ არის თქვენგანი მამა გლეხთათვის? მას მადი გავმართოთ შეუწყვეტელი მიწამ-მწვერა.

ამას გარდა, მე დღეს წმინდის გულთ მინდა გამოველა-ზაჩაკო ვისმე, ასე რომ წინ ერთი თაბანი ქალადი დავიდე და ვის ვეუბდო-გი არ ვიცი. ჩემს ცოლს ბავშვსავით თავ-ქვეშ თათები ამოწევი და სმინავს; მე კი ჯერ არ მეძინება, რადგან, დასწეველს დმერთმა, დამით მუშაობას ვარ დაჩვეული. ამას გარდა, როგორღაც ვერა ვარ მხიარულს გუნებაზედ, თუძეა მთელი დღე უსიამოვნო არა შემძთხვევია-რა.

დილით მოვრჩი გამოძიებას, რომელიც მონდობილი მქონდა და ისე გავათავე, რომ ბევრს მდიდარს მოვაფხანებ თავსა. მშვიდად, მიუფერებლად და უწყალებლად გამოვაშკარავე ყოველი ეშმაკობა შენის ნაცნობის კომიტეტისა;—პირ-და-პირ საბრძოლველად გამოვიწვიე ის მოსაქმენი, რომელიც ჯერ ვერ შეჩვეულან იმ აზრსა, რომ ხაზინა საერთო საკუთრება არ არის ღ ვისაც არა მგონია, არა აქვს იმასთან სული. მინისტრმა რამდენჯერმე წავიკითხა ჩემი მოხსენება, მოიწონა ჩემი გამოძიება და დღესაც კიდევ მადლობა მითხრა. მე დავბრუნდი მხიარული და კმაყოფილი, რომ ჩემმა შრომამ ამოდ არ ჩაიარა.

ზოლინკა—რადა თქმა უნდა—ანგელოზსავით მშენიერი და ფრინველსავით მხიარული დამხვდა; მეტად მამა, რომ რთილთან მჯდომარეს მოვასწარ; ჯერ ისევ კიბეზედ ვიყავ,

რომ იმის შარბანი სმა უურბეში მიწვარუნებდა. ხომ იცი, როგორ უწყალოდ გულ-გრილნი არიან ჩვენი დედა-კაცები და ქალები მუსიკისათვის; და ჩემი ცალი—მწუხარებით უნდა ვაღვიარო—ამ საგანში ყველას უკან ჩამორჩა. ოპერაში სასალხოდ ამთქნარებს და შინ მარტო პოლეკებისა და გალოპის დაკვრა უყვარს. რაღაც ეშმაკი სპერალ-პოლეკა უსწავლია და ლამის იმის სმით სისხლი წამინდინოს.

ამ უმად კი ის დესდემონას განთქმულს რომანსს იმღეროდა. მრავალი სიემაწვილის და სიჭახუვის წამები მომაგონა ამ მადლიანმა სმამ. ვმადლობ ბედსა, რომ ამისთანა გულის გრძნობა და მუსიკერება მომცა; საკმაოდ ვიტანჯე და ვიანხლე ჩემს სიტოცნლეში, მაგრამ არც ერთი სასიამოვნო წამი არ არის ჩემგან დავიწყებული, არც ერთს ბრწყინვალე გრძნობას არ დაუგარგავს ჩემზედ თავისი ძლიერება.

მე არა ვივარავდი ჩემს სიამოვნებას: წმინდა და მადლი სმა პოლინკასი აღელვებდა მთლად ჩემს გულსა და ამას ვიფიქრობდი, სუსტის სულიდამ ვერ წარმოითქმის ასეთი ძლიერი სიმღერა, და თუ არის სადმე სული, მიუგნებელი არ დარჩება მეტკი.

ეს კი ასეა, მაგრამ პოლინკას სიმღერის კალო სრულებით არ ეთანხმება მუსიკის სმოვანების პირობებს. ეს იმღეროდა სეკლიანს სმას ისე მარდად და მხიარულად, როგორც მხოლოდ «მუნამბ:სს» შეშვენის. თითქო დაუინებით ავკანებდა სმას, სსვა-და-სსვა რიგად ბოლოებდა ყოველს ხანას, როდესაც ამისთანა მწუხარე სიმღერა ერთისა და იმავე ნაღვლიან კალოთი უნდა ბოლოვდებოდეს და ამ სახით გულიდამ განუშორებელი და გამკიჩა გრძნობა გამოინატოს.

მე მივხვდი, რომ მნიშვნელობა სიმღერისა ამას კარგად

ვერ გავგო, და ვგონებ ანტ კი ექნებოდა საძღანძვე გაგონი-  
ლი დეზდემონას ამბავი. ოპერის წარმოდგენას ჩვენში მხო-  
ლოდ ესლას აპირებენ და შექსპირს ჯერ ჩვენ არა ვკითხულობთ,  
ამიტომ, როდესაც გაათავა სიმღერა, გვერდით დავისვი, ხუმი-  
რობით შევამცნევენ შეცდომილება იმის სიმღერის კილოსი  
და ბოლოს გუამბე ჩემებურად ოტელოსი და იმის ცოლის ამ-  
ბავი. ამან მომისძინა სიამოვნებით და მაშინვე ვენეციელ მავ-  
რის სახელი მიწოდდა. ვერ მივმხდარვარ რისთვისა სთქვა ესა:  
ეჭვიანობა დამწამა, თუ თითონაც უნდოდა ეთქვა რამე ჩემს  
ნაამბობზედ.

გაიციე, გაიციე ჩვენს მეცნიერს ყბედობაზედ. წერილ-  
ში ეს ცუდად გამოდის, მაგრამ საქმით კი მგონია, იმაზედ  
უკეთესი სიამოვნება აღარ იქნებოდას, — როდესაც მისდევე ძვირ-  
ფასის ბავშვის აზროვნებას, შენს გვერდით აყენებ და ასევე  
ჩვენის საუკუნის ვითარებას; აგრძნობინებ ყოველისფერს, რაც  
კი შენ პოეზიური გგონებია და გგონია. უნდა გავიტყუდე და  
გითხრა, რომ მე ვარ არაფერი ჩემის ცოლისა, ვარ არაფერი, რა-  
გორც ბავშვი, როგორც მოსუცი, როგორც შეშლილი. თვით  
ბედმა დამიფარა მე ამ გრძნობისათვის: ნაადრევად გამესნა  
ჩემი ძალ-ღონე და პირველმა სიყვარულმა ჯერ ისევე სიყმაწვი-  
ლის ხანში შემიპყრა. მე მაშინ თორმეტის წლისა ვიყავი. ღმერ-  
თო, რა გრძნობა იყო ის გრძნობა! დიდ ხანსაც ტრიალებდა  
იგი ჩემს გულში; მტანჯავდა და ისე ჭჭრებოდა; და აი რის  
გამოც ჩემს სიჭაბუკეში ყოველის ფერი გამოვცადე, მაგრამ  
ჭეშმარიტი სიყვარული დედა-გაცისა კი არ გამომეცადა.

მთელი დღე პოლინკა თავს მეკვებოდა. კატასავით სტო-  
და ჩემს გარშემო, მაჩვენებდა თავის განკარგულებას ოჯახში,  
რომელსაც მხოლოდ ერთი წუნი სჭირს: ყველასავე ერთ-



თი-ათად უფრო ძვირად ღირს, ვიდრე სხვან; მეუბნებოდა, — მე უსიამოვნოდა ვარ, როდესაც შენ განცულებასში საქმობ, და თან ერთი უცნაური აზრი წარმოხატვა ჩემს საქმიანობაზედ: ამის ფიქრით, ჩვენ ჩაკეტილნი ვსხედვართ ოთახებში, ვწერთ რაც კი თავში გავგვიფიქრებს და არ მივდევთ ნამდვილს საქმეს; მეუფროსენი სჩნდება ნაშრომსა და აჯილდებენ იმას, ვისაც უფრო ღამაზად აქვს დაწერილი. წარმოიდგინე, რა შიშში უნდა ყოფილიყო პოლინკა ჩემს გამოხამ იცი რა ნაირად ვკვლახნი.

რასაკვირველია, თითონაც იცინოდა, როდესაც ამ ამბავს მიაბობდა, მაგრამ, მე კი ეს სიწირველე ანაფრად მომწონს. ჯერ ვიფიქრე, ამხსნას ამისათვის ზოგაერთი რამ, მაგრამ საკვლავოდ გადავდე სამსახურის საიდუმლოებზედ ღამაზაჲ. საღამოზედ მეც თითონ გავუმწვილდი და კინაღამ გუგუბის თამაშობას მოვუყევი ამასთან. არც თუატრში მობინდომას წასვლა, თავის მამიდასთან წასვლისაც უარი მითხრა, და საღამო ჩვენი წარმოდგენდა უტებესს იდეალს ოჯახის ბედნიერებისას. რომელიც შეშურდებოდათ ჩამც თუ აქაურს პირ-ღია მოჩაღისტებს, — შენც კი ვერ იბოვიდი საგანს შენის სატი-რიულის ჩიჭისათვის.

ჩვეულებისამებრ მე ჯერ არ მეძინებოდა და მანამ პოლინკას ძილი მოსდიოდა, ვიჯექ იმის ქვეშაგებზედ, დავჩერებოდი იმის სახეს, რომლის ცქერითაც მეტყობა ჯერ ვერ გამაძლარვარ. მშვენიერი იყო ეს სახე იმ წამებში: ძილ-მოჩრეულს გრძნობის ორგანები შეუჩერდენ და აღარ იკარებდენ გარეშე საგანთა შთაბეჭდილებას. იმდენი ხსნი ვუყურე და ვუყურე, რომ თავში სამძიმო ფიქრები აღმეძრენ.

პოლინკას განსხვავებული სახის მშვენიერება ჩნის ამისა

ბავშური სიტუაციები. ზეგითი ტუნი ქვეითსად დაშორებული-  
 აქვს—ეს არის მშვენიერება უმაწვილისა და არა დედა-კაცისა.  
 მთლად სახის მოყვანილობა ასეთი მრგვალი აქვს, რომ არ-  
 სად არ ეტყობა სასუსხედ ჩაღრმავებული ადგილი. პოლინკას  
 ეს ძალიან უხდება, მაგრამ ჩემის თქმით, ცხრამეტის წლის  
 ქალს შეიძლება, რომ არა ჰქონოდა ეს ღირსება.

ეს ნიშნები ასე იუგუნენ შეთანხმებული პოლინკას ხასიათ-  
 თან... არა, ხასიათთან კი არა—მის აღზრდასთან, რომელიც  
 მიანიჭა სამაგალითო დედ-მამამ... დარდუბადა იმით თავს! მაგ-  
 რამ დედ-მამა ისე დამნაშავე არ არის, როგორც საზოგადოე-  
 ბა, რომელიც თავის სხვა-და-სხვა მოთხოვნილებით კაცები  
 ბავშვებსად გადააქცია.

მე მომაგონდა ჩემის ცოლის ცხოვრება ქმრის შერთვამ-  
 დე. ეს იყო განთქმული თავის უმანკობით და სიწირულით.  
 მე კარგად მახსოვს მთელი ხროვა ამის მეგობრებისა, რომელ-  
 ნიც აღტაცებითა დნებოდენ, როცა ეს ცელქობდა ან ზანსიო-  
 ნერულს მოსწრებულს სიტყვას ამბობდა. სულელი უმაწვილ-კა-  
 ცობა ჩურჩულებდა: საკვირველი ბავშვია! რა ანგელოზია!...  
 ამას კი არა თქმობდენ, რომ ჩვენ დედა-კაცები გვეჭირვება  
 და არა ანგელოზები. როგორის ამპარტავნებით მითხრა მო-  
 ხუცმა მამამ ქორწილის დღეს: გაუფთხილდი ჩემს პოლინკას,  
 სრულებით ბავშვია!

ნუ თუ თავში არ მოუვიდა პატივ-ცემულს მამას, რომ  
 იმ კაცისათვის, რომელიც თრეულს ქვეყანაზედ, მკვლარს ცხენ-  
 ზედ, უოფილა ცხენს-ქვეშ, და გამოსალმებია მწუკმსურ ოცნე-  
 ბას.—ბავშვის სახელი დიდი საპატიო სახელი არ უნდა იყოს!  
 სიწირული, ბავშვი, ზანსიონერკა! ყველა ამ სიტყვებს დიდი

ძალა აქვთ ქალების თაყვანის-მცემლებზედ, მაგრამ ჩემთვის კი ეს რა შეღავათია?

აი ერთი წელიწადია, რაც ვცდილობ მოკუქმსადო სატრფიანო და მანუგაშებელი შემწე ჩემს გატანჯულს სულსა, რომელსაც, ხუმრობა იქით იყოს, ამხანაგი ეჭირვება, ეჭირვება ჭეშმარიტი მხიარულება... წმინდის გულით ყბედობა... და აი წელიწადია, რაცა ვწვალობ, გაგაცოცხლო ეს პაწია კვლავი სტატუა! ჩემი ცდა ამაღა და მეც შორსა ვარ წარმატებასთან...

პირველი ჩემი წარუხვა იყო, გამენათლებინა პოლინკას ესტეტიური გემოვნება. გარს შემოვანვიე ხელოვნებითი საგნები: ყოველისთერი მშვენიერი იყო, რასაც კი ეს ხელს მიაგარებდა. და რა გამოვიდა? ჩემი ძვირფასი სურათები მტკუნში ეყარნენ: ყვავილები დაჭკნენ უთაურობის გამო; სახლის მართულობა, რომლისთვისაც იმოდენი ვისეთქე თავი, არც მოსწონს, არც იამება.—

ამოდ ვცდილობდი, მუსიკისთვის წამესაღისებინა: რაილთან ჯდომა ამისთვის სასჯელია. თუმცა მშვენიერი ხმა აქვს, სიმღერისა რცხვენთან უცხებთან და თითქმის ჩემთანაც. იმღერის თუ არა, რადესაც მარტო რჩება, —არ ვიცი, და ჩემთან კი დღეს პირველად დაუგრა სერიოზული პიესა.

რას უნდა მოველოდე მე წიგნების კითხვისაგან? სწორე კითხრა, იმდენი ბორბობა მინახავს ამ დაყინებულ ჩვეულები-საგან, რომ ვშიშობ, ძალა დავატანო და წიგნების კითხვას შევაჩვიო. ერთხელ კი ვცადე და მივეცი უარყო-სახლის რომანები; დარწმუნებული ვიყავ, რომ დედა-გაცი უფრო მიხვდებოდა დედა-გაცის ნიჭსა, მაგრამ სულ სხვა რიგად მოხდა: პოლინკამ ამოქნარა, ამოქნარა და ზიზღით გადაყარა წიგნები.

საქმიანობა ამისთვის უცნობა და გაუგებელი. ეს იმას უფრო ვერ აწეობს, რაც ჭკუასზედ ახლა და გონიერულია. არც კი სურს შეიტყოს, როგორია ამის ქმრის სამსახური და ან ღამით რად შეიკეტს ხალძე სძინად თავის კაბინეთის კარებს.

მე ვხედავ ახლა კი, რომ ყბედობას მივყავ ხელი და ბევრიც წამოვრეშე. დეე ასე იყო; უმიზეზოდ დათარვა თავის გარემოებისა ისეთივე სისულელეა კაცისთვის, როგორც ისა რომ ყოველს გამკლელ-გამომკლელს თავის აზრით ყურები გამომუშედოს. ან კი მე შენ რად უნდა მოგერიდო: ტყუილად კი არა ვსწავლობდით მე და შენ ერთად, ერთად დაკეთრეოდით ჭკუასანზედ და ერთად ვიბრძოდით კავკასიაში. რასაკვირველია, ყველა ეს თავ-თავის დროზედ არ მოხდა: ჯერ დაკეთრეოდით, მერე ვისწავლეთ და ძილსაოქიურ თეორიის დასაკვირვებინებლად გავწიეთ კაცობრიობის მოსასპობად. ჩვენ მანც მუგობრები ვართ, თუმიცა დიდი ხანია სხვა-და-სხვა მხარეს წავიდ-წამოვადით. შენ მოემწევი შენს არკადიაში, მოისკენე, მოშორდი ჭკუენის დეკასა და შოთასა; მე კი გავმიჯნურდი, დაკჭარწილდი და ნათლად დავინახე, რომ ჩემის რომანის დაწყება პირველის გვერდიდანვე მოძინდება.

ამ წერილმა მრავალი სამწუნსარო ფიქრები ამიძალა და ამასშოთა, როგორც თვრამეტის წლის ყმაწვილი. მომსურდა, კიდევ დამესედა პოლინკასთვის და გამეთანტა ეს ფიქრები, ამის გამო დაკავდე ჩემი წერილი და მიველ მასთან. პოლინკას კმინა გადახდილს ბავშურად; სახეზედ ანგელოზის სიმშვიდე ეტყობოდა. მინდოდა, მეკოცნა; მინდოდა, არ გამომეკვიძებინა და ნელ-ნელა მივკავრე ტუჩები. გული დაუდგრომელად უცემდა, ხან ნელა, ხან ისე აჩქარებით, თითქმის რაღასაცა აღტაცე-

ბით უამბობდა... და მეც დიდ ხანს დაუუღებელი ვუგაღებდი უურს ამის გულის ძველსა.

ამ ტკბილს წამებში მე კი არა ვცოცხლობდი, — ცხადლივ ვროტავდი. მე მეზმანებოდა, რომ ეს დაუღვრომელი გული მიამბობდა ჩემის პოლინკას ცხოვრებას: როგორ არ აძლევდენ ნებისა ემაწვილობაში გართობოდა იმას, რაც გაუმაგრებდა სულსა და სოცრსა, რა რიგად სტენდენ ამის თავს ყოველ-გვარ წაქმარა აზრებით და ბოლოს, საქმის დასამთავრებლად, როგორ ჩაჭკეტეს ვიწრო სახლში, რომელიც სავსე იყო ამხანაგებითა და დამრიგებლებით. ეს გული მიამბობდა მე, როგორ ელანდებოდა ხანდის-ხან ტრიალი მინდორი, ტყე, რომელსაც კინწირობი უქაროდ ერყუვა და მზე, რომლის სხივიც წმინდას ტბაში გამკამებს. მჩავალი ამ გვარი რამ მიამბო მისმა გულმა, მაგრამ არ მინდა მოთმინება გამოგილიო... შენ ცოლიანი არ ხარ, არ ხარ არშიეი და ვგონებ აღარც გააჩმიედები.

მანც საკმაოდ გეჭნება შენ გამომსატყველობა, რომ მისვდე, რა გძნობა ანთო ჩემში ამ ამბების შემდეგ.

ისეუ ამ ტკბილს ყოფაში ვიყავ, რომ გავიმეორე ფიცი, აღვზარდო პოლინკა ჩემებურად, თუმცა ამისთვის მთელ საზოგადოებასთან წაკიდება მომინდეს. მე დავიფიცე სრულიად გაგუხსნა ამას ნიჭი, გავსაღო ამის გონება დაუმოკიდებლად, ჭეშმარიტის თვალთ შევანედვინო საზოგადოებისადმი და ამ გვარად გამოვიყვანო ეს ღამაზის მაგრამ სულელ დედა-ჩაბების წრიდამ. მე დავიფიცე, გავამაგრო ამისი სულის ძალა, მივძაბოთ იგი ყოველის სიკეთისადმი და გავფანტო სისლი ხარხარის და უზრო წრთველობისა, რომელიც აღჩნობს ჩემს საწყალს ბავშვსა.

მე ვგრძნობ, რომ დამნაშავე ვარ პოლიტიკოსთან: ამ წელიწად-ნახევარში მე ვერ გარდავექმენ რაღაც მსურდა, და ვერ გარდავექმენ სწორედ იმიტომ, რომ ხანდისხან ამასთან მეც თითონ ვუმაწვილობდი; ამის ტურფა ნაკლებულაბა მეც მართობდა. ამ წელიწად-ნახევარში ეს ქალად დადგებოდა. ამას მარწმუნებს მე ამისი მარჯვე დაცინება, სიფიცხე და ბანასის დროს ქვეითის ტუჩის კვანთა. ეს ყველა ხასიათის ნიშანია. მე ვერ შევასრულე ყველა იგი, რის შესრულებაც შემიძლო. დიქტომა იხებოს რომ სულელურ აღერისის წუთები ძვირად არ დამჯდამოდეს.

როდის გავათავებ მე ჩემს შრომას? როდის გავივლის საჭიროება პოლიტიკას აღსრდის? და თუ ჩემი წადილი ამისრულდა, რა ბედნიერი ვიქნები მაშინ! რა რიგად უსრუნველად გამოვალ ამასთან ხელი-ხელთ გაყრილი ცხრვრების მისატებებლად; როგორ მარჯველ დავუხვდები ყოველს იმის ავსა და კარგსა და შენც ნახავ როგორი ჭკვიანი, კეთილი და მხიარული იქნება ჩემი პაწაწა პოლიტიკა!...

## II.—პოლინა ალექსანდრეს ასულის საქისიგან ანნა კრასინკის ცოლთან.

ბუბნიერესი დღე ჩემის ცხრვრებისა ის იყო, როდესაც მომივიდა შენი წერილი, ჩემო ყოვლად მშვენიერო ანეტავ. მე წარმოვიდგინე ჩემი თავი ჩვენს თეთრს წალაში, ჩვენს ხანსიონში, რომელსაც ბევრსა ვწუევიდით, მაგრამ დამერწმუნე, იქ ბევრი მხიარულება გამოგვივლია. დედამ მომიტანა შენი წერილი თავის დროზედ და შეგიძლიან მოსკენებით იყო: ის ჩემის მეტს აწავის წაუკითხავს. მაშ აქამდის იმიტომ არა მწერ-

დნი, რომ არ იცნობდი სადა ვცნობდნო? წიგნის ბოლოს წაიკითხავ ჩემს ადრესსა. \*)

მე კი ვვიქრობდი, — შენ შემომუღე, იმიტომ რომ შენი ძმა არ შევირთე? ჩემო სულე, წარმოადგინე, მხოლოდ ეს, რომ მამა-ჩემს სულ ის ეზმანებოდა, საქსისთვის; მივეთხოვებინე. მთელს ნათესაობას არა სურდა ეს ქორწინება, ჩემს საწყაულს კოსტიას უცნაურს კაცს უწოდებდნენ, თვით-რჯულის და დემეტრე იცის კიდევ რასა. მამა უურს არავის უგდებდა და მეც, სწორე ვითხრა, მინდოდა კოსტიას შერთვა, თუმცა დანიშნის წინად ძალიანა მძულდა, რადგან ჩვენს შინსიონს ავად იხსენიებდა. ამავკ დროს შენი ძმა საწამლებლად წავიდა... ეტყობა, ანეტავ, ღვთის ნება ასე იყო.

შენა მწერ, რომ ჩემი ქმარი არის მონაწილე და ცუდის სახისა. შენ თითონ, ჩემო ანგელოზო, ამ რჩის წლის წინად ამას რადი ამბობდი. ამისთანა პატიოსანს და გამბედავს სახეს, როგორიც საქსს აქვს, კერსად კერს ნახავ. ცოტა თავმოტყუეპილი ვია, მაგრამ მე დავათანხმებ, რომ პარიკი დაიხუროს. წლისა ჯერ რც-და-თორმეტის არის, ისიც მასში უნდა შესრულდეს.

მერე მწერ, რომ რატომ სამხედრო სამსახურში არ არისო. «შენ უკან ჩამორჩეობილხარ, ჩემო ბავშვო,» გეტყოდა ჩემი ქმარი: «უნდა დროს მისეღვით ვიცნობდნო.» ესლას სამოქალაქო სამსახურის პირნი არიან პატივში. ამას გარდა კოსტიას სამხედრო ნაწილშიაც ყოფილა, რამშიაც.

არცა ვნახობ, რომ მე ეს შევირთე. მთელი ეს წელიწადი ბედნიერი ვიყავ ჭერთს წუთსაც არაფრისთვის შევწუხებულვარ.

\*) არც ადრესი და არც რიცხვი წიგნის ბოლოს არ არის.

ხანდისხან მარტონი ვისხედით სოლმე დიდს ღამეებში—დასუ უფრო მხარულად ვიყავი, ვიდრე ყრილობაში. რა არ უნახავს საქსსა, და სად არა ყოფილა? როდესაც ამას ეურს უგდება, ასე გვინია, შენ თითონ დადისარ სხვა-და-სხვა ქვეყნებში ან უუურებ იმისთანა სავანს, რომელიც ფიქრადაც კი ვერ წარმოგედგინა.

ვცხოვრებთ ჩვენ მდიდრულად, მაგრამ დიდს წვეულებას კი არა ვმართავთ სოლმე. ყველა ჩვენი ნაცნობები საქსმა ცალცალკე დაჭყო. თუ ჩვენთან სადილად არიან, ვსთქვათ, ჩემი ხათესაგები, მაშინ ეს თავის ნაცნობებს არა ჰმადიებენ. ამას ძალიან ვხვარობს დედა-ჩემი. ამის ნაცნობები სულ მსატყვობი არიან, მემუსიკენი და ყმაწვილი ჩინოვნიკები.

ნუ შემჩისხავ, ჩემო ანგელოზო, რომ მე ვესარჩლები ჩემს კოსტიასა. ამას სხვა მოსარჩლე არავინა ჰყავს. ბუერს არავის უყვარს ესა: ზოგი უცნაურს ეაცს ეძისის, ზოგს კიდევ ეშინიან. მაშინ ერთხელა სთქვა, რომ საქსი მოუსვენარი კაციაო და ამის გამო მრავალი პატივ-ცემულია პირნი გამოვადენ სამსახურიდანაო; მე ეს ვერ გამოვიან. უნდა ნახო თავის სახლში რა კეთილი და მშვიდობიანია. რა სასაცილოდ დაუკრავს სოლმე თავს ჩემს მოხსლეებს და ერთხელ კიდევ იტი, რაზედ მივასწარი? თითონ იღებდა თავის ტანისამოსს შვანადამ, რადგან ამის მსახური სადილას საჭმელად წასულიყო. ამისთვის კი ჩარგა დავტუქსე.

კიდევ ამბობენ, რომ ადრე ვიღასთანაც დუელები გასულა; მე მეშინიან, გამოგვითხრო ეს ამბავი—ვაი თუ საცოდობა მოუხდინოს რამე! ნუ თუ მარტო თავს იკატუნებს და კეთილად გვეჩვენებს!

ამის სხვა უცნაურს მოქმედებას ანგარიში არა აქვს. ერთ-



სულ ერთი ბლუჯა იუფი დასარჯა და რაღაც გახუნებული სურათები მიყიდა საჩუქრად. მერე რა სურათები! რაღაცა ძრახუბის დასატული, ანუ აკანკები მთებში. იყიდა კიდევ ისეთი სტატუები, რომ მრცხვენთან ოთახში დავდგა. ჩემის კრატის თავით დაჭკიდა ძველი სურათი ერთის მშვენიერის ქალისა და ამბობს რომ ეს წმინდა ცუცილიას სატი არისო. ვინ იცის საიღამ გამოაჩინა ეს წმინდანი!

ჩემს ნათესავებს ძალიან თავაზიანად ექტევა, მაგრამ არ უყვარან კი და არც სასიამოვნოდა აქვს მათთან ულაზნა. დიდი ხანი არ არის რაც ამ საგანზედ მქონდა ამასთან ღაზარაკი. დიდ ხანს ჩუმიდ იყო, მერე ღაზარაკი გადამისხვათერა. მე მინდოდა შევბასებოდი და სიტყვა ისევ მამა-ჩემსა და დედა-ჩემზედ ჩამოგუგდე. მე იმათი დიდი მოვალე ვარ, ვუთხარი მე სხვათა შორის. ბევრი სიკეთე მასსოვს-მეთქი.—მე კი მართლ ერთი მასსოვსო, მიზანუსა იმან.—რა მეთქი?—ისა რომ არ დასცალდათ სრულებით შენი გათუტებაო.

დაღ, ეს ამ გვარს ქების შესმასში დასელგებულა. არც ჩემი ქეობრები უყვარს. შენ ურცხვს დედა-კაცს გქმანის, იმიტომ რომ რაღაც გათხოვი წამ და უწუმი გვეჩურჩულებოდი სოლმე.

სშირად ვიფიქრობ, სეტა ამ კაცს უყვარს ვინმე-მეთქი, თუ არა? არც ქორწილამდე, არც მასუგან არ უთქვამს ჩემთვის, რომ ცოტათი მანც ვუყვარვარ. «ჩემი სიყვარული ცნოვრებაში გამოინატებს ღ არა სიტყვებშიო,» სშირად ამბობს სოლმე. ნუ იტყვი რომ ან სელები დამიკონოს, ან დამიჩოქოს. რაგორ იქნება! გულზედ ჰერანგი დაეკმუტნება; ტანისძოლი წაუხლებს. ჩემთან ისე არ შეძოვა, თუ ან ტრავი არ აცვია, ან სერთუქში არ არის გამოტომული. დიდ სიბრყვედ მიანხია, თუ

ძრავის მაგიერ, სასაფხულო პალატოს ჩანძის გაბედავს! წოდებ  
 არა სწერს ხალხზე, მთელი ღამე კითხულობს, გათენებადის და  
 მამა ამბობს, რომ ამისი წიგნები სულ მანებულები არიან...  
 მე შეშინდა, ავად არ გამხდარიყო ამდენის ჯაფისაგან და  
 ერთხელ ღამე შევედი იმის კაბინეტში. გვერდით შემოყრილი  
 ჭქონდა წაღება გველები, ძვლების ჩონჩხი, ქვეები... წიგნებს  
 ხომ ანგარიში არა აქვს. დამისვა თავის სელსუდ და მიაძობ  
 ისტორია ზოგიერთის წიგნებისა და ნივთებისა, რომელიც  
 სტოლზედ ეწყო. ამ კაცს ყრუც კი ყუჩს დაუგდებს.

მეც მომიინდა კითხვა და დილით ყოჩყ-სანდის რომანე-  
 ბი შემომიტანა, რომლებზედაც, — გასსოვს, რა საშინელებას  
 ღანანაკობდა შენი ბიძა-შვილი. ამასთანავე კოსტიამ მითხრა  
 რომ ყოჩყ-სანდი ქალი არის და არა კაცი და ამიტომ უფ-  
 რა აღვიღად გაიგებ და შეიყვარებ იმის თხზულებებსაც. ოხ,  
 ჩემო ანგელოზო, თუ ეს მართლა ქალია — რა ურცხვი და მო-  
 საწყენი ქალი ყოფილას! ერთს ამის რომანში კაცი შეიპარება  
 ყმაწვილის ქალის საწოლს ოთახში და მთელს ღამეს იმის  
 ქვეშაგებთან სდგას. იმ წიგნებში, რომელიც შენ პანსიონში  
 მოგქონდა, იყო ხალხი აგრეთვე ამისთანა შემთხვევა, მაგრამ  
 იქ სამასხარად სწერდენ: იცო, ცუდია, მაგრამ მაინც იცინი;  
 ეს წიგნები კი ისეთი მოსაწყენია, რომ მეორეს დღესვე გა-  
 დაყვარე.

ოხ, რა გულ-ცივი რამ არის კოსტია? ერთხელ ისე გა-  
 მაჯავრა, რომ ვიტირე. როგორღაც უხეჩხულად ვახელ სელი  
 და საშინლად შეკრთა. — ოჰ! ეჭვიანი ყოფილხარ! — ვუთხარ  
 მე ხშირებით.

— ძალიან ეჭვიანი ვარ! მიპასუხა კოსტიამ.

— მაშ მითხარ, რას იხამ, რომ გიღალატო?

— ეჭ! ამ დროში ვიღა ღაღატობს, თუ ღმერთი გწამს!

— მანც?

— როგორ უნდა მიღაღატო? სიკეწებით?

— სიკეწებით! განა არ შეიძლება მოხდეს, რომ შევიყვარო ვინმე შენი მეგობართაგანი?

— ძალიან შეიყვარებ?

— ძალიან, ძალიან, სიკვდილამდე, საუყუნოდ, უჭკუოდ, უგონოდ.

თვალები ისე საშინლად ანთო, რომ შეკვინდი.

— რაღა მინდა მე ცოლი, უჭკუო და უგონო? მაშინ გაკატებდი და შორს წავიდოდი სადმე.

— იმას რაღას უწამდი?

— იმისი რა ბრალის?

მე ბავშვსავით ავტირდი; ამისთანა უგრძობლობა ვის არ გააშფოთებს. ძლივსღა დამახუმა კოსტიამ. ნეტავი რისთვის გავიღა დუელში?

ფუფს ჩემი ქმარი ბეკისა ჭყანტავს და თავის შემოსავლისათვის კი სრულებით არც ფიქრობს. იმ მამულში, რომელიც მე მომიტყეს, ასეთი ცვლილება მოახდინა, რომ შემოსავალი ერთი-ორად ნაკლები გვექნება უწინდელზედ. მამა სომ კეთილია, მაგრამ ამ ამბავმა მანც განანხსლდა! «გაუჭირებლად ღაღის შემტირება» — ეუბნებოდა ჩემს ქმარსა — «ცუდი მაგალითიაო. მეზობლების გლეხებისათვის და მთლად მოსპობს შიშსა და მოწიფებებსაო.» კოსტიამ კი სულ იტინის და ფურს არც კი უგდებს იმის ღაზარას.

ძალიან უყვარს კარგი ჭამა-სმა. ვინ იცის მართო საჭმელი რამდენი გვიჯდება. სულ მესვეწება ბევრი სჭამეო, სტაქანს ღვინით მივსებას სოღმე და მარწმუნებს რომ ამის სადილები

მელზედ და ნახშირზედ უფრო გემრიელია... ამას სულ ჩვენზედ ამბობს, აი ჩემო სულა.

კიდევ რა გითხრა, ანეტავ? მაგრამ კი ნუ გამიჯავრდები... როდესაც ეს ძიელ გამხიარულდება, უბძანებს ხოლმე საღამოზედ მოართვან პატარა ბოთლით შამპანსკი, და მე და ეს ვსვამთ, ვსვამთ, ჩემო ანგელოზო, სანამ ბოთლს მთლად არ გამოვცვლით! ამისთანა უცნაურთან შენც გაუცნაურდები.

მე შენ ვეკვლას ამას არ მოგწონდა, ჩემო საყვარელო პაწია ანგელოზო, თუ ვფიქრობდე, რომ ჩემი ქმარი სულ ესეთი იქნება, როგორც ეხლა არის. დიდი ხანია, ვცდილობ ხასიათი გამოვუცვალა, მაგრამ ვერ მომიფიქრებია, როგორ გავხადო სხვა ადამიანების მზგავსი. როდესაც ვთხოვდებოდი, დედა მეუბნებოდა: «გახსოვდეს პოლია, რომ ჭკვიანს ქალს შეუძლიან ყოველისფრით გადააკეთოს თავისი ქმარი. თითონ კოსტიასაც ხშირად უთქვამს, რომ ლამაზს დედა-კაცს შეუძლიან სრულიად გამოსტვალოს კაცი».

დედა-ჩემი ეხლაც ხანდისხან, როცა საჭიროა, მარტებს ხოლმე და მგონია კიდევ რომ კოსტია ეხლა ისე ადარ უხიანკობს, როგორც პირველ ხანებში ჩადიოდა. იმედი მაქვს, როცა მოხვალ, იტანცაებს პოლკას შენთან და ჩვენს კარგს მეგობრებთან, გადაჭყრის თავის სამაგელ წიგნებს და... აი მგონია იმისი დროშკა შემოვიდა ეზოში.

მშვიდობით, ჩემო ანგელოზო, ჩემო უსაყვარელესო. წეწილებს ნურავის უჩვენებ... კაი თუ გზასედ გახსნას ვინმე!...

## ორი წერილი შირველის თავის მატერ.

I.—პავლე ალექსანდრეს ძის ზალეუნიისაგან კოსტანტინე ალექსანდრეს ძეს საქსთან.

გამარჯვება, ჩემო კარგო საქსო, ჩემო საყვარელო, ჩემო ახალ-გაზდა ანჟიო.

შენი საქმე კარგად მიდის: ღამით უზინარ ყმაწვილს ცოლს ქვეშაგებზე! სიბერის დროს მანც უღიწყ მიჯნურობას, — რაც გინდა სთქვი, მაგრამ ყმაწვილს კი ვეღარ დაგიმასებ. მე და შენ ბებერი მამლები ვართ, თუმცა კი დიდი ხანი არ არის, რაც რც-და-ათს წელიწადს გადავცილდით. საქმე ეს არის, რომ ჩვენ წინაღვე წარვიტაცეთ ცხოვრება, რა-გორც წარვიტაცებდით ხოლმე წინად საზინადრისაგან ოთხის თვის ჯამაგინსა.

მაგრამ ვის რა საქმე აქვს? იმიჯნურე, მეგობარო, იმიჯნურე! მე ჰატივის-მცემელი ვარ მიჯნურებისა და თუ კანონიერი ქორწინებაც გამოერევა — მშურს კიდევ. კარგი დაქორწილდა — და არის ბედნიერი ერთის წლით, ერთის თვით, ერთის კვირით. ამ ხანში მანც სრული ბედნიერია და ამიტომ ქორწინება გონივრული მოგონებაა.

ცუდის გულის თუ მიიღებ ჩემს მსუბუქს კილოს ქორწინებასა და იმის საიდუმლოებაზედ. მე რომ ოცის წლისაზედ მეტი არ ვიყო, უღანძღავი ვერ მომჩებოდი და სამინდად გაკვილავდი ოჯახობასაც და ცოლ-ქმრობასაც, ამიტომ რომ უოკელისფრის ღანძღვა და გაკილვა შირველი ნიშანია მეტის-მეტის სიყმაწვილისა. ჩემთვის კი დიდი ხანია რაც გაიარა იმ

დრომ, როდესაც ჩემისაკე რსუნჯობით შეკვეთვით და ჩემს მიუკარებლობას აღტაცებაში მოკვავდი.

მე დარწმუნებული ვარ, რომ შენი ცოლი ბევრი არა არის რა; არის ერთი ნამტყუა ჭკვიანი ანგელოზი, ცუგრემელა და თვალთმაქცი.

შენ იმავე თაობითვე გასაკვირველი გემოვნება გქონდა და ამით განთქმული იყავ: «საქსმა აქო ეს ნივთიო,» რომ იტყოდენ, ბასი შესწუდებოდა ხოლმე. ამ ზატვიის-ცემასში იყო შენი გემოვნება სხვათა მოკვდავთა შორის, ამას გარდა შენის პოლინკას დიწსებას ერთი გარემოება კიდევ მარწმუნებს.

არ არის დიდი ხანი, რაც აქ უცხო ქვეყნებიდან მოვიდა ერთი თავადი გვარად გალიცვი. არ მახსოვს, ვისი ადიუტანტი არის; ჩინით კი შტაბ-როტმისტრია. ის ჩამოხდა თავის დის სახლში, რომელიც ჩემს ახლო სტოკოვებს. ეს იმისთანა ქალია... მაგრამ ესლა კი დუმილის ნებას ვითხოვ. ეს ქალი იწოდებოდა შენს ცოლთან ერთად სასწავლებელში და ცდილობდა რომ ეგ ამ გალიცვისთვის მიეთხოვებინა:

ამას ისეთი იმედი ჰქონდა თურმე თავის-თავისა, რომ არ გამოუცხადა არც პოლინკას, არც დედ-მამას და წავიდა ზეც-ცურის წყლების სასმელად, რომელიც ჰეტრირბურღშია ც ბევრი ისუილება. წყლების სძის დროს ასცდენია თავის დანიშნულს. ეს უბრალო ამბავი შენც გაგონილი გექნება.

საშინელი იყო თურმე სასოწარკვეთილება გალიცვისა, რომელსაც, როგორცა სჩანს, ცხოვრებაში ყოველისთვის ადვილად უსრულდებოდა. განმარტოებულ კლდეებში და ბნელს ტყეებში გაჭიოდა ის თურმე აღესიანს სასელებს, რომელთაც მიმართავდა შენს ცოლს და საშინლად ღანძლავდა თავის

დასაც და შენცა. ეს ავად გამხდაჩიო, ცოფის მზგავსად, მე-  
რე დამშვიდებულყო და შერიგებოდა დასა. გაიწნო ამისი  
მეზობლები და სსვათა შორის მეცა. პეტერბურღში წამოსკლის  
წინად მითხრა, თუ გნებავთ თქვენს მეგობარს წერილს წავუ-  
ღებო.

მე ასე მგონია, შენთვის საჭირო არ იყოს ამას დაქმა-  
ლა. მერე ნაცნობებიცა ხართ და შესვდებით ერთი-ერთმანერთს  
საზოგადოებაში,—მამსადაძე უნდა ამისი სურვილი ამესრუ-  
ლებინა.

აი როგორ მოხდა, რომ ამ წერილს მოგიტანს თავადი  
გალიცვი, პოლკისა და ვალისა პირველი მოტანცავე მთელის  
რუსეთის სასელმწიფოში.

მე შენ გიწნობ, პატრუ-ცემულა მეგობარო. ამას რომ  
წაიკითხავ, ჩაიწინებ, იქნება ჩემი წერილი შენს ცოლსაც აჩუ-  
ნო და გულში გაიიქრო: «ვილაც ადიუტანტი, უხეირო თა-  
ვადი! პოლკის მოთამაშე? ფხე ფუჭნატ, როგორც მთის  
ხალხი ამბობს.» არა, ჩემო კარგო საქსო, გალიცვი არ არის  
ფხე, და სწორედ მოსარდი კაცია, ამიტომ რომ სატანსავით  
ამხარტავანია და პირველშივე ღირსეულს ბრწყინვალე წარმატე-  
ბას წინ წამოუწევია იგი ადამიანების საზოგადო წრიდაძ.

წაართვი რომელსაც გინდა განთქმულს მწერალს იმისი  
დიდება,—შენა გგონია, რომ იმისი სალი თსრულება უწინ-  
დელებსავით კარგი იქნება? მოიგონე ამ შემთხვევაში შენი სა-  
გუთარი სიტყვები, რომელიც ამ ათის წლის წინად წარმო-  
სთქვი: «მომეცით მე დიდება სესხად და მე ჩინებული მწერა-  
ლი შევიქნებიო.»

წაართვი რომელსაძე სასელმწიფო კაცს სასელი და შენა

გგონია, რომ ის უწინდებულად გაბედვით, ძაღვად და საჩქაროდ იშრომებს?

გალიცვი ფუტკ კაცად არის დაბადებული, ცუდად უსწავლია და ცოტად, მაგრამ მას ძნელს საქმეებს ანდობენ და ესეც სახელოვანად ასრულებს. სამზღვარს-გარეთ ქალები ჩვენზედ ჭკვიანები არიან და აბა გამოივითხე, იქ რა საკვირველებია მოუხდენია ამას! გომეორებ, ამხარტაუნებამ და დიდებამ ამას ჭკუა იმავე გზით მისცა, რა გზითაც შენმა ჭკუამ მოგცა შენ სიმდიდრე და ჰატივი. ამასთანავე გალიცვი არის უმაწვილი და სახით მშვენიერი.

მე, სწორე გითხრა, ძალიან მომეწონა, როგორც კაცი, რომელიც გასაოცარია სხვა-და-სხვა რიგის სიამოვნების მოგონებით. ეს ღიხსება ამას უზიარატესობას აძლევს სხვა განათლებულ უმაწვილ-კაცთა შორის, რომელნიც, რა კი გადაბიჯებენ ბაღის წაღას და პეტრობურლის კუნძულების სამზღვარს, — სრულიად აღარ იციან რა ჭქნან.

არაფერი წმუნება არა აქვს-რა გალიცვის, ანუ იმდენი აქვს, რომ თვით ეშმაკიც ვერ დასთვლის. ამას შეუძლიან მთელი თვე მონასტერში იჯდეს და თავის ღვთის მოყვარებით ყველა გააკვირვოს: შეუძლიან ელაპარაკოს თქვენს ბრძნებსა კაცობრიობის კეთილ-დღეობასზედ, შეუძლიან სჭამოს დღეში ხუთჯერ და სვას ორი დამე გაუწვევტლად. კარგი ეს არის, რომ ყველას ამას წმინდის გულით ჩადის. თავის-თავის მოტყუება დაენერგა ამას ცხოვრებაში, სრულიად განუსოცნიელდა და ამიტომ ეს მოტყუება ამისთვის სიცოცხლეს და არა უბრალო სიცრუე. ჩვენ ერთად სშირად დაუდიოდით სანადიროდ, გვემინა ხოლმე დედა-მიწასზედ და რიგიანადა კქვიფობდით; შე-



ტერზურდში კი მოწვევება ტეკვასა და დასტინებს მებატონეთა ცხოვრებას. ეჭვ, ღმერთის ხელი მოუმატოს.

თუ ჩემს ამბავს იკითხავ, ვარ მხიარული და ბედნიერი, საჩქაიფოდან უოკელთვის მისადა ვარ; ვცხოვრებ უფრო ჩემს მამულში; შევისუიდე ადგილი ზღვის ნაპირას, ეს არის ჩემი საუკეთესო სადგური. მართალია, აქაური განთქმული ღვინო მეტის-მეტად ჩამყავთ-უღია, მაგრამ არც არაფერი ამას უჭირს: რდესა შორს არ არის. მართალი უთქვამს უწინდელს ბრძენს: იცხოვრე იქ, სადაც ბედმა მიგაგდოს; სკი, სჭამე და ნუ იფიქრებ სხვებისთვისა.

მართლა, შენ ხომ გამახსლებელი და გადასკეთებელი კაცი ხარ... შენ რსტატურად შეგიძლიან ყბედობა ცალ-ცალკედ მოქმედებაზედ და უკეთესობაზედ. თვალ-უფრს ვადევნებ, თქვენი სწავლულნი რაგორ უთავ-ბოლოდ იქცევიან ევროპის დედა-ქალაქებში, და შემედლო კიდევ შემედგინა ჩემთვის ასალი თეორია ბედნიერების მოსაპოვებლად, მაგრამ სჯობს ისევ ძველი ვიქმარ.

ბედნიერება, საყვარელო ჩემო საქსო, ძლიან მნელია კაცმა მარტო თავის გულში მოიქციოს, თუმცა კი ჩვენ ყველანი თავ-მოყვარენი ვართ. ბედნიერი კაცი სწორედ ფარანს ემზავსება, ამიტომ რომ თავის გარეშემო დანიშნულს ადგილამდე ანათებს; ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ბედნიერება ჭკვას გემრიელს საჭმელს: პირში რომ იდებ, მარტო გუჭზუდა ზრუნავ, მაგრამ ყველა ასო კი მაგრდება, მთელი ტანი სუქდება და განზედ იწევს. დეე ჩემმა მამულის მოკლამ დაგიმტკაცროს ამ ჩემის აზრის სიმართლე.

უმთავრესი ჩემი მამული ვიუიდე მე ერთის ყმაწვილის კაცისაგან, რომელმაც თავის საცხოვრებელი სრულიად გააწყა-

ლს და გლეხნი დაღუბა. იმას უყვარდა ყომაძობაზობა: წაგების დროს გლეხნი აძლევდნენ ფუფუნს და მოგებაში კი მონაწილეობა არა ჰქონდათ. როდესაც მამული გამიყიდეს, წამოკვდი აქა და ვიცოდო, რომ ელდოროდოში არ მოგვიყვან, ამიტომაც გადავწყვიტე, რომ არავისუფდ და არაფერსუფდ არ მეზრუნა.

შემოკუარე თუ არა ჩემს სამთვლობელოს, ცოტა გაწყდა, გული არ ამერია. ნაცვლად სოფლებისა, ეკურთა რაღაცა ნანგრევები, რომელნიც, შენც თითონ იცო, რუსეთში ისე მოსაწონნი არ არიან, როგორც რეინის ნაპირებზედ. წინ ყოველს წუთს შემომეუბრებოდნენ ხალხე სასე - მისწინილნი, საცოდავნი და მძიმედ თავს მიკრავდნენ. მე დაკვარვე სრულებით მადა.

ახა რას იქ?—დიდ ხანს ვჭამდი მე სადილს ზინლით. რა კი გამოხვიდოდი სახლიდამ, იგივე ნანგრევები, იგივე ლაზარეთის სასკები. განვლო ორმა წელიწადმა, და აი დაკვივარე ყველგან და ვჭამ სიამოვნებით. ნაცვლად ნანგრევებისა ვსედავ ლამაზს სახლებს, ურომლოდაც სრულებით არ ვარგა რუსეთის სურათების მხატვრობა; უნდა ნახო, რა სასე დაედო ხალხსა! ყველგან სიხარულია და სიამოვნება! ვერ წარმოიდგენ, რა მალე მოგვობინდა ეს დახრუეული ხალხი.

ესლა მე სრულიად გამყოფილი ვარ ჩემის ბედისა. სასიამოვნოა, საყვარელი მეგობარო, სჭამდე სამჯერ დღეში, გემინოს ორჯერ და უყურებდე შენს გარეშემო ყოველთვის მსუქანს სასკებს, აზრიალებულს ცხვირებს, სქელს მუცლებს და ხელის ნაბიჯით სიარულს. არა მგონია, მალე ჩამოვიდე თქვენს პეტრობურღში, სადაც ერთი წელიწადიც კი არ გაივლის უხუნად, უბუნსილოდ და უსაოფლოდ.

დაიცა! დაიცა! კინაღამ დაგებუდე წერილი. სამაგელი და გულის გამწვრილებელი საქმეა რაღაცების ბლანკსა, მაგრამ მანც ერთი ფურცელი კიდევ უნდა გავაჭრელო.

შენ მე მკითხავ რჩევასა, როგორ შეასრულო საუკეთესოდ შენის ცოლის აღზრდა,—ესე იგი, რჩევას კი ან მკითხავ, გაკვრით ჩამომიგდე სიტყვა. ვიცი, ვიცი, შენი მძლავრი თვისება: რატომ არა ვკითხო რჩევას კარგს კაცსა? მერე იცი რომ ჩემი რჩევა ისე რიგადვე განთქმული იყო, როგორც შენი გამოგნება. ჩემი რჩევა იმიტომ უფრო განთქმული შეიქნა, რომ შეუძლებელი იყო მისი შესრულება. ყოველს უბედურებაში მანც ასე ამბობდენ: აი ან დაუფერე ზალეშინსა და იმიტომ მომივიდა ეს საქმე; რომ დამეჯერა, სხვა იქნებოდა. მაგრამ შენს წერილს ვკითხულობ და ვხედავ, რომ სამძიმო საქმეა, გიჩხიო რამე.

შენი წერილი სავსეა მშვენიერის ლაპარაკით და კი ვერ გავიგე, რა გვარადა გსურს აღზარდო შენი ცოლი? ერთის სიტყვით რა გინდა შენ მაგისაგან? შენ გსურს გამოიყვანო ეგ ქალების საზოგადო წრიდან, აჩვენო ცხოვრება და უშოგო შენს გულს თანაშემწე. ჩემო გოსტანტინე!... ოც-და-ათის წლის ვაჟ-გაღს აღარ შეშვენის ამ გვარ ემწვილეურის ჭრახულის რახუნი. საქმე მარგენე, საქმე! მე აღარა მწამს-რა რაღაც ოცობოდო ლაპარაკისა და განსხვავებულის იდეალებისა.

შენ გინდა მაგისაგან შექმნა შენი თანაშემწე. ერთი მითხარ, რის თანაშემწე? ეგ საქმე როდია განსაზღვრული წესდებულებაში, როგორც საქმე სეკრეტის ან ბუხჩალტერის თანაშემწისა. მე მხოლოდ ერთს რასმეს მივხვდი შენის პლანადამ: შენ გსურს გაუნათლო შენს ცოლს ესტეტიური გამოგ-

ნება და ცოტა დატინვით აუურებინო ცხოვრებასა და იმის ტანჯვა-მწუხარებას.

შემდეგ... ახლა უკვლას ხომ ვერ ავწერ. იცოდა რას იზამ? მომწერე, როგორ გასმის შენ დედა-კაცის მნიშვნელობა ჩვენს დროში; დაე, მეც გაგიგო. რად გსურს რომ იყო შენთვის შენი ზოლინკა. შემიდგინე შენი იდეალი და გამომიგზავნე ფოსტით, მაგრამ ნუ გი მიჭხედამ ამას რომ იდეალი წარმოგვსთქვი. შენი აზრები იმ კვანძვე მარტოვი უნდა იყო და ხელ-შესახებელი, როგორც თვით ჭაკტები.

მე მარტო შენ არ გამტყუნებ. ჩვენს საუკუნეში მოთხოვნილება შესახებ დედა-კაცებისა— უცნაურია, გარდაუწვევებელი და დასლართული. ვერც საუკეთესო მწერლების თხზულებებში, ვერც ქალაქის მოთხზულების ნაჯდბინში ვერ ვიპოვებთ პასუხს ამ კითხვისას: რა უნდა ეტყვას დედა-კაცს ჩვენს დროში? ევროპის საუკეთესო ნიჭნი ან ვერას ახერხებენ, ან ყოველის ღონისძიებით ცდილობენ დაგვიხატონ ჩვენ რამდენიმე დაუჯერებელი სახენი, რომელნიც არც დროს შეეფერებოიან, არც ადგილს. ჩვენს ძამებს აკვირებდა კლარისა და იულია. ესენი იყვნენ იდეალნი შესაფერნი მათის საუკუნისა. მეტხრამეტე საუკუნეს არა ჭყავს ჯერ არც თავისი კლარისა და არც თავისი იულია.

რუსის მწერლები უფრო შირში მოქმედნი არიან: ესენი ანუ პატრივისტებით შორს უკვლიან დედა-კაცებს და სწერენ მოთხრობებს უ-გმირ-ქალებოდ, ან სტენანკედ გამოჭყავთ რომელიმე უფერული, დაჩაგრული არსება.

მე ვხედავ რომ შესცოლს ცოტა უსწავლია და უფრო ცოტა უნახავს, როგორც ცხოვრობენ ქვეყანაზედ. რა გი განვივრებულს უძაწვილს-ქალს, პანსიონერკას ირთავდი, ეს წინადვე

უნდა გეფიქროს. მაგისი წიგნებით სწავლის დრო აღარ არის; განაგრძე ისევე შენი ებედობა: ქალებს ძალიან უყვართ, რომ ჭკვიან-ურს ზღაპრებს უამბობდნენ. დეზდემონამ შეიყვარა არაბი, იმის ლაშაჩაკს რომ ეურს უგდებდა და მე ყოველთვის გეფიქრობდი, ვაი იმ ქმრის ბრალი, რომელსაც ხანდისხან ცოლი გულ-მოდგინედ ეურს არ უგდებს მეთქი.

ნუ გყავს ეგ პეტერბურღში: მანდ კარვს ვერას ისწავლის. ან სამხლვარ-გარედ წაიყვანე (რასაკვირველია არა ბადენ-ბადენში და ემსში) ან ჩვენთან, სამსრეთ-რუსეთში. აი ბუნებაა ნამდვილი პროტესტი. ვის არ ესმის ამისი სწავლება, თუმცა კი მუქთია იგი.

ქალებს უყვართ ბუნება: ბევრჯერ მიდევნებია თავლი ემაწვილის-ქალისათვის, რომელიც უეურებდა მზის ჩასვლას ტყის უკან, ან ღრუბლების მიმოსვლას ქარიშხლის ამოკარდნამდე. რასაკვირველია, ეს ამბები არ მოხდება ხოლმე ბაღის წინად, ან ახალის კაზის გასინჯვის დროს, მაგრამ ესეც კარგია.

მე ვიცი რომ შენ შენს ცოლს გუდასავით უნდა უკან დასდევდე. დრო არის დედა-ქალაქს თავი დაანებო; რაღას მოელო? ხომ ვისერში წაურტყე ორ-სამს საქმის დამხლართველებს—ახლა განსუდ გადაქე. ყოველი შენი უბედურება იმიტომ გემართებოდა, რომ ყველგან კრივში, ანუ შენებურად, ბრძოლაში, ერეოდი. დაანებე ყველას თავი. საკმაოდ იშრომე, ახლა იცხოვრე შენთვის: ყველას ხომ არ შესვდება მაგისთანავე კვლური ცოლი. კიდევ რა ბრძოლაში გადახარ მაგასთან ხელი-ხელ-გაყრილი, როგორც შენს წერილში იწერები? დაგიყინია იერიშით ციხესუდ მისვლა! სწორედ ბავშური აღკვეტება! ახა დაუკრას მუსიკამ ის მარში, რომლის ხმაზედაც ძველს დროში ჩავბუქნავდით ხოლმე ნახნავ მინდვრებსედე.

მშვიდობით! შენი პანტაგრუელისტი თავს გიყვას. თუ აქედ იქნები წოდისმე და შემომივლი, შენთვისაც და შენის ცოლისათვისაც ადგილს ვიშოვი: ერთი დიდი უშკელებელი სახლი მიდგია. მართლაც მოდი, საყვარელო პანურგო, ვაწვიონეთ ლამაზს ბოთლს, როგორც მკითხავს და გამოკვიტოსოთ იმისი აზრი ცოლ-ქმრობის თაობაზედ მეტწამეტე საუკუნეში.

ანეტა კრასინკის ცოლისაგან პოლინკა საქსონ.

გმადლობ წერილის მოწერისათვის, ჩემო პატარა პოლიკო. სომ კარგად ხარ, ჩემო საყვარელო ატამო? ისევე ისეთი ჩასუქებული და მსიარული ხარ, როგორც ადრევე იყავი? ჩემსას კი ბევრს კარგს ვერ გეტყვი; მაგრამ ჩემი ყოფა-ცხოვრება შეგიძლიან გამოკვიტოსო ჩემს ძმას, რომელმაც მოინდომა შენთან ჩემის წერილის წამოღება.

აი ესლავე ვხედავ, რომ გაგაჟავრე. შენ გეზინდება ჩემის საწყალის საშას ნახვა. პოლინკა, შეგვიბრალე ეგრეს და მეცა: ვერა კალამი ვერ აღწერს, რაც მე ჰიტანჯე ამ ხანებში, და ესლავ გული მიბრუნდება, აზრები ვერ შემივრეფია, ვერ დამიღებია. მომიტევე კი, მაგრამ შენცა ხარ ამაში ცოტათი დამნაშავე.

იტალიაში შეეტეო ჩემს ძმას ვილაცა რუსისაგან შენი გათხოვება. ჯერ არ დაეჯერა, მერე შეშლილსავეთ გამოქჴანებულიყო რუსეთისაკენ. საქმეების გამო შემოეყარა ოდესაში, აქიდან მოვიდა ჩემთან, უცმელი, უსმელი, უძილო.

მართლად რომ შეკმინდი, როცა შემოვარდა ჩემთან, გამ-

ხდარი, გავეითლებული; თვალები მუგუზსლებსაკვით ანთებოდა. «მართლაც გათხოვდა?» ეს იყო მაგისი პირველი სიტყვა. მე არ ვიცნოდი რა მეპასუხნა და მწარედ ავტირდი. დაეცა სკამზე და რამდენსამე წამს ხმა კელარ ამოიღო, ბოლოს მიველ და ვაგოცო. თავი ცუცხლსაკვით გაცხელებული ჰქონდა. მე და ჩემმა ქმარმა ძლივს ჩავაწვინეთ ქვეშაგებში. იმავე დღესვე საშინლად ვაცხელა.

მე მთელ დამეებს მაგის თავით ვატარებდი. სტიროდა, მუდამ ტრიალებდა, სწუეკვლიდა თავის ქარიანობას, შენ თავის პოლინკას გეძახდა. ხან უნდოდა თავი მოეკლა, ხან აღტაცებით იგონებდა იმ დროს, როდესაც შენ გნახავდა ჰანსიონში და დიდ ხანს გელაპარაკებოდა ხოლმე. მარტო მაშინ ჩაეძინა, როცა ცოტა უკედ შეიქნა. მეც დრო ვიპოვე, შეველ ჩემს საწოლში და მკვლარსაკვით დამეძინა. უეტრად ვიღაცამ შემანძრია და გამომეღვიძა; ჩემი ძმა იდგა ჩემს პირ-და-პირ, სერთუგით და კასკით. «დაო, უბძანე, რომ ცხენები შემობან», მითხრა მაგან აგანა მე ბავშვი ვარ, რომ კარში არ მიშვებენ?

— სად უნდა წახვიდე? ვკითხე მე.

ეგ ანთო და მოჭყვას თრთოლას. ამბობდა, ორში ერთი უნდა გამოესაღმოს ქვეყნასაო. ეტყობა, საქსის ბედის წერა არის, რომ გალიცკებს უნდა შეეერთოსო. მე მივხვდი რომ მაგას პეტრებურღში წამოსვლა უნდოდა და შენს ქმართან დუელს აპირებდა.

დიდ ხანს ვეკვდრე გონებაზედ მოსულიყო, მაგრამ ვერაფერი ვერ გავაგონე. ღვთის მადლით უცებ თვალი მოჭკვრა ჩემს კარატთან შენს პორტრეტს, რომელიც მაშინ გადაიღეს, როდესაც თორმეტის წლისა იყავ. მივარდა იმას გაცხარებუ-

დი, სტოლიდამ მოიტაცა, შენს სახეს დაატყდა, დაუწყო კოცნა, იტრავდა გულში. ამ ალექსებამ ასე დაასუსტა, რომ აღვიდად ჩავაწვინეთ თავის ქვეშაგებში. ბოლოს დამშვიდდა, თავი დაანება მწუსარებასაც და თითქმის შეეჩვია კიდეც ამ აზრსა, რომ შენ მაგას არ ეკუთვნი. «ესლა დამჩენია მე,» — მეუბნებოდა ებ იმ დღიდან — «რომ ხანდისხან ვნახავდე სოლ-მე და ვლოცულობდე იმის ბედნიერებისათვის.»

ღმერთო ჩემო, პოლინკა, რა სევდა მომაწვება სოლმე, როდესაც დაკვირვებები, რა დაემართა ამ ყმაწვილს-გაცს, რომელსაც ისე დასდევდნ ჩვენი ქალები, რომელიც უფიქრლად სცხვრებდა და არ იცოდა, არის სადმე მწუსარება ქვეყანაზედ, თუ არა.

მაგის წამოსვლის წინა-დღეს მე მივეც ეს წერილი. ჩემო ანგელოზო, შეიბრალე, უჩნო, რაშიმე გაერთოს, უაღრესე. ებ ჯერ ასეთი ყმაწვილია, რომ ყველა გაივლის, გამოიცილება, შენც დაგიმეგობრდება... თუ არა და თავს მოიკლავს, ან ერთს უბედურებას შეემთხვევა. არამც და არამც არ უთხრა შენს ქმარსა, რომ შენ იცი ამ უბედურის სიყვარულის ამბავი. ღმერთმა დაიფაროს, რომ ეგენი ერთი-ერთმანერთს არ შეეტანენ. შენ არ იცი, რა კაცია ებ საქსი. ებ დაღუნავს საწყალს ჩემს საშას. ესლაც კი მთელი დამე არა მძინავს სოლმე, როდესაც ამასე ვიფიქრობ.

დუელებად იწერები, რომელშიაც როდისღაც შენი ქმარი ყოფილა გარეული. მე შენ გაიმბობ მაგ ისტორიას და მაშინ უფრო მისვდები, როგორც საჭირია, ჩემს ძმას გაუფთხილდე, და რა რიგად ავლებს ამას თუ ყოველივეს ეტყვი შენს ქმარსა.

მე ის იყო გავათავე ჩემი სწავლა, და შენ კი ისევ შუათანა კლასში იყავ, როდესაც ეს ამბავი მოხდა. იმ დროს რო-



გორღაც ბეკრი რუსები სცხოვრებდენ თურმე პარიჟში, და როგორც ჩვეულება აქვთ ჩვენს ემაწვილ-კაცებს, ჭიანჭავდენ ფულებს და საკმაოდ მხიარულებდენ. შენი ქმარიც იქა ცხოვრებდა და ყველას ეუბნებოდა რომ წაღასაც სწავლობს, აითქო სწავლა შინ კი არ შეიძლებოდა.

ერთს პარიჟის თეატრში დიდს მოდაში იყო თურმე ერთი პატარა და დიდად განუბრებელი აქტრისა, უფრო სშირად პატარა ბიჭების როლსა თამაშობდა. შეგიძლიან წარმოიდგინო რა ყოფა-ქცევისაც უნდა ყოფილიყო ის ქალი. წაღაც მიზეზით ჩვენს ცუდქს ემაწვილებს არ მოსწონებოდათ ის აქტრისა და ნამეტნავად ერთს რუსს, რომელიც ჩვენის გვარისა ყოფილიყო—გალიცკი, მაგრამ თავადი კი არ გეგონოს. ის იყო თურმე საშას ამხანაგი და სასწავლებელშიაც ერთადა სწავლობდენ. აქტრისას წაღაც მიზეზის გამო მოკრძალება სწევოდა და არ მიეშვა თავისთან ის გალიცკი, თუმცა კი ემაწვილი ყოველს ღონესა ხმარობდა იმასთან დახლუებისათვის. ის თურმე ძარდი ემაწვილი-კაცი იყო, ჭკვიანი, მდიდარი და არც იყო შეჩვეული ამ გვარს უარებს. თურმე შეჭყარა თავისი ამხანაგები, ქალის მტერნი და გადაეწვიტა, ჭკუა ესწავლებინა იმ თვით-რჯულ აქტრისისათვის.

ერთს საღამოს თურმე გამოვიდა თუ არა სცენასზედ, ატყდა ყაყანი, ხობქოლი, ყოველს იმის სიტყვასზედ უშტკებდენ და დასტინოდენ. ხალხიც მალე ვაკატაცა ამ საერთო ყაყანს: განგაშებდა და შეეჭტეოდა. ზოგი მამალსავით თურმე ჭყიოდა, ზოგი ცხვარსავით ბღაოდა და გალიცკისაც მოენდომა სრულიად ჭვარის ამოყრა, მოჭყოლილიყო ლანძვას პირველის რიგიდამ. ამ გვარი მიღება ისე გაუკვირდა თურმე აქტრისას,

რომ გაკაპანდა, გადმოდგა წინ, რილსიცი თქმა დააპირა და გადმოჭყანა მდუღარე ცრემლი.

რასაკვირველია, ეს უმაწვილ-გაცუბის თავ-ქარბანობას ამტკიცებს, მაგრამ რა ისეთი მომაკვდინებელი ცოდვას!

ამ დროს სჯისმა თავის ადგილს თურმე თავი დაანება, ორკესტრის სიანხლეს დადგა და დაუძინა პირველს რიგებში მსხდომთა: «ბატონებო,» უთხრა იმან ყველას, მაშფოთართაც და უშფოთართაც. «მე ავისხნით მიზეზს ამ უწესობებისას: გუშინ ერთი ჩემი მეგობარი დანაძლეკდა, რომ თხუთმეტს წამში მთელს საზოგადოებას ავაყვანებ იმის უსაყვარლეს აქტრისის წინააღმდეგა.»

ეს სიტყვები ძალიან მარჯვედ მოეგონა: ჩონჩოლი შემდგარყო და ძალე ყველას შეემცნია, რომ მარტო ერთი გალიცვიდა ყვიროდა. ამხანაგებმაც თურმე იმისი მხარე დაიჭირეს და მოჭყვნენ ყავანს. მაშინ შენი ქმარი მისუღიყო გალიცვისთან და ძალით დაესვა თავის ადგილს.

უწყალოდ შერცხვენილი მთელ საზოგადოების წინ სწყალი გალიცვი ილანძლებოდა და ყვიროდა თურმე, მინამ პოლიცისას ძალით არ გაეყვანა. გასვლის დროს დუელში გამოეთარკვა სჯისი, აქტრისას პატვი-ცემული მოსარჩლე.

მეორეს დღეს თურმე შერიგებას უპირებდენ. აბა გამოიციან უარზედ ვინ დადგა? შენი კარგი ქმარი. მაგას უბრალო რამ მოეთხოვა, — გალიცვიმ განეთში ბოდიშის წყრილი დაბეჭდეს იმ გომბიოსთანაფ, რომელიც — უფრო თავის გამოჩენისათვის ავად გამსდარყო, თუ ტყუილი ავად-მყოფობა მოეგონა, — არ ვიცი. აი უცხო გმირობა ეს არის!

გალიცვი უარესად გაცოფებუღიყო. ორივ მოპირდაპირე ცალ-ცალკე დაეყნათ. გალიცვის პირველს გაესროლა და აც-

დინა; საქსი მისუფიყო თურმე და საიდუმლოდ რაღაც ღაზა-  
რაკი დაეწყო. ეს ამბავი მიაშობ ჩემმა მეზობელმა ზალეშინმა,  
რომელიც სკეუნდანტად ყოფილა ამ უბედურს შემთხვევაში.

— წერილი დასწერეთ და ბოლოს მხოლოდ თქვენის სა-  
ხელის პირველი ასო მოაქცეთო, ეუბნებოდა თურმე საქსი.

— არც ეგა მსურსო, ეპასუხა გალიცვის.

— მაშ ნურც წერილს მოაწერთ, ოღონდ აქედამ წადითო.

— არ წავალო, ეთქვა გალიცვის.

სულ-გრძელ გმირს თავი გაეჭნია, თხუთმეტს ნაბიჯზედ  
გამდგარიყო და გაეხვრიტა შუბლი გალიცვისთვის. იმას არც  
კი დაეკვნესა. ეს კიდე არაიყერი. შენა გკონია, საქსი მივარ-  
დებოდა მკვდარსა, იტირებდა, თმებს დაიგლეჯდა?— არა, ეგ  
მისუფიყო სკეუნდანტებთან, რომელნიც მკვდრის გვამს შე-  
მოსვეოდენ და ცივად თურმე დასუდა სიბრახით და კლან-  
ჭვით დასახინებულს გალიცვის სახეს.

— ბატონებო, ეთქვა მაგას მდაბლად; ნუ გებრალებათ ეს  
ყმაწვილი-კაცი; დამიჯერეთ, ამისაგან უგულო ავასაკის მეტი  
არა გამოვიდოდა-რამო.

აი ამ შემთხვევის მადლობელი უნდა იყო, ჩემო პაწაწა  
პოლეტავ, რომ გესმის მშვენიერი ამბები კავკასიასა და ომებ-  
ზედ, სადაც შენი ქმარი დასწრებია. დიდ ხანსაც არ დაჭყო  
მაგან იქ. ერთის წლის შემდეგ ყოველისთვერი თურმე დაუბ-  
რუნეს.

მე არ მინდოდა, მომეწერა შენთვის ეს უბედური ამბავი,  
— მოგწერე მხოლოდ იმიტომ, რომ მინდა როგორმე მო-  
ვარდო ჩემი ძმა უბედურებას.— მე გულითადი პატივის-მცე-  
მელი ვარ შენის ქმრისა და თუმიცა მაგის თვალში ურცხვი  
დედაკაცი ვარ, მანინც არა მსურს დავამდაბლო ეგ შენს თვალში.

ამ სიტუაციით მიხვდები, ჩემო საუკარგოდ პოლიტიკა, რადაც გესგეწები ასე ჩემის ძმის გულისთვის. მიეცინება, რომ გიუფროს მაინც, იშვიათად მაინც გელაპყრობს. ჭკუასუდ და-აუენე და გებრალბოდეს. ეგ ისეთის გულისაა, რომ ღირსია სიბრალულისა. სწორედ ბავშვია, კეთილი და პატიოსანი; ან რისა უნდა გეშინოდეს: ეგ ხომ მარტო რომანებში სწერენ, რომ უბედურება გამოვა რამე, თუ ცოლსა და ქმარში აწმიფი ფაწვილ-გაწი გამოეჩინა.

## თავი II

ვიდრე ეს ორი წიგნი უბეში უწევია თავად გალიცის და ჭფიქრობს, რა გვარად მოუსპოს სხვას ბედნიერება, გავსინჯოთ ცნობებებს ახალ-შეუნილ ცოლ-ქმრისა, რომელთაც ივისრეს საქებური აზრი თავისებურად ერთი-ერთმანერთის გადაკეთებისა.

იყო მერე საათი შუადღის შემდეგ. პოლინა ალექსანდრეს ასული საქსი იჯდა თავის საოცრად მორთულს ოთახში, შუბლ-შეკრული, ტუჩებ-წაშვერილი, წარბებ-შეჭმუნენილი, გოგონა იუპიტერი ოლიმპიისა. უგულოდ სინჯავდა ფურცლებს გრანვილის კარიკატურებისა, რომელმაც მასინ დაიწყო თავის ნიჭის გამოჩენა.

ჭქონდა ვიდრე მიხეზი გაჯავრებისა და სწორედაც უნდა ეთიქრა თავის უბედურებაზე: მთელი გრიგალი ვაებისა, მწუნარებისა, გაცრეუბულ იმედებისა და შეცდომისა და: ტყუდა მშენიერ ფაწვილის-ქაღის თავს.

ჰერ ერთი ესა, რომ პოლია, (ეს იყო სამაგული და ანხელი ძაღლი, რომელსაც საქსის ცოლმა მეტის სიყვარულით

თავის სახელი დასწკვას) ზოლია გაძღა და ავად გახდა. საზინო-  
ღარ ძაღლს თვალები აძღვროდა, დინგი დასკელებოდა და ისე  
იწვას მეორეს სელში რბილს ხალიშხედ და შირ-ქუშად უღრი-  
ნავდა თავის პატრონს, რომელთანაც ახსნელი ძაღლებიც კი ისე  
მიდიოდენ და ეაღვრებოდენ, როგორც ერთის წლის ბავშვს.

მეორეც ესა— ზოლინკას არა ჰქონდა მზად კაბა, რომ-  
ლითაც უნდა წვეულებაში წასულიყო. მართალია ბარის, თუ  
იზამბარის, თუ ნალზარის ცოლი ეფიცებოდა რომ საღამომ-  
დის სრულიად მოგიმზადებოთ, მაგრამ რაღა დროს!

ამას გარდა დედა ის იყო წავიდა და წასვლის წინად გა-  
უჟავრდა ზოლინკას, რად გჭევი შენს ქმარს რუსულს თვატ-  
რშიო.

მაგრამ ვეკლავსე საშინელი ეს იყო, რომ დილით ადრე  
კურიერი მოვიდა და მოუტანა საქსს დაბარების ქალაქი მი-  
ნისტრისაგან. გუშინ არ იყო თითონ კოსტია ამობოდა, რომ  
დროებით მოგზიბი სამსახურის საქმეებსაო და ესლა კი უცებ  
მძინარე უნდა წამომსტაროყო რეტიანსავით და სამსახურშივე  
წასულიყო... ჯერაც არ დაბრუნებულა იქიდან.

ესლა სომ ცხადია, რის გამოც ვრცელი და ლამაზად  
მორთული ოთახი, ზოლინკას ცალიერი და ბნელი ეგონა; რის  
გამოც კედლიდან კეკლურად გადმოძვარს გრუზას ამურისა და  
პსიხეისას გამოჭყავდა იგი მოთმინებიდან თავის უძარტებუ-  
ლობით; რის გამოც წმინდა ტეცილია, საწოლის ოთახიდან გა-  
მოგდებული, როგორღაც ეშმაკურად გადმოჭყურებდა ზოლინ-  
კას და თითქოს დასტინოდა იმის მწუნარებას.

აი ამისთვის იჯდა ზოლინკა საქსი თითქმის ნასევარ სა-  
ათი განიერს სელსედ, კუთხეში მიკუნჭული, მოკეცილი და  
მუნღებულად დაყრდნობილი. სამი პატარა ძაღლი კუდებ-აწეულ-

ნი გარეშემო უკლიდენ მას, მაგრამ უურსაც არ ათხოვებდა, არ დაჟდა იმათთან ინტაკუნედ და არცა ჭკოცნიდა; მხოლოდ ხანდისხან მზრუნველის თვალით შეჭხუდავდა სოლიე თავის ავად-მყოფს პოლიას.

უცებ ძაღლებმა გუდები ამოიძუეს და, თითქოს ვიღაცამ უბრძანაო, მარჯვნივ სათითაოდ გავიდნენ ოთახიდან; ვიღაცინ ნაბიჯი მოისმა შორით. პოლინკამ წარბები უარესად შეიკრა, უფრო მიიძალა სელში და თუძცა დიდად ცდილობდა, მანც კერ მოახერხა, რომ დაეძალა თავისი მსიარული ღიმილი.

ოთახში შემოვიდა კოსტანტინე ალექსანდრეს-ძე საქსი, შავის ქრავით და შავის ხავერდის უილეტით. უსიამოვნო შრომის კვალი ჯერ არ გამჭრალიყო იმის სახეზე; დაფიქრებული მივიდა იმ სელისაკენ, რომელზედაც იჯდა პოლინკა და რომლისაც ორი წილი ცალიერი იყო.

უცებ ღიმილი დაეტყო სახეზედ, დაეცა სელზედ, შეჭკრის კუთხე, სადაც პოლინკა იჯდა და მოხვია წელზედ სელი.

— აა! ჯავრობ განა, ეუბნებოდა ცოლს და თან ჭკოცნიდა, — ვიცი მე ეგ კუთხეში მიჯდომა რასაც ნიშნავს, ვიცი შენი კატის ხასიათი!

— წუნარ, კოსტია, წუნარ, უფვიროდა პოლინკა და დაურდივლად ფსაჭნიდა ქმარსა; — განა ვერა ჭხუდავ რომ პოლიას ავად არის?...

— შენ ხარ ავად? რა დაგეძრთა, ჩიტო? საქსმა შეწუხებულმა შეჭხუდა პოლინკას სახეში.

— ჭხუდავო, ცოლსა და ძაღლს ერთმანერთში ვერ არჩევს.

— ჭო, ეს პოლიას არის ავად, სთქვა საქსმა, გაიქნია თავი და გადახუდა ძაღლსა, რომელიც ღრინავდა. — დიდი ცოდვაა, რომ ამითანა წაპილწულს ცხოველს ქრისტიანული სახე-

ლი ეჩქვას. ეს ჯღაწობუა ნათქვამი, მაგრამ ამათში რა დიდი განსხვავებაა.

— რაებს ამბობ! გამიგონე, კოსტია, განუძეო რა პოლინკამ სერიუზოლის სახით, — გუშინ შენ მე რად მომატეუე?

— როგორ თუ მოგატეუე?

— დღეს განთიადისას სად წასვედი?

— სამსახური მოითხოვდა, ჩემო ჩიტო, სამსახური! სამსახურს ხომ ვერსად გაეჭტევი. საქსის სახეზედ წინანდებულად გამოსატა ჯავრი და მწუნარება. დღეს მინდოდა თავისუფლად ვყოფილყუავი, მაგრამ აი რა უსიამოვნობა შექმნობსა.

— რა არის, რა ამბავია?

— მე უნდა წავიდე აქედამ სამის კვირით.

პოლინკა გაშეშდა; შეშინებულის თვალებით დასტკბრდა ქმარსა; გული თითქო აღარ უტემდა.

— სადა? ძლივს გამოსთქვა იმან.

— ოთხსასის ვერსის სიშორეზედ, — ოკში.

— დმერთო ჩემო, რისთვის?

— მე მძიმე გამოძიება მომანდეს.

— მაშ მეც წამოგყვები.

— ჩემო ჩიტო, კარგი იქნებოდა, რომ შექმდღოს შენთან ერთად სიარული, როგორც ჩემს ჰატარა მძასთან! ზოგიერთი დაიტინებდა, რომ სამსახურში ცოლთან ერთად დაკვიდე, მაგრამ მე რა მენადვლებოდა; ეს არის რომ შენ განუბერებულე ბავშვი ხარ და აიტან განა ეხლანდელ გზებზედ ჩახიხუსს! საცა მივალ, იქ უნდა ვიშეოთო, ვილანძლო, გამოვიძიო, აქედ-იქით ვიარო. — შენ ვერ შესძლებ ამ წვალეხასა.

— მაშ ნუ წახვალ, ჩემო კოსტია, ჩემო კარგო! მე მეში-

ნიან, უარს სთქვი, გამოდვი სამსახურიდამ. მითხარ ერთი, რადას ელი.

— ჩემო პოლინკავ, უთხარს საქსმა, და უფრო მაგრად მოუჭირა წელზედ სელი. — გამდლობ, ჩემო ბავშვო; შენ მე კარგს რჩევას მძღვე და ეს დიდად მასიამოვნებს. ღმერთი ხოა მოწამე რომ შენის გულისათვის მე ყოველისთვის მოვიქმედებ, მაგრამ ამ გამომძიების თავის დანებება კი არ შემიძლიან.

— რას ნიშნავს ეგ რადაც გამომძიება?

— მომიხმინე და შენვე გასტერ სამართალი. აქ პეტრობურღში მსახურებდა ერთი მოქრთამე ბოროტი ადამიანი, ვილაც სტატსკი სოვეტნიკი ვისარჩუნეო.

— ვინცობ... ის მე მინახავს. — იმის ხელთ იყო ღენერალ გალიცკის საქმეები.

— ამ ადიუტანტის მამისა?

— ჭო, ჭო! მერე ვისარჩუნეოს რა მოუვიდა? პოლინკამ მიჭყუდა თავი საქსის გულსა.

— არ ვიცი, დაიწყო კვლად საქსმა, — როგორ მართავდა განსვენებულ თავადის საქმეებს, მაგრამ სამსახურის საქმეებს კი ძალიან ცუდად ასრულებდა. ქალაქს — ოვში იმას უპირველესი ადგილი ეჭირა და იქ მოატყუა ხაზინაც და ისინიც, ვისაც ხაზინასთან საქმეები ჰქონდა და თითონ ათი-ათას თუმანზედ მეტი ჩაჯობა. იმისი ქალაღებო გავსინჯე, აღმოვაჩინე ქურდობა, და ისიც და იმის ამხანაგებიც დამნაშავედ ვიცან. შენ გესმის რა არის სასელმწიფო ფული? ამ ფულებს იძვევიან გლეხნი თავის მცირე ქონებიდამ, კაცი უნდა გაუფთხილდეს მათ და მხოლოდ კეთილის საქმისათვის დასარჯოს. რის გამჯგულად ერგო ეს ფული ავაზაკ ვისარჩუნეოს? ამ საქმეს გულ-მოდგინედ მოვიდენ და ნიშნად ნდობისა, მე ჩამაბარეს



რომ დაწვრილებით გამოვიკვლიო. შეიძლება, რიგიანი გაკეთდეს ჩამე.

— ეგ გი აგრეს კოსტია, მაგრამ მე როგორღაც დარდიანდა ვარ და მგონი ეს კარგი ნიშანი არ იყოს... დაანებე მანე საქმეს თავი, ნუ წახვალ.

— ვთქვამთ, უარი ვთქვი, არ წავუდი; ვთქვამთ მანატიონ, ეს აშკარა წინააღმდეგობაა სამსახურის წესისა, — მერე მე სინიღისი არ დამტანჯავს! ვინ წავა ჩემს მაგიერად? როგორ გაათავებს ის ჩემგან ატეხილს საქმეს? იქნება გამოუცდელი კაცი წავიდე, გაებას თითონაც და მეც გამაბას; იქნება ხარბი კაცი წავიდე და ერთს სიბოროტეს მეორე მიუმატოს.

საქსი შედგა. პოლინკას სახეზედ ხელები ეფარა, მღუღარე ცრემლითა სტიროდა და არ უგდებდა ყურს იმის მტკიცე საბუთებს.

საქსი იყო ფიცხი, როგორც სასოგადოდ ძარღვებდასუსტებულნი. თავის ჯავრს ის იმისთანებზედ ამოიყრიდა ხოლმე, რომელთაც სწულიად არაფერი ბრალი არა ჰქონდათ. გულზედ მოსული იყო და ისე მოტრიალდა სელზედ, რომ ავად-მყოფმა ძაღლმა შეჭყეფა და წამოხტა თავის ადგილიდან; პოლინკა დაებლაუჭა სელს თავის პატარა მაგრამ ღონიერის ხელებით, აფრინდა და მივარდა პოლიასთან.

საქსიც ადგა და დაიწყო ოთახში სიარული.

— პოლინკა, უთხრა მან ცოლსა, რომელიც აწვევდა ძაღლს თავის ადგილს და მწარედ სტიროდა. დრო არის რომ ამისთანა იდილიებს თავი დავანებოთ. დიდ ხანს დარჩები ბავშვი და ქვეყნიერების გაუგებარი? როდის გასდები ქალი? მე შენ მიყვარხარ, მაგრამ პანსიონის შემსახვეი ხომ არა ვარ. მე უბრალო კაცი ვარ, ვარ კაცი სამსახურისა და ხშირადაც მაწყვი-

ნებენ ხალხე: მე და შენ არა გვცალიან, რომ ყოველისფერ-  
ზედ ვიტიროთ. სჯობს, ვისწავლოთ ცხოვრება როგორც უნ-  
და და ვიმხიარულოთ, სადაც კი შეიძლება. წარმოადგინე, რა-  
ნი უნდა ვიყვნეთ ჩვენ ათის წლის შემდეგ: ნუ თუ რც-და-  
ათის წლისაც შენ აგრეთივე უნდა დარჩე?

— ნუ წახვალ, კოსტია! მხოლოდ ამის თქმა შეიძლო პო-  
ლინიკამ და მწარედ ატირდა.

მიკუტევეთ საცოდავს ბავშვს ეს ტირილი. სიკვრპით  
კი არა სწუხდა. რაღასაც უბედურებას გრძნობდა წინადაკე და  
შეუგნებელი სევდა აწკებოდა პოლინიკას გულსა, რა კი მოი-  
გონებდა სამის კვირით ქმრის მოშორებას.

მაგრამ საქსმა ეს არ იცოდა: იმას არა სწამდა-რა გულთ-  
მისნობისა. უეცარი და ცხარე მწუხარება უღელვებდა გულსა;  
ის დადიოდა ოთახში დიდის ნაბიჯით და როდესაც ფეხ-ქვეშ  
შეშინებული ძაღლი შეეფეთა, ჭკრა ფეხი და კუთხეში მიაგდო.

პოლინიკამ აიყვანა ძაღლი ხელში, მიდგა კუნჭულში და  
შეშინებული შესტკეპროდა ქმარსა.

ცრემლები მსხვილ ბრილიანტებსავით გაუჩნდა თვალებ-  
ში. საქსს ესეც არ მოეწონა.

— ღმერთო ჩემო! ამბობდა იგი არც თუ ხმა-ძაღლს, არც  
თუ თავის გულში და თან ოთახში სიარულს ატანდა ძაღლს.  
ამოდ ჩაიარა მთელის ერთის წლის სიყვარულმა, მთელის ერ-  
თის წლის ცდამ, მთელის ერთის წლის გაცხარებულმა შრო-  
მამ. ნეტა რას ვეძებდი? მტირედს შეწუხებაზედ ისევე უგრძნობ-  
ლად ცრემლების დენა; ისევე ძაღლების დაუსრულებელი ღო-  
ლიანობა... არა, სწორედ სუფელი უნდა ვიყო! მართლად-და შე-  
მიძლიან კი შევასრულო ის, რაც მიკისრია, ან სხვაფერზე არ  
მოხერხდება, ან...

შემოიკრა თავში ხელი, და გაუეღვა სამძიმო აზრმა, ეჭვმა ცოლის ნიჭიერებისად.

— არა, სულელი არ უნდა იყოს. რამდენს ნათელს, თუმიცა კი უმაწვილურს ჭკუას ვამტყუებდი ამის ლაპარაკში. ან იჭნება სურვილი არა აქვს, არა აქვს ძლიერი და მტკიცე ხასიათი!

— პოლინკავ, წარმოხსენებ საქსმა და მივიდა ცოლთან. მუ დაკვარ შენს ცერბერს, მანატიე. კარგად გამლანძლე, კარგად. მე სწორედ უზღველი ვარ, არ გამოვდგები ქალების საზოგადოებაში.

მაგრამ პოლინკა იმას არ უყურებდა და არც პასუხს აძლევდა. ეს მეტად შეწუხებული იყო რადგან თავის სიცოცხლეში პირველად ესმოდა ამისთანა დარბეობა და ისიც რისთვის? იმისთვის, რომ შეწუხდა, იმისთვის რომ ეზარებოდა ქმართან მოშორება. ამის სიმშვიდეს, ამის უმაწვილურს ხასიათს ყველა ზეცამდე ამაღლებდა და კოსტანტინეს კი თვალში ჩხინდად ეჩვენებოდა.

გაჯავრებული ჩუმად იჯდა კუთხეში და თან-და-თან დარდი დარდზედ ემატებოდა.

საშიში მოქმედება აქონია ამ პირველმა ჩხუბმა თითონ საქსზედაც. ეს იყო თავგამოდებული მტკიცე კაცი, თვისუთავი ყოველს თავის მოქმედებაში. თუ ვისთანმე ვერ მოერიგდებოდა, — ვეღარ გაუმიგობრდებოდა მთელს სიცოცხლეში; არა სანაკდა სანჭიროდ თავის ხასიათი სხვის ხასიათთან შეეფერებინა. ოჯახის არეულობა და უბრალო მაგრამ დამღუპავი შიგთი სიზმარშიაც არა ზმანების მის თავისუფალს და მალღს სულსა. დაუდგრომელმა ცხოვრებამ სიუმაწვილეში, სიმდიდრემ და სიყვარულმა ვაჟ-კაცობაში მოაშორა იგი ოჯახის ცხოვრების უპატიურს მხარეს.

უცებ, როგორც გველი გამოვარდეს კარდის ბუჩქიდან, ისე დაეცა მას თავს ოჯახობა, და გარს შემოერთეს ცრემლებთან, ავ-ძაღლებთან, უწესოებისა და შოგოთთან ერთად.

საქსი დაჟდა თავის ალაგას და მწუნარედ ჩაჭვიდა თავი. ამაობაში პოლინკას სიანხსლემ გადაუარა. ტურთა ბავშვი მზად იყო ქმარს ვისერხედ შევარდნოდა.—დაჲ, იმან დაიწყო, — ჩასხურჩულებდა ცრუ სირცხვილი...

მერე მივიდა რთაღთან, იძუროს დეზდემანას სიძუროს, დაუგროს სპერალ-პოლკა. საბრალომ არ იცოდა, როგორ მოხერხებული ჰქონდა საქსს სპერალ-პოლკა.

მერე დაიწყო ოთახში სიარული, იცოდა ამ ჰაწია კბლუცმა, რომ ქმარს უყვარდა ამისი აჩქარებული სიარული და ამის ჰაწაწინა ფეხებს დაატყურობდა სოლმე.

საქსს გული მოუბრუნდა. სადღაა იმისი დარდი, სადღაა შიში ოჯახის შოგოთისა და არეულობისა!

მანც თავს იმაგრებდა, და ჩუმიად, უფრო მეტად დაღვრემილი იუფრებოდა, მაგრამ იუფრებოდა იმ მხარეს, სადაც პოლინკა დადიოდა. უნდოდა ერთი კარგად ეწვალეინა თავისი ცოლი.

ნუ გამტყუნებთ საქსსა. იქნება თქვენ არ იცოდეთ რა მწკავია და თან რა გულის მიმტაცი, როდესაც აწვალეებთ ბავშვსა, რომლის ერთს ბეწვში, ერთს ღიმილში მზადა ვართ შევწირთ ნახევარი ჩვენი სიცოცხლე? და მერე წვალეება წვალეებისა ჰქვიან.

ამ საგანზედ მე ძალე გიამბობთ თქვენ მეორე ამბავს... ამბავს სამწუნაროს, საშინელს...

საქსი კიდევ გაჩუმებული იყო და იჯდა შეჭმუნვილი, თავ-ჩაღუნული.

პოლინკამ გამოიტანა თავის საწოლ ოთახიდან რაღაცა წიგნები და მივიდა ქმართან.

— შეჭხედე, კოსტია, უთხრა იმან, რა გამოეგზავნა დღეს ჩემთვის ტასია ზაპოლსკის ცოლს. როგორ გგონია, წავიკითხონ? დიხს იმათა? შენ ხომ ყველაფერი იცი.

საქსმა ჩაჭხედა წიგნებს: ის იყო გაუთავებელი ძრანტუ-ზული რომანი.

— გადაჭყარე, უთხრა იმან: ისა სჯობს სულ ახა წაიკითხონ. რა მაგისთანა სამაგლობით გემოვნების წახდენას.

— მე რომ მინდა წავიკითხონ რამე— უთხრა პოლინკამ და აიღო ეტაყურკიდან შორეულ-სანდის რომანი.

— ეგ კარგია, პოლინკა, ძალიან კარგია, მაგრამ ავი შენ შორეულ-სანდი გამოლანძლე.

— მართალია, დანაშაული მაქვს, მაგრამ ესლა კი წავიკითხავ.

— ამას გარდა შენა სხილდი რომ მაგისი ახა გესმის—რა.

— უხალისოდა ვკითხულობდი და იმიტომ; ესლა კი ვეცდები კარგად გავიგო. თუ გინდა კოსტია, — უთხრა პოლინკამ მხიარულის სახით, რომელზედაც გამოხატული იყო მეტი-მეტი სიწრფელე. — თუ გინდა მე ვისწავლი ამ წიგნსა; ჭხედავ, — და აქ გადაკეტა ორი ზემოთი ფურცელი, — მე ამას ვისწავლი, როგორც სკოლაში ვიზუპირებდით ხოლმე: «დრო აჩის თქვენი თვალები ზეტას მიმართათ... კალიპსომ კვლარა ინუგეშა—რა...»

— გაგონილას! დაიყვირა საქსმა და ამ გადაჭარბებულმა პოლინკას სიწრფელემ მოთმინებიდამ გამოეყანა. — ერთი მითხარ, ეშმაკობ, თუ რა აჩის? ბოლო აღარ ექნება ამ ამბავსა?

— რასა სჯავრობ? — უთხრა პოლინკამ და კიდევ მიუტანა ხაჩეკნებლად შიწყელი ფურცლები წიგნისა.

— განა ამას იხეზიერებს ვინმე? განა შენს ხანში ზეპირად სწავლობენ რასმე? მოთმინება გამომეღია.

მოხსმე საშველად მოთმინება და ფიცსმა საქსმა გამოგლიჯა ხელიდამ პოლინკას თავის საყვარელ მწერლის რომანი.

— მომეც წიგნი, — შეჭყვირა პოლინკამ, თითონაც მოთმინებიდამ გამოსულმა — მე მინდა წავიკითხო ეგა.

— რას ჩადინართ ქალ-ბატონო!

— რას ჩადინართ, ბატონო! — უთხრა პოლინკამ და დახბრავუნა ფეხები, ჯერ ერთი და მერე მეორე.

— რას ჩადინარ, რას ჩადინარ! — აღტაცებით ეუბნებოდა საქსი, სტაცა ორივე ხელი ცოლს და თავისთან მიიყვანა. — ეგრე, ჩემო კარგო, ეგრე! გამლანძლე, გამიწყურ, ჯანაბას გამგზავნე! ჯანაბას, ეშმაკებთან!

— ჯანაბას გაგზავნო, ეშმაკებთან! შენ ის გინდა, კოსტია, რომ მე ბიჭსავით მოვიქცე.

საქსი დამარცხდა. ამ ამბავმა ის განახიერა და თან დაღლა, როგორც უგონოდ შეუვარებულთ ემართებათ ხოლმე. იმან დასვა პოლინკა მდივანსედ და თითონაც გვერდით მოუჯდა. ასლხ დაწიგება პოლინკას შესვდა.

— კოსტანტინე, — მძიმედ წარმოსთქვა პოლინკამ, მაგრამ ქმარი უურს არ უგდებდა და ჰკოცნიდა ფუნჩულა ეელში. — დიდ ხანს იგიუბ კიდევ, იშოფოთებ უბრალო რამესედა? ებროგორ იქნება? ქვეყანაში სცხოვრებ, ჩემო საყვარელო, ხალხში სტრიალებ...

— მადლობას მოგახსენებთ! — უთხრა საქსმა და სიცილი ველარ შეიმავრა. — პირიქით რომ მევე მარბებს! მევე რომ მტუქსავს. მაგრამ ილაპარაკე რამდენიც გინდა, მე რა შენადგლებ, ოღონდ მაგ ხმას კი ნუ შეიცვლი.

დიდ ხანს ელაპარაკებოდა პოლინკა თავის ქმარს სხვა-და-სხვა ჭორებს, დედისაგან გაგონილს, ვიღასაც ფეხის ხმას რომ არ შეეწევიტა იმის დაწიგება.

შემოვიდა მსახური და მოახსენა, რომ თავადი გალიცვი სთხოვს კოსტანტინე ალექსანდრეს ძეს და პოლინა ალექსანდრეს ასულს ნახვის ნებას.

— საიღამ გაჩენილა, წამოაძახა საქსმა.

— წიგნები აქვს მოსართმევი, — მოახსენა მსახურმა, თითქმის უშასუხაო თავის დაფიქრებულს ბატონს.

— თავის დისაგან იქნება, ანუტასაგან! სიხარულით შეჭყვირა პოლინკამ. — სთხოვე, სთხოვე, მობძანდეს! — მსახური გავიდა.

— უწესო არ იქნება მაგის მიღება? ჭკითხა ცოლს საქსმა. ეგ ხომ შენ გირთავდა?

— ესე იგი აზირობდა შეერთვას, მაგრამ მე რა მჯობის? თითონ ამცდა. შენ ხომ იცნობ?

— ვიცნობდი კაკასიაში და აქაც მინახავს. ესლა კიდევ დამჭირდება ნაცნობობის განახლება და არ ვიცი კი რა ვუყო? შენი ნათესავები მაგასთან ვერ არიან კარგად, ჩემის ნაცნობებისათვის კი ეგ უმაწვილიც არის და დიდის გვარისაც. ისევ მთლად შენს მიჯარველობის ქვეშ თუ მიიღებ.

პოლინკა გაწითლდა და გულმა ძკურს დაუწყო.

### თ ა ვ ი III

შემოვიდა ტანადი უმაწვილი აჭიცერი და პირველისაკე მისაღმებისა და მოკითხვის შემდეგ, მისცა გუთუნილებისამებრ წერილები, რომლებშიაც ვიცნოთ, რაც ეწერა.

— ამ წერილის მოტანა ჩემგან დიდი სამსახური არ არის, — სთქვა გალიცკიმ, როდესაც მისცა საქსს ზალეშინის წერილი, მაგრამ პოლინა ალექსანდროვნასგან კი განსაკუთრებით მადლობას მოვითხოვ; ამ გვარ წერილებისათვის ფოსტა მეტად წყნარ დადის და მე კი ფოსტაზედ სწრაფად მოვიდი.

— რასა იქს ანეტა? ხომ კარგად არის? მომეცით აქ კვ წერილი. დაიწყო პოლინამ კითხვა თავის მეგობრის წერილისა, და სრულიად არა ჭეჭირობდა რომ ოთახში იჯდა უცხო კაცი, რომელიც მარდად თვალს ადევნებდა ყოველს იმის ტანის მოძრაობას.

საქამა გადასდო თავისი წერილი და დაუწყო ლაპარაკი გალიცკის ომიანობაზედ, სადაც ოდესმე ბედმა ერთად შეჭყარა ესენი; თან გამომცდელის თვალთ აცქერდებოდა, სინჯავდა მას და თითქო ესამოვნა კიდევ იმისი ნახვა.

თავადი ალექსანდრე ნიკოლოზის მე იყო კაცი იმისთანა იშვიათის შესუდულობისა, რომელიც პირველისაკე ნახვით მოეწონებათ ხელმე კაცებსაც და ქალებსაც. იმის პირის-სახე იყო სწორე და მოყვანილი, ავად-მყოფის სახესავით ფერმკრთალი და ამ ფერ-მკრთალობის გამო უფრო ეტუებოდა ლაპათი და გონიერება. ამ ლამაზს სახეს აშვენებდა შავი ჰატარა უღვაშები, ზემოდ შეგრესილნი. ტუჩები ნაზად, ყმაწვილურის ალერსით გამოიციქირობდენ და ეს სახის მოყვანილობა დიდ ხანს რჩება გაყ-კაცთაც, თუ იმავე ჰატარობითვე ლამაზნი ყოფილან.

ის იყო მაღალი და ტანადი, მაგრამ ტანი ფოსტა მეტად წერილი ჭქონდა, თითქოს შემდგარიყო და არ იყო დამთავ



რბული. თეთრის რქობეკედით ნაკერი მუნდირი მას უფრო აყმაწვილებდა.

— რასა იქს ჩემი კარგი ზალეშინი? გაუახლა საქსმა დაწყობილი ლაპარაკი, — ისევე თავისებურად კითხულობს თავის მანტაგრუელისტსა? ხომ ერთი-ერთმანერთთან კარგად მოეწყეთ?

— დიდი ხანია აღარა მყოფია მე იმისთანა კარგი ნაცნობი, მიუგო გალიცკომ. — წინ წავიდოდა თქვენი ამხანაგი, ზარმაცობაში არ იყო.

— ეგ თითონ იცის, — მიუგო საქსმა, — ან რად უნდა დავინახოთ? მე დარწმუნებული ვარ რომ ის სრულიად ბედნიერია.

— დიაღ, ის აქაც სრული ბედნიერი იქნებოდა. თუნდ მთელი სამინისტრო ჩაბარეთ, ის ისევე მსიარული და მოსკვენებული იქნება; სკამს, სკამს და გასაოცრებად იშრომებს. სამსახური მხოლოდ ეჭვიან კაცებისათვის არის ძნელი.

— ესე იგი, თქვენ გინდათ სთქვათ, რომ სამსახურში მყოფი კაცი...

— უნდა განცხრომის მოვარე იყოს; და ამიტომაც სამსახური სწორედ ზალეშინისთანა კაცისთვის არის გაჩენილი.

— ეგეც მართალი უნდა იყოს... რაც უფრო მეტად გაცქერდებით, ეუბნებოდა საქსი, — უმეტესს ცვლილებას ვხედავ თქვენში. თქვენ უფრო გამხდარხართ, ვიდრე წამლობის წინ იყავით.

— მე ცხელებით ვიყავ ავად... წულების შემდეგ.

— ნება თქვენია და სამაგლობა კია წულებზედ სიარული. განა არის რამე ქვეყანაზედ უფრო საზიზღარი, უფრო მოსაწყენი ვიდრე ის რაღაც კარლსბადი და იმის მოგავსი სამკურნალონი!

— ჩემთვის უფროც საზიზღარნი არიან, სთქვა დიმილით

გალიცკიმ, — თუმცა კი თითქმის სამკურნალო აუზში ვარ და-  
ბადებული. მე ცოტას ხანს დაგჩნე გერმანიაში, გაზაფხულზედ  
იტალიაში გამოვიარე...

პოლინკას გაუთავებინა წერილის კითხვა, იჯდა განუმე-  
ბული და ტუჩებს იკვნეტდა.

— მე ცოტას ხანს აქ ჩემს ცოლთან დაგანებებთ თავსა, —  
უთხრა საქსმა და აიღო წაღებინის წერილი. — ამას მოთმინე-  
ბა აღარა აქვს: უნდა თავის მეგობრის ამბავი გამოგკითხოთ.  
ვწუხვარ რომ ძალე უნდა წავაღე პეტერბურლიდამ, თუმცა დი-  
დის ხნით კი არ მივდივარ. თუ თქვენ თავისუფალი ხართ,  
დაჩნით ჩვენთან სადილად.

გალიცკიმ თავი დაუგრა.

— მე შეუძლება წაშლასკი, რომელსაც თქვენც იცნობთ, და  
ერთი მსატყარი იტალიიდან. თქვენთვის ეს უძჯობესია: იმას-  
თან იტალიაზედ ვილაშაჩაგებთ და თქვენთან აგაკვასიის შოფ-  
თანს დროზედა.

საქსი გავიდა და თან წერილი გაიტანა.

წინადა, შეწუსებული სხნით, რომელიც ისე შეკნოდა  
მას, მივიდა გალიცკი პოლინკასთან.

— მომიტევეთ ამას თუ არა, პოლინა ალექსანდროვნა,  
უთხრა მან ჩუმიად და დადგა პოლინკას წინ გულ-სულ-დაკრე-  
ფილი.

პოლინკა მთლად გაწითლდა; შემდეგ თეთრის ტილოს  
ფერი დაეღო. მას ებრალებოდა, ეშინოდა და რცხვენოდა.

— კნიაზო ალექსანდრე, უთხრა მან, მანსიონის ჩვეულებ-  
ისა-მებრ; — რა უნდა მოგიტევეთ! მეც მართალი ვარ და  
თქვენცა... თქვენ აღბად ეს წერილი წაიკითხეთ?! უცბო შეკ-  
ვირს მან და სელმეორედ გაწითლდა.

— ანუ გაიღიმა, ანუ შეიჭმუნეს და ისე მშვიდობიანად აიტანა გაღივილი ეს ძნელად ასატანი სიწრფელე.

— თქვენ იცით რასაც იწერება? წარმოსთქვა პოლინკამ და უნდოდა გაესწორებინა თავისი შეცდომილება.

— მე მივხვდი; — მწუსარებით უზარულს გაღივილი; — მაგრამ რაღას ვაძლავ? დამნაშავედა ვცნობ თქვენს წინ ჩემს თავსა, და აღარც შემიძლიან ვისთანმე დავფარო... ეს წერილები დავასაბბე... მე მხოლოდ თქვენი ნახვა მინდოდა.

პოლინკას სრულებით შეეშინდა და კვლავ გაბედა შეხედნა გაღივილისათვის.

— იქნება ჩემი გეშინიანთ? — განაგრძო გაღივილი. იქნება გგონიათ, რომ ჩვენს დროში სიყვარული წრეს გარკვევად გადაიყვანს კაცს... განა ჩვენს დროში სიყვარულისაგან ტანჯვა შეიძლება?

პოლინკა გაშტერებული იჯდა და არ იცოდა, რა ეთქვა.

— მე პირ-და-პირ გუბუკით თქვენ, როგორც უწინ გელაშინებოდათ სოფელში. მე თითონაც არ ვიცი, მიუვარსართ ესლას თუ არა; არ მოკვლადი, რომ თქვენთან ღაშინაკს მოვასწავებდი. მთელს მოგზაურობაში ერთხელაც არ მომღანდებია რომ ხელზედ მანც მეტრსა თქვენთვის... მხოლოდ ერთი გამართული სურვილი მქონდა — ის სურვილი რომ თქვენ გიყუროთ, პოლინკა აღუქსანდროვნავ. იქნება ასე არ უნდა მოვიქცე, მითხარით პირ-და-პირ...

გაღივილი პირ-და-პირის გზით მიდიოდა. ზღანი დამარცხებისა სრულიად უბრალო იყო. პოლინკასთან სიყვარულზედ ძალაღ ფარდებში ღაშინაკი არ გამოდგებოდა.

ეს რომ გაიგონა პოლინკამ, უფრო გამხსნევდა და დასტკბოდა გაღივილის ფირუხის ფერს თვალებს.

— მარცხებს მე ეგ ლაშაჩაი! თქვენ აღბად ბეკსა ფიქ-  
რობთ კნინსო ალექსანდრე... უთუოდ სულ წიგნებსა ჭკით-  
ხულაობთ? თქვენ უნდა სშირად იაჩოთ ბალებში... ბეკრი ნაც-  
ნობები გყავთ...

— მე ბეკსა ვფიქრობდი ამ მწუნარების მიწუნსედე,—  
სთქვა გალიცკიმ.— ვფიქრობდი, რადა მსქეს ასეთი საშინელი  
სურვილი, რომ თქვენ გიუფროთ... არ ვიცი, გითხრათ თუ  
არა: ერთს დროს მე ექიმებსაც დაჰკვითსე, რასაკვირველია  
თქვენს სახელს არ ვეტყოდი. ეს ავად-მყოფობა მხოლოდ  
ჩემთვის არის დასადრუპვი... იქნება გადაძიაროს კიდევ. აი  
ერთმა თქვენმა შემოხედვამ უკედ გამხდა, დამამშვიდა.

— ეგ სულ უბრალოა,— უთხრა პოლინკამ უფრო თამამად,  
— თქვენ უნდა იმხიარულეთ, ქალადი ითამაშეთ... მე დი-  
დის სიამოვნებით დაგეხმარებოდით, მაგრამ სულ ერთი-ერთ-  
მანერთს ხომ ვერ ვუფრობთ.

— აი შე ეშმაკო,— ჩაიფიქრა გულში გალიცკიმ,— როგორ  
მარდად, თუმიცა კი მოუსარებლად მიხვდი ჩემს სისუსტეს!  
ერთი კიდევ ვეცადეთ, ცოტადა გვაკლია!

— თქვენ მგონია სასაცილოდ იგდებთ ჩემს მწუნარებს!  
წარმოსთქვა მან ხმა-მადლა. მაინც ვაძლავობთ, მონაწილეობი-  
სათვის. ვინც უნდა დამცინოს... მე რა მჯობს! თლანდ თქვენი  
ხანკა კი შემეძლოს. ჩემი მდგომარეობა საზოგადოების წეს-  
სა და კანონს არ ეთანხმება. მე ჩემი მდგომარეობა ისე სა-  
ოცრად და განსხვავებულად მიძინია, რომ მზადა ვარ მივიდე  
თქვენს ქმართან, ავუსხსა ყოველისფერი... და ის თითონვე...

— რას ამბობთ? დემთო ჩემო! გაჩუმიდით! იმას ნურას  
ეტყვი... კრინტი რომ დასძრათ — თავის დეეში ხმას აღარ  
გაგცემთ.

საბრალლო ბავშვი ისევ გადაფითრდა: სისხლით შეღებილი სურათი დუგელისა, რომელზედაც ამის ერთგული მეგობარი იწერებოდა, წარმოუდგას ცხადად თვალ-წინ.

— არც ერთი ასე არ შეიძინა ივერ-მკრთალ გალიცკის სახესედა.

— მე იმისი რად უნდა მეშინოდეს? — ამბობდა მწუსარებით — მე უფლებს არა მაქვს რა და იმის უფლებისა კი გულისთანაღი ჰეტივის-მცემელი ვარ. მე დიდს არსსა ვთხოვ და ისიც კეთილ-შობილის გულის კაცია.

— მე თქვენს ვთხოვთ, თუ რომ თქვენი და გიყვართ, ერთი სიტყვა არ უთხრათ კოსტანტინეს... შემდეგში მე თითონ ვეპტვი...

— რა, ეს კარგი საქმეა, — სიამოვნებით გაიფიქრა გალიცკიმ. ერთი კიდევ შეუერთეთ!

— გასაშტერებელია — დაიწყო მან ხმა-მადლა — საკვირველი კაცია! მე იმისგან ამას არ მოველოდი. დროედენში ვნახე მადონა. რომელსაც ისე არავინ მიუხსლოვდებოდა, რომ არ შემკრთალიყო და ცრემლები არ გადმოეყარა. იმ გასაცნარ სურათთან ყველა მიდიოდა, არავინ არა სდევნიდა გამკლელ-გამომკლელს, არავინ ეუბნებოდა: მარტო მე მაქვს ამის ყურების ნება...

გალიცკი განუძღა. ჰოლინკა იჯდა თავ-დახრილი და თავის მარტის ბოლოს ათამაშებდა. თვალებს ხშირად ახამხამებდა, ეტყობოდა, რომ ცრემლები მოეკრია.

ეს სიხუმე დაარღვია საქსმა და რძმა იმისმა ამხანაგმა, რომელნიც ოთახში შემოვიდნენ.

— აბა, ვისადილოთ კნაზო! შემოხმას მან გალიცკის — ვთხოვთ იცნობდეთ, — მაგრამ სადილზედ გავიცნობთ ერთმან-

ეროს.— ზოლინა, — მიუბრუნდა იგი ცოლსა. — ჩემი მკვარობა  
 ორის დღით გადასდეს.

საქსი ამ ამბავმა ძალიან ასიამოვნა. ზოლინაკაც კმაყოფი-  
 ლი იყო, რომ საბრალო გალიცკი ასეთი ჩემი აღმოჩნდა. კმა-  
 ყოფილი იყო გალიცკიც, თუ არა, — ამის არ გეტყვით და — რა-  
 გორც მოამბეს — უფლებაცა მამკს არ გითხრათ.

#### თ ა ვ ი IV

I. — თავადის ა. ნ. გალიცკისაგან სტატსკი სოვეტნიკ პისარენკოსთან.

პეტე-ცემულა სტეივანე დიმიტრის ძეგ! საშინელი ამბა-  
 ვი მოამბეს მე თქვენი! სასამართლოს სელში ჩავარდნილხართ;  
 ჩვენს უანგარო ჯაშუშებს მოუსწიათ თქვენი მშვიდობიანობა:  
 დიდადა ვწუხვარ და გულით მებრალებით. გახსოვთ, განსვენე-  
 ბული მამა-ჩემი გეტყოდათ სოლმე: «სტეივან დიმიტრის, ნუ  
 აიღებ მაგ ადგილს; მხელის სამსახური მოხუცებულებისათვის  
 ესლანდელს დროში: ახალი ჩამომავლობა ყოველისთვის მუს-  
 რავს და არა გაეგება-რა კი.»

მეც ასე ვფიქრობ, რომ ეს ბრძოლა იმათთვის არის ცუ-  
 დი ვისაც მოკლე დღელა აქვს. საიდღამაც გამოხტენ უსუსუ-  
 რი ბავშვები, ჯევირიან მალდას პეტროსნებასედ, თითქმის  
 სტორიან... ესენი კიდევ არაფერი, ამით ბევრი არა იციან-რა.

ყველასედ უარესნი კი ეს მეტიჩრები არიან, როგორც  
 მაგალითად თქვენი დიდი მეგობარი საქსი. საიდამ განხდენ?  
 ვისგან იშვნენ? წინად რას აკეთებდენ? — არავინ რა იცის. ამით  
 კი ყველაფერი იციან. ყველგან გამოსადგენი არიან; არა ცუ-

დობენ მალაღს ჰატიოხსებასუდ და ჩუმად, სხვის ზურგზედ მიტოვებენ მალაღს ადგილებისაკენ. ვინ იტის, რადის გადაშენდება ამისთანა ხალხი.

გულთ მინდა შეგწიოთ როგორმე სტეფან დიმიტრი, მაგრამ ხომ იტია, რომ ჩვენი საქმე როგორღაც არეულია. იმ თავითვე გალიტვის გვარის კაცებს შესანიშნავი საქმეები ქვეყნადთ ხალხე მინდობილი, მაგრამ იმ საქმეებისა არც არაფერი ესმოდათ და არც არაფერს აკეთებდენ. ასჯერ და ათასჯერ ბოდიშს ვითხოვ თქვენთან და ამასაც გუებნებით რომ ნუ დამოხვავთ: მე მომიკვდა ერთი ნათესავი, ჰატიოხსანი დედა-კაცი, რომელმაც დიდი ფული დამიტოვა.

ხსენების გლეს - კაცებს ისევ ძველებურად უპატრონეთ: შეძლესვალდი, თუ საჭირო იოეს, თქვენვე მოიხმარეთ. ხომ ვერ დაგანებებთ თავსა, თქვენ, ძველადგანვე ჩვენი რჯასის ერთგულს კაცს. მე თქვენთან სათხოვარი მაქვს, სტეფან დიმიტრი, სათხოვარი დიდი და უცნაური. მე მსურს როგორმე ვსამოგონო ერთი კაცი, რომელსაც სამწუხაროდ, თქვენც კარგად იცნობთ. ეს კაცია საქსი. რა საქმეს ვაპირებ, — ამას ესლა ვერ მოგწერთ; შეძლები ყოველისფერს გაიმბობთ — ხომ არ შეგჭამთ ეგ რაღაც სამართალია.

ჩემი განზრახვის შესასრულებლად საჭიროა, რომ დიდ ხანს დააბრკოლოთ საქსი იმ ადგილს, სადაც ესლა იმყოფება თქვენის საქმის გამოსამდიებლად. ეს ერთი კვირა არის რაც წამოვიდა და ეგ საქმეებს მარჯვედ არჩევს.

ამასთანავე მე აქ ვაგმინჯე, რაც არის დაწერილი თქვენს თაობასუდ. ცოტას ხანში გააჩვენებს ადგილობრივ ქალაქებს, გამომწეითსავს ჰოდრიანჩიკებს, ამითი საქმე გათავდება და დაბრუნდება შეტრბურდში ჩემდა სამწუხაროდ.

მე ვიცი თქვენი სწორე შესედულობა საქმესედ, სტკეფან დიმიტრის; თქვენ თითონ გამომიება კი ან გაშინებთ, იმისი გეშინიანთ, რა ბოლო მოჰყვება. «პატიოსნება თავისთვის იყოს, აღონდ საჭმელი მქონდესო,» ამბობს ჩვენი ჭკვიანური ანდაზა.

მაშ მე ისე მომიენდეთ, როგორც ქვითვირის კედელს: გაძლევეთ სიტყვას, რომ ყოველივე ხარჯი და დანაკლისი დაგებრუნდებათ თქვენ სარგებლით. ტყუილად სიტყვას რადი ვისმე ვაძლეე. მხოლოდ მომიხერხეთ, რასაცა გთხოვთ.

შეახერეთ საქსი დიდ ხანს—ოკში. გარჯი იქნება თქვენ-მა საქმემ ორი თვე მანინტ გასწიოს: მიხლართ-მოხლართეთ, ივისრეთ რაც ან მომხდ-რას და ნურაფერი გეფიქრებათ. გახსოვდეთ, რომ ყუთში უთვალავი ფული მიძეეს და ან ვიცი კი რა ვუყო. გარეშე ხალხს, თუ შეიძლებაოდეს, ნუ გარევეთ მაგ საქმეში; დაე ჩვენში დაჩქეს, როგორც ამბობდენ ოდეს-მე თქვენს სემინარიაში.

მაგრამ რადა ვთქვი ორი თვე! მე ვიცი თქვენი თაოსნობა; დღეიდან სამოცის დღის შემდეგ დაახლოვებთ. ისევე სჯობს დრო ან დაგინიშნეთ; დახლართეთ საქმე, განაგრძეთ, როდემდისაც შესაძლებელი იყოს. როდესაც ჩემი საქმე გათავდება, მე მოგწერთ ერთს სიტყვას: «კმადა,» მაშინ, როგორც გინდოდეთ, ისე მოიქცით. მართლად და, ესლა ფული ხომ ან გეჭირვებათ.

ან გეგონოთ კი რომ დიდი ხანი მოუნდეს გამომიებას. იქნება ჩემი სიტყვა «კმადა» ორს თვეზედ უფრო ადრეც მოვივიდეთ.

ესლა მომაგონდა, რომ თქვენის საქმის შესასებ უნდა ბიძა-ჩემი გრანტი \*\*\*-იც გამომჰკითხონ. იმის აზრს დიდად



ავსებსენ. რა კი ჩემს საქმეს მოვრჩები, თქვენთვისაც ვი-  
ფიქრებ.

მაშ მომეცით სელი, სტეფან დიმიტრის! შეუდგებით საქ-  
მეს და მომენდობით მე, განა? იქნება როგორმე თქვენც გა-  
მოგისხნათ. თქვენი ერთგული გალიცვი.

## II.—თავად აღუქსანდრე ნიკოლოზის ძის გალიცვისაგან კრასნიკის ცოლთან.

როდესაც მე და შენ ერთმანერთს გავშორდით, და, ჩემ-  
ში ჭკუისა და მოაზრების ნატამალი აღარ იყო. მართალია, მე  
ანთება ავიტანე, მაგრამ ვინ იცის, ვინ გააჩქევს რა იყო იმის  
მიზეზი: სიყვარული, სიანხსლე, თუ მგზავრობის დაღაღუ-  
ლობა.

ესლა კი შეგიძლიან მომილოცო, მე სამუდამო ანთება  
მჭირს. ეს არც სიყვარულია, არ სიგიჟე, ეს არის სიცოცხლე,  
ეს არის გადამღები ჭირი. შენ ხომ იცი ჩემი აზრი სიყვარ-  
ულზე: მე ამას ვერავინ გადამათქმევინებს, რომ გაძლიე-  
რებულს და წრეს გადასულს სიყვარულს იგრძნობს ის ქალიც.  
რომელიც კაცს უყვარს, თუ კი შეიძლება იმის ნახვას და იმას-  
თან ღაპანკას.

თუ კი მაგნეტოზორს შეუძლიან თავის ნებაზედ გვაიძა-  
მაშოს სულელურად თითების ფათურით, მაშ რა დიდი ძალა  
უნდა ჰქონდეს სიყვარულს, რომელიც ამწუნებს და ჰგლეჯს  
ძთელს ჩვენს სხეულს?

განა ეს არაიუერია, რომ დედა-კაცი კაცზედ სუსტი და  
რწინივ ერთმანერთისადმი ილტვიან, — და შემმუსვრელმა გულის-

თქმამ განა ამოდ უნდა ჩაიაროს და არ გააღვიძოს ზედ-მოქმედება და თანაგრძნობა?

მე გაშმაგებული მიჯნური ვარ. ტანჯვა ამიტომ უფრო მემატება, რომ უფელს უამს თავი უნდა შევიმაგრე, უნდა ვიბრძოლო. ერთი რამ მძლევს ღონეს: ძილი არა მაქვს გამოართალი. რა ვი დავამდება, დაქანტულს, მკვდასრსავით დამეძინება სოლმე. რასაკვირველია, სიზმარში სულ ამას ვხედავ; ან სხვა რა უნდა მომეზმანოს? მაგრამ მაინც ვი ძილი მამაგრებს.

მე შენი ზოლინგა უფრო ღამისი მეჩვენა, ვიდრე მამინ, სასწავლებლიდამ რომ გამოვიდა. ეს ჯერ ისევე ზატარა არის, თუტა ვი ტანი ძალიან შეუურია, უფრო გატანადებულია. ქმართან ღამისაკის ამასე კარგად უმოქმედნია, რადგან საქსი ტკვიანი და ენერგიული კაცია.

მაინც სშირად გონება მეჩვენა სოლმე, როდესაც ამასე ვივიქრობ. ეს არა ჭკავს არც ერთს იმ ქალთაგანს, რომელნიც მე მინასავს, და ამასთანავე თითქო ვეელასა ჭკავს. როგორც გინდა ისე ვაიგე. მე თითონ ჩემის თავისა არა ვამეგება-რა და უფრო-და-უფრო ვრწმუნდები რომ ზოლინგა გასაცვიფრებული რამ არის.

თქვენს ზნსიონში ეს ვეელასე მეტად სავყარელი და განუებერებული ბავშვი იყო. იქიდანამ გამოიტანა ეს გულის სიწრთელე და უცნაური ხასიათი, რომლითაც ვეელანი განთქმულნი ხართ შირველს ხანებში იქიდანამ გამოსვლის შემდეგ. შინ ამას ღმერთად რაცხავდენ; უკლიდენ როგორც ჩინებულს სათამაშოს, როგორც შეშელს; ეშინოდათ რომ ხელის მიკარებით არა ეკნათ-რა ამის ბრწყინვალე ფრთებისათვის. საზოგადოებაში ხელი-ხელთ საგომანებლად ჭყავდათ. მოხუნნი და ახალ-გაზდანი ჯგუფ-ჯგუფად დასდევდენ ამას,

რომ სისულელე რამ ეამბნათ და ამისაგან ემაწვილური ჰასუხნი გაეგონათ.

შეუძლებელი იყო, რომ ამ სამ-პირს ნებეგრობას ამის ხსსიათხედ კვალი არ დაეგდო. ამით არც წამსდარა, არც გაუჭიათებულა, მაგრამ უფრო უარესად უმეჭმედნია: სრულიად შემდგარა ამისი ზნეობის დამთავრება. ეს როგორ მოხდა — ამის აღწერა სხვებისთვის დამითმია.

ამიტომაც ეს ცსრამეტის წლისა ისეთივეა, თითქო ღამანი, ჭკვიანი და საყვარელი თორმეტის წლის ბავშვი იყოს.

ღმერთო ჩემო! იქნება ამიტომ მიეგარს მე ეს ასე გაშმაგებულს, ასეთის განწირულებით. ადრე დავიწვეე ქალებში გამარჯვება და ამიტომ გულ-გრილად ვსჯიდი ქალების სილამაზესკედ. ამისთანა გარგნებულ ყოფილამ გამოსვლისათვის, საჭირო იყო ყინიანი სიყვარული, თითქმის უთავბოლოდ გულში ჩასასული. აღმოჩნდა კიდევ ეს სიყვარული: მე გავუმიჯნურდი ბავშვსა და არა ქალსა.

ეს სიყვარული, ქალისადმი სიყვარული როდია. ეს არის გულის-თქმა ანგელოზთან, რომელმაც გონება დამიბნია თავის ემაწვილურის მშკენიერებით; ანგელოზთან, რომელმაც იმდენად იცის ჩვენი ცხოვრება, რომ შეუძლიან გამოგველამაზონ.

ძველებური შედარებაა ქალისა ანგელოზთან! მეც ხშირად შემიდარებია და ესლა ვინანვი ამისთანა ღვთის წინააღმდეგობას. ქალები საზოგადოდ გარგნი არიან, მაგრამ ანგელოზს მე მხოლოდ ერთს მათგანს ვუწოდებ.

მართლ პოლინკა არის ანგელოზად წოდების ღირსი. ამაში ყოველივე ანგელოზურია: ამის სასე, რომელსედაც მქნდაკებელს შეუძლიან ამურის სტატუისათვის სახის მოყვანილება

გადაიღოს; ამის ტანის სიმცირე, საკვირველი კეთილი გული, ნიჭი ერთგულებისა, ნიჭი სიყვარულისა, რომელიც მთელს ამის გვამშია გაბნეული.

მაგრამ ვაიმე! ეს სიყვარულის ნიჭი, ქალთა ყოველის სიკეთის სათაურნი, არ არის გავითარებული, მისგან შეგნებული. ყოველისივერში სჩანს იგი: დაღვრემილ ქმრის ერთგულებაში, მოშობლების სიყვარულში, რომელნიც ცალ-ფულად არა ღირან, ფრინველებისა და ძაღლების სიყვარულში და ჩემდამი თანაგრძნობაში, როდესაც ამის ფეს-ქვეშა ვტირი.

მე რომ ერთად შეგვრიფო ეს სიყვარულის გრძნობა და ჩემდამი მოკმაერთ იგი... რა, მასწინ არ ვიცი, დავრჩებოდითა მე ცოცხალი, თუ მოკვდებოდით ამის თვალწინ მეტი სიხარულით?

როგორცა სჩანს ჩვენი ერთმანერთთან დამოკიდებულებას წრეს გადასცილდა. მე ამასთან ყოველ დღე დავდივარ, ვუკონნი ხელებს, შირ-და-შირ კვლავარაკები ჩემს სიყვარულზედ, ვეხვი და ვეონნი. როდესაც ჩემი შემავრება უნდა, საკმაოა მწუნარეს თვალთ შეხედო, დავიდო განურებულს შუბლზედ ამისი ჰაწაწა ხელები... და ჩემი კარგი ბავშვი ივიწუებს ყოველივეს, მამლევს ნებას, დავკონნო იგი და მასთან ერთად ვიტანჯო. ყველა იტყოდა, რომ მე მხიარულად უნდა ვიყო, აღტაცებისაგან თავბუდი უნდა მავიწუდებოდე, მაგრამ შინ რომ დავბრუნდები ხოლმე, ვიტანჯები საშინლად, ვიგლეჯო თმებს თავზედ.

რა შელავათია ჩემთვის, რომ ეს ყოველთვის მე მეტანცება ბალებში, შინ კონნის ნებას მამლევს, მეუბნება რომ ამისა ცა ესამოგნება ჩემი ყურება, რომ მე ასეთი ღამაწი ვარ!? ეს თავის ქმართანაც იტყვის ამას და იქმს კიდევ.

სიყვარულზედ ერთი სიტყვაც არ უთქვამს; სრულიად არ

ეტყობა ის მღვდელმწიფის, რომელმაც ამ ერთს თვეს გულ-გვამი ამომიდავა.

მსოფლივ ერთს დღეს—ღმერთის დაღვრის ის დღე—გამოვიხსნე ამის გულიდან წაღწა გრძნობის მზგავსი, რომლის სახელიც კი ვერ მიპოვნია. ეს რომ არ ყოფილიყო, დაღვრულს გამოსაღებოდა ჩემს წერილებს: შირ-და-შირ, გულ-მარ-თლად გეტყვი—ერთი კვირა კიდევ რომ ამ ყოფაში ვყოფილიყავ—ჩემის ხელით თავს მოვიკლავდი.

ესაა კი, ამ სიტუაციას რომ ვიგონებ, დროებით მიმიშვიდდება გული, და შემიძლიან მოგწერა გარკვევით და დაწინარებით.

შენ წასაკვირველია, მისვლებოდი, რომ საქსი პეტრობურღში არ არის. წასვლის დროს სთხოვა თავის მეგობარს ზაზულასკის, რომლის თხოვნებს შენც სანდისხან კითხულობ ხოლმე, პოლინკა გებარებოდაც, გაართე რომელიმე ჯერ მოაწვიანო. ზაზულასკი ჩემთანაც კარგად არის, იცის რომ საქსის ცოლი ყოველთვის დახსნაბული იყო ჩვენს ოჯახთან და ამიტომ ისე მოვასერსე, რომ თავის თანამემწედ ამიყვანა. მანც თითონ საქმეებში გართული კაცია და ცოლ-შვილიანი. ჩვენ ვატარებდით პოლინკას თეატრში, შინ ასაღ ამბებს ვუამბობდით, ვუზიდავდით სათამაშოებს ინგლისურ მღვდლისადმი, ვუკითხავდით ყურნალებსა, და ვუძღვრდით გაუთავებელ რომანსებს.

ამ სამის დღის წინად, საღამოზედ, ზაზულასკიმ მოუტანა ამას ნოტები და სურათები ბლემად და თითონ წავიდა თეატრში ბილეთის ასაღებად. მე მარტო დავრჩი პოლინკასთან; მთხოვა ვიძღვრო რამე. მე ვარჩევდი ნოტებს, ვლამაზავდით შენზედ. ვუამბობდი, რომ ვცდილობდი კარმუსში,

მაგრამ დალაგებულ დაპარაკის დროს ხელ-ფეხი სრულიად გამეუინა და სისხლი სულ ერთიანად გულთან აშიდუღდა.

წინ ტენორის რამდენიმე ნოტები მეუარა, მაგრამ სულ უსიამოვნო და მოსაწყენი... და მე კი მსურდა შემღერა... მუსიკა ამისთანა შემთხვევაში ყოველთვის მამშვიდებს ხოლმე.

ამ დროს, ნოტებში ვიპოვე ლოცვა, რომელიც კარგად ვიცნობდი... ვისია არ მახსოვს და არცა მცალიან ამის გამო-საკვლევად.

დავიწეე ამ ლოცვის სიმღერა და თან ვფიქრობდი პოლინიკასზე. მე ვლოცულობდი ჩემს ანგელოზზე და ეტეობას ლოცვა მსურვალე ლოცვა იყო.

პოლინიკა გაჩერდა ჩემს უკან და დამაწყო მხარზედ ხელები...

— გმადლობთ ალექსანდრე — მითხრა იმან და ხმა აუკანკალდა. — მე მივწერ თქვენს დასა, რომ ასე მანებოებო.

მე უკან მოვიხედე: აღისიყვრი რიყრახი პეტერბურგისა მოსდგომოდა ფანჯარას და მის ვარდის-ფერი შუქი მთელს ოთახს მოჭებოდა; სურათზედ დასატუფლავით სჩანდა ამ ვარდის-ფერს ალაგზედ სახე ჩემის მშვენოერის ბავშვისა. პოლინიკას ეცვა თეთრი კაბა, თმა ქალურად არა ჰქონდა დავარცხნილი — ერთს ნაწნავად შემოესვია თავზედ — ცრემლით სავსე თვალებით თანაგრძნობით მიუხრებდა მე.

— ანგელოზია, ანგელოზია!

გონება ამერია, დავეცი იმის ფეხ-ქვეშ და დავაკარ ტუჩი ამის პაწაწა ფეხებს. თვალთაგან ცრემლები სეტყვასავით გადმომცვივდა. საშინელი ქვითქვითი ამივარდა.

ჩემი სიევარული უკანასკნელს წრეს გადასცილდა და გამოუოქმელის ძლიერებით იჩინა თავი. აღამიანის წინაშე ეს

შირველი ტირილი იყო ჩემგან. ვტიროდი, მაგრამ გულში წაღაც სმა მეუბნებოდა, ამ წამს შენ ძალი და ძლიერი ხარო.

ამან ამაყენა და დივანზედ გვერდით დამისვა: თავის ჰაწის ხელები ჩემს გასურებულ თავზედა ჰქონდა დაწყობილი.

— საშინკა, ჩემო მეგობარო, — მეუბნებოდა და მივლიდა როგორც ძუძუს-მწოვარ ბავშვს — გუეოფა ბავშვობა: რა დაგემართა? ხომ იცი რომ მიყვარხარ? რაღა გატირებს? რას იტყვის ჩვენზედ ანეტა?

მაგრამ გადაძვებმა სხეულებამ იწყო თვისი მოქმედება: ღრუები აუწითლდა, გულის ძვერა მოემატა.

ახლას მომივლდა და მესვეწებოდა, რომ თავი დავანებო და სიყვარულზედაც ხელი ავიღო.

— ჩემო სიყვარულო! — სხვათა შორის მეუბნებოდა ესა — მე არ მესმის, რა მოგწონა ჩემში? აბა კარგად შემომხედე, მე სრულებით ღამაში არ ვარ...

მასუგან საბუთებით მიმტკიცებდა, რომ ღამაში არ არის. აბა წარმოიდგინე, ეს საბუთები მე მომასვენებდა თუ არა. დასუსტებული გული გამოვარდნას მიპირებდა და პოლინკას ამ კაპლურ ქრეკაზედ თავი ვეღარ დავიჭირე და საშინელმა სველამ კინაღამ დამაღრჩო.

პოლინკა შეშინდა, მაგრამ ერთს წამსაც გონება არ დაბნეოა. იმ დროს უნდა გენას ესა და მამის მისვლებოდი რა გამოუთქმელი ძლიერება და მიმზიდველობა ჰქონია ქალის სულსა. ამას დაავიწყდა თავის-თავიც. მეც, ქმარიც, — ეს ჩემში სედავდა მხლელად ავად-მყოფს მეგობარსა.

მაივრა ჩემი თავი თავის გულზედ და ხელები წელზედ შემომასხვია.

— დიკრთო ჩემო: კმარა, კმარა, საშინკავ! — მეუბნებოდა და

თითონვე სტიწოდდა—ღმერთი მოწყალეა, კბ ყველა გაივლის, ყველა დაჰვიწყდება დაძიანს... გვეოფა მწუნარება, შენს თავს გაუფთხილდი... ხომ იცი, მეც მოკვდები, თუ რამ მოხდა.

ამ დროს უნდა დაბრუნებულიყო წაპოლსკი და თავისი ცოლი მოეყვანა.

პოლინკას წყალობით, მალე მოკვდებინდი და იმ საღამოს თეატრშიაც წავედი.

წარმოიდგინე, რა ბევრს რასმე გავიგონებდი თეატრში! პოლინკა კი იცინოდა და პიესას გულ-მოდგინებით უგდებდა ყურსა.

შენ ხომ იცი რომ როდესაც პეტრობურღში მოვდიოდე, სრულებით არა მქონდა—რა გადაწყვეტილი პოლინკას თაობაზედ. მინდოდა შენსა, გათხოვება შემიყნებინა, იქნება არმყოფობაც დამეწო, —აი ეს იყო ჩემი სურვილი. მაგრამ ესლა კი ჩემი ზღვანი მტკიცე აღმოჩნდა და მეც არც ერთს ნაბიჯს არ ვადავცილდები.

პოლინკა არ არის იმ ქალებთან, რომელთაც სიყვარულის მასეში გააბამ და თავს დაანებებ. სადაც სხვა ქალებთან სიყვარული თავდება, პოლინკასთან იწოება იგი. ჩემთვის რაა რომ ვუფლობდე პოლინკას თვე. წელიწადი, თუნდა ვუფლობდე გამოუწირავდა. მე ეს მინდა ჩემთვის მთლად ერთიანად, სრულებით, საუკუნოდ.

მომბიტევე, დაო, ქალები ძვირ-ფასი თვლები არიან, რომელთადაც სასიამოვნოა ზოგჯერ თამაშობა, ხანდისხან მათი ხმარება, მაგრამ პოლინკა კი მათში მსხვილი ბრილიანტია; ეს უნდა საუკუნოდ გეკუთვნოდეს, უნდა მალავდე სხვების თვალთაგან, რომ ძირიანად არ ამოგდონ ეს ბრილიანტი, რომელსაც არა აქვს ფასი.



ეს ანის ცხრამეტის წლისა, ძარღვებშიაღ სისხლი უდ-  
გია... ვთქვათ დროს შევირჩევ... ჩავიგდებ სეჟში... ოჰ, ამა-  
ზედ რომ ვიქნებო... სისხლი მიდუღს... კმაყოფილი კი ვიქ-  
ნები? მე ვთქვი კიდევ, რომ როდესაც ვგეღა თავდება სხვა  
ქალებთან, პოლინკასთან მხოლოდ მაშინ იწყება სიყვარული.

რად საჭიროა ბევრი იქნები, გამოცანები და შუა გზა-  
ზედ გაჩერება: ან ეს საუკუნოდ ჩემი იქნება, ჩემი განუშო-  
რებლად, ან მე აღარ ვიქნები ცოცხალი ქვეყანაზედ. საქსის  
დაბრუნებით უნდა გადაწყდეს ეს საქმე, მანამდე კი რაც იქნე-  
ბა, იქნება!

მე რა საქმე მაქვს იმ კაცთან, რომელიც თამამად გაჩე-  
რებულა ჩემს გზაზედ? იმას ეს უყვარს? მეც მიყვარს ესა. ის  
კეთილ - შობილის გრძობის კაცია— მე რა! მე ეს მიყვარს.  
ის მამაცია და გონიერი?—მე რა! მე ეს მიყვარს!

თ ა გ ი V

I.— პოლინკა საქსისაგან კრასნიკის ცოლთან.

ახ, ანეტავ, ანეტავ! სულიყო ანეტავ, ეს რა საქმე დამ-  
ძარტო? ესლა რომ ნახო შენი ჰატარა პოლინკა, შეგეშინდე-  
ბა და ატირდება. ჩემისთანა მწუნარება თავის დღეში არა  
ქაღს არ დასდგომია და თუ დემართი გაგვსჯის ჩვენ, მე მინ-  
და ვიკისრო სრული დანაშაული, თორემ შენ დიდი ჰასუსის-  
მკებელი იქნები.

რისთვის გზავნიდი აქ შენს ძმას? რად ატანდი ჩემთან  
წერილს? შენ გეგონა ამით დაამშვიდებდი ამას და ერთი ასად

გი უარესი საქმე დამართე. მეც მოკვდები და ესეცა. თუ არ შევიყვარებ,—ეს თავს მოიკლამს; თუ შევიყვარებ,—ჩემს ქმარს მოჭკლავს. ეს წამ-და-უწუმ მეუბნება: ჩვენ სამთავის ქვეყანა ვიწროდართ.

ნეტავი ორივე ცოცხალი დარჩეს. ნეტავი შემედლოს, რომ მართლ მე მოკვდე! წუხელის თავი მტკიოდა და სიცხეტს მქონდა... მე ვსტიროდი და დემართს ვსთხოვდი, რომ მამინ-ვე მომკვდარვიყვ. მასუგან თითონვე შევშინდი და თავს ვერ ვიძებნე... არ მინდოდა სიკვდილი და ამასთანავე ვიცოდი, რომ ჩემს შემდეგ ეს აღარ იცოცხლებდა.

დილით უქეიფობამ გადამიარა, და კარგად შევიქენ... მაგრამ უფრო ვი მეშინოდა.

აი, ჩემო ანეტავ, რა ქალი დავდეგი... სადამდის მივად-წიე! ეჭ, ნეტავი არ გამოგეშვას შენი ძმა, მანდე გუბოვნა ამისთვის საცოლო და შეეყვარა!—რად შემიყვარა მე?—მამინ ყველა ეს გაივლიდა: რამდენი ჩემზედ უფრო ღამაში ქალია... ეს ათჯერაც მითქვამს ამისთვის... მე მხოლოდ სიკვრებით მქმანის ღამაწსა.

მე ტანადი არა ვარ, ჰატარა ბიჭსა ვკვარ. ნეტავი გაჩვენა რა გამხდარი ხელები მაქვს, ან რა გალეული ვარ! თვალებიც ლურჯი როდი მაქვს, როგორც შენს საშას.

ეს მაკვირვებს, როგორ არა სწეინდება ჩემთან კდომას! რა ნახს ჩემში? მე მტოდნე არა ვარ, არასევერზედ ღამარაკი არ შემიძლიან. მართლ ვოსტანტინესა ჭქონდა მოთმინება მუდამ ჩემის ჩიხინისა.

ოჭ, რა საშინელს ყოფაში ვარ, ჩემო საყვარელო! რა კვრე დიდი ხანია, რაც მე ყოველ დღე ჩემის ქმრის ლოდინში ვიყავ, წინ მივკვებებოდი ხოლმე და ჩამოკვებიდებოდი ვი-

სერსედ, გაკართობდი ჩემის ღაშაწაკით. ესლა კი მეშინიან. იმისედ შვირი ვიფიქრო რამე, რის სიტყვის მიწერასაც ვე-  
რიდები, ამიტომ რომ ტყუილების თქმა არ ვიცი. ბინდისას  
მეშინიან იმის ზორტრეტის ასლ გავლა, ამიტომ რომ იმას  
გულდასტე, კვინიდი უცსო კაცს, ვეუბნებოდი, შენს ძმას,  
რომ ეს მიუვარს.

რად ვარ ესლა? მოღალატე და საზიზღარი დედა-კაცი.

ჩემი ქმარი კი ყოველისფერში მართალია. შენს წერილში  
ის ველურ მხედრად ამიწერე; მთელი დამეები არ მეძინა, დუე-  
ლის საშინელი ისტორია ცხდად თვალწინ წარმოდგენილი  
მქონდა. მაგრამ მაინც შენ მართალი არ ხარ, ანეტავ! მე შენ-  
ზედ სუფელი ვარ, ქვეყნას შენზედ ნაკლებ ვიცნობ, მაგრამ  
ეს კი მესმის, რომ კოსტანტინეს ქვეყაში მართო სიბოროტე  
არა სხანს.

განა საწყელი აქტრისა, რომელსაც გალიცვი და იმის ამ-  
ხანაგები გადაგვიდენ, ქალი არ იყო? განა იმას ჭქონდა რამე  
სხვა დიდება გარდა თეატრის საზოგადოების სიყვარულისა. ეს  
იყო იმისი იმედი და სუგეში, — იქნება იმისი საჩხრც!

ჩემი ქმარი მრისხანე და საზარელი კაცია... დემეტო ჩე-  
მო, იმას აღამიანის სისხლი აცხია! მაგრამ უწყალე კი არ არის.  
მაინც საშინელი ბოლე ექნება ყოველს ამას... დემეტო დაგ-  
ვიფარე! სჯობს ისეკ აღარა ვიფიქროთ-რა...

შენ რომ შენს ძმას აქედ ისტუმრებდი, მთხოვდი — და-  
კამშიდო და შეკობრალე. ჩემო სულო, შენ არ იფიქრე, რომ მე  
თითონ ქვის გული რომელი მაქვს, მე თითონ ყურის გდება მინდა!  
ეს რომ უწინდელეზრად მოსულიყო ჩემთან, ყოფილიყო მხი-  
არული, ბავშვსავით უზრუნველი, — მოვუხერხებდი რასმე და  
მეც გადავრჩებოდი. მაგრამ, როდესაც ენახე ამისი მწუხარე

თვალები, გადაფითრებული და დატანჯული სახე, — ღმერთო ჩემო, რა დამეძაბათა მასშინ მე!

ეს ასეთი ღამაზია, ერთი ასად უფრო მშვენიერია ადრინდელზედ! რა რიგად უხდება მარძაბილას მზგაკის ფერის სიმკრთაღე! გული ჩაჰარდნია, მაგრამ უფრო გამშვენიერებულა, უფრო გატანადებულა. ამას თვალები მეტე... ღმერთო ჩემო, მამიტივე... ნუ თუ მე ვამბობ ამას?...

გუშინ ჰანადში მიმაკალმა გაიარა ჩემის ფანჯრის წინ, თეთრის ბუმბულიანის კასკით; შავს ცხენზედ იჯდა, რომელიც შიგთავდა და სტოდა. რა ღამაზად იჩნეოდა ამისი წვრილი ტანი უოკელს ცხენის მამრანობაზედ. როგორ ემოჩნებოდა ცხენი! ამის ადგილი არის ჯარის წინ, მტრის შიდა-შირ... და ეს კი ჩემთან დარდინანობს და სტორის.

მე რომ მხოლოდ ამის დასამშვიდებლად ვუაღერსებდე, მხოლოდ იმიტომ ვოცნიდე, რომ განწირულებასში არ ჩავაგდო, — ჩემის სინიდისის წინაშე მანც მართალი ვიქნებოდი. მაგრამ არა, ჩემო საუკარელო! მე ვგრძნობ რომ ქოლაღატე ვარ, მე შეეკარს ეს ალერსი: სშირად თავი მეტება, გული მიდგურს და მხოლოდ მასშინ ვმშვიდდები, როდესაც ამის გულს მივეკრები ხოლმე... საუგუნო სირცხვილი, საუგუნო სასჯელი კიდევ ცოტაა ჩემთვის!...

ვის მიუძაბოთ? ვისა ვკითხო რჩევა? ქმართან მიწერა არ შემიძლიან: მე მეშინიან იმისა! ან როგორ მივწერო, როდესაც ერთს სიტყვას შემიძლება მატყუვს საშინელი ბრძოლა და სიკვდილი.

მე ვიფიქრობდი, მეთხოვნა თითონ საშასტვის, ერთხელ ვიდევ მეტყვა, რომ დამანებოს თავი... მაგრამ ამით ხომ ცხანდა და ჩემს სისუსტეს დაგამტყიცებდი. არც ეს დამიჯერებდა,

და თუნდაც დაეკრება \*კიდეც, — უფრო უარესია: სომ ღაკლე-  
ზავდი.

მე გაგუტედი ყოველსფერში დედა-ჩემს, დაუხრქე და  
ბეკრიც ვიტირე... სიტყვა გი ჩამოვართვი. რომ არავის უთ-  
ხრას. დედა ჯერ გამიჯვრდა ამ გვარ წინ-დაუხედავის ქცევი-  
სათვის, შემდეგ ჩემი ცრემლები სსსსცილად ეხვეს. წადი, ჩე-  
მი ბატყეო, — მეუბნებოდა იგი — ამ გვარი ცოდვა მისატე-  
ვებელია. ეგ უგელა დაიწყებს მიეცემა. ოღონდ გახსოვდეს...  
ღარ იხანულა გალიცი, და თუ ხახო, ნუ მისტემ ნებს,   
რომ მეტად წითამდეა. ჯერ კიდეც არა გიჭირს-რა... მხე-  
ლად სსსტიკის ყურადღებით მოიქეც.

თითქმის შემეძლოს თავის შემადგრება, რადესაც ეს ჩემს  
ფეხსით სტირის და მუხლებს მიეცნის.

ღმერთო, რა მეშველება! ნუ თუ შენ არ შეიბრალე სსწ-  
ყალს პოლინკას და წყალბას არას მისტემ?!

## II. — კოსტანტინე ალექსანდრეს ძის საქსისაგან პოლინკასთან.

აი, შე ქარიანო, აი შე წარმაცო, შე სამაგელო ჩიტო!  
ეს არის შენი მიწერ-მოწერა შენს ბებერს ქმართან, განა?  
თითქმის ორი თვეა და ერთის წერილის მეტი არ მომსკლია!  
მოინა, მანდ მოვიდე, მაშინ გადაგისდი.

წინაში შეცდომებისა გეშინიან განა? ჭრანტუზულად მომ-  
წერდი. ეგ სულ ოჯახობაზედ ზრუნვის ბრალია, არა? ვიცი,  
ვიცი! შენი ოჯახობა: დილით ჭნისარ სელის კუნტულზედ,  
ძალეებს ათვალიერებ და ჭივირობ: კოსტია ცრუა! ეს არის  
იმისი სამი კვირა!

შემდეგ ოჯახის მოკლეს, იწეობს\* საქმიანობა: დადისარ ქალაქში, დადის ცხენებს. «გასწი-და, ანტონავ, ჩქარა, ჩქარა... დედიდა ეულისთან, დედასთან...» იქ მზად დაგხვდება სრული სიბრძნე. დაუშვებელი წყარო ცხოვრებისა... სადღა გამოხსნდება ან გეტინგენი, ან ბერლინი!

სადამის ვი, ჩემო სავსარელო, შეიყვარებანი მეგობრები... მოდიან ამხსნაგები, სულ «ანგელოზები», სულ დაუვიწყარი: ეულიტა, შაშეტა, ანეტა... მართლაც, ანეტა რომ შეტყობურღში არ არის? ეკლასხედ გვიან გამოცხადდებიან ნადინა და ალექსანდრინა.

აი აქ იწეობს დაშარავი, სახესე პრაქტიკულის ძილდოს-ძიით, რომელსაც არ გამოეპარება ადამიანის გულისა და ცხოვრების ცოდნა. ოჰ, ღმერთო, ყურები გაძეკვდა, აქან ვი თავ-სარი დამეცა.

„გაცობრიობისთვის ვშიშობ მე.“

გახსოვს როგორ დაიყვირებდა სოლმე ამ სიტყვებს გა-რტივინი ალექსანდრევის თეატრში.

მაგრამ იზარმაცე, იზარმაცე. მე მომწონს, როდესაც უხ-ლისოდ იწეობს ვინმე წერილებს: წმინდის გულით დაშარავის სურვილი იშვიათად შეგხვდება სოლმე, და უამისოდ რა სა-დაშარავია ეოგელი ჭორი?

წამოლსკი მწერს შენს მშვიდობის ამბავს და ჩემთვის ესეც კმარა. მართლაც წამოლსკისედ მომაგონდა: მწერს რომ შენთან სშირად დაიარება თავადი გალიცკი და როგორცა სხანს ადარა სუბრობს—გარშიეება. ეს ამბავი მე არ მიკვირს, რადგან ორისთვის წინად ეგევე მანობა წალექინმა.

უნდა გაგითქვდეს, შოლენკავ: მე მიაძება რომ სხვებს მოს-წონხარ და რამდენიმე კაცი შენის გულისთვის იტანჯება. ეს

ცუდის, მაგრამ ჩემი სისუსტეა, ჩემი ამპარტაჟებია და რა ვქნა. ზოგი მაშინა წასუ. როდესაც ერთად ვინცხოვრებთ და ვისწავლით, როგორ უნდა მოქცეს კაცი ქვეყანაში! მაგრამ გალიციე ვი, გეთაყვა. იშვიათად ინახუე სოფლე. ნურც ესუძრებო, ნურც გაათახსირებო, ნურც აწვალებო. მაგრამ შენ ბორტო გეკლუეო ანა სარ და საუიქრებელი არა არას-რა. მე მომიწონს ეგ უმწვილი-კაცი, თუმიცა ცოტა ამპარტაჟანი და ქარინია. ესლანდელს დროში მეტად გამრავლდა ჩემი ქვეშ-ქვეშა წახლი, რომლისაგანაც ვერას გამორჩეობა ვერც ცოცხლისა და ვერც საზოგადოებისთვის.

სხვას აღაწას გეტყვი. რომ გთხოვო, ნუ დაივიწყებ შენს ბებერს ქმარსა-მეთქი—ამ თხოვნით შეუტრცხებას მოგაყენებ. ცოტ-ცოტათი ადგენე თვალი გალიციის: თუ რომ მეტი მოუვიდეს, მცნობე და ჩვენ საქმეს ისე მოვასერებთ, რომ არ ვაწუეინო.

დიდი სანი მომიგვიანდა აქა ამ წყეულის პისარტენოს წყალბით. ეს კაცი ან გაყია, ან ნიჭიერი ავასნავი. ბევრი მინახავს მე ჭინჭრის თუღისა, მაგრამ ამისთანა გაძვეკან არსად შემხვედრია. ეს ისე ტრიალებს, როგორც ეშმაკი ცისკრის წინადა; ვისრულბს იმისთანა საქმეებს, რაც თავის დღეში არ მომხდარა; განგებ იგონებს სხვა-და-სხვა ამბებს. რომელთაც გასჩევა ვჭირვებთ. გასჩევის შემდეგ ყოველივე უთავ ბოლო გამოდის და ისევ ეს რჩება შერცხევილი. საქმეს ვი აღაწას ქვეყლა-რა. ბოლო აღარ მოკლო და მეც ჩემს ჭეუის ძალას ვატან, რომ მოკსნო ამ ბორტო ქმნილებას თავის განზრახვის ასრულებას.

ჩვენი საქმე სწორედ ბრძოლას ჭეკებს! თან შენი სიყვარულიც მიტრიაკვლავს და შენის ძალე წასვის სურვილიც მი-

ლევს მე ღონესაც და ეშმაკობასაც, რომელიც საჭიროა ამ დაქსაქსულ საქმეში.

აი ამ გვარად კეთდება ყოველი საქმე ქვეყანაზედ, ჩემო შოღლავო. ზოგიერთნი ბეკებს იცინებდენ ამისთანა ბრძოლაზედ, მაგრამ მე მტკიცედა ვარ დარწმუნებული, რომ თუ საქმეს ცხოვრების მტოდნე კაცი გუფ მადგინედ მოკვიდება, გასაკიცხავს არას ჩაიდეის. ვინ მოგვცა ჩვენ ძალა, რომ ცხოვრებას მკვთხვრეთ ძალადი და შეუსრულებელი სიყვარული და მოქმედება? სჯობს გვედგოთ რომ ვიშრომეთ ყველას სასარგებლოდ, დავცინოთ იმას, რაც დასაცინია და კმაყოფილი ვიყოთ, რასაც ცხოვრება გვაძლევს.

რაც უფრო დიდ ხანს ვრჩები აქა, იმდენი უმეტესად ვხანობ, რომ თან არ წამოგიყვანე. შენ შეგიფვარდებოდა დამშვიდებული ცხოვრება შატარა ქალაქისა, ტყე, რომელშიაც საღამომობით მზე გამოსჭვრეტს და შორეული ტბა თავის ცალიერ ნაშირებით.

შენ გიფვარს გაკილვა: ჩვენ ერთად მასხარად ავივდებით აქაურ გამოწკეპილს შეკრებილებებს, უცნაურს მოდებს. როცა ჩვენ მოვხვდებით აქაურ მოსაწეენ მებატონებს შორის, შევიბრალებდით ჩვენს მეგობრებსა, რომელნიც შეტერბურდიდამარ გამოდინ და თითქო ვი იცან რა ამბავია ქვეყანაზედ: ამიტომ ზოგან თამაშობენ და შეექცვიან, ზოგან შიმშილობენ და იყლიტებიან.

შემდეგ ჩვენ დავეხლავდებით ამ უბრალო სადღის და ამით დამწკარ სასესედ შევნიშნავდით გავილ უბედურების ანუ ესლანდელის გულის-თქმის კვალს: ვნახავდით ამითი ზოგიერთ შესანიშნავს პირს, გამოდდილს და დაბრძნილს. ყოველი ამთვანი იქნებოდა ჩვენთვის შესანიშნავი, თუ არ ეს-



ღანდელის ყოფით, — წარსულით მანინც... მართლად-და რომელი ადამიანი არა ყოფილა ერთხელაც არის მეტად შესანიშნავი?

გვეყოფა მე და შენ სატარსტო ქალაქში ცხოვრება. აქედამ რომ დაპბრუნდები, დიდის ხნით დაკეთხროვები, ან გამოვალ სამსახურიდამ და მამის ვიწინწალოთ მე და შენ დედამისის ზურგზედ, თორემ შეიქრება, დიდ ხანს ხომ არ ჩაკვებით ერთს ადგილას. პირველად, თუ გსურს, მოვიაროთ რუსეთი, გავშინჯოთ მისი დიდი და პატარა ქალაქები, მისი განიერი მდინარენი, მოვიაროთ ქვიშიანი ქვეყნები, სადაც ჭრიან და ირუეიან მალაღი ფიჭვის ხეები; დავხედოთ კავკასიასაც: იმის ამბებმა თავი მოგვაბურა, მაგრამ ნახვა კი დიდად სახალისია.

ოდესიდან წავიდეთ სამხრეთ-საფრანგეთისკენ და დავიწყოთ ჩვენი მოგზაურობა იმ მხრიდან, სადაც მოგზაურები ხალხუშკენ ხოლმე უკანასკნელს გროშს და კვლასად მიდიან. მაღიან ბუერსაც ნუ ვივლით: იტალია, საფრანგეთი, შვეიცარია და სამხრეთ-გერმანიაც გვეყოფა. ბოლოს დავსასლდეთ ჩვენს მამულში და მამინ — ამდენის მოგზაურობისა და ნახულხედ ლაშარავის შემდეგ, აღარა მკითხავ მანინც: «სოიკელში რა უნდა გავაკეთოთ?»

ეს რა ამბავია? ჭერში კოშკებს ვაშენებ და ვიამბობ ორის წლის შემდეგ რა იქნება. ეს შენი ბრალია, პოლინა: შენ გამიხსლე მე სიუმაწვილე, თორემ ვინაღამ ჩაბეგრდი. ცოტა მომიცადა და გადაგიხდი სამაგიეროს.

ახლა დროა მგონი დაწვრილებით მოგწერო ჩემის საქმეების განმეობა, და ჩემდა სასიხარულოდ, დღეს შემიდლიან ერთი კაი ამბავი ვიამბო:

როგორც იცნ, ჩემთან ერთად არის ჩინოვნიკი, რომელი

ღივ ერთის შესვლით რაღაცა ფრინველსა ჭკავს. შენ კადეც დასტინოდი ამას—დავინახე, შე კშმაგო, დავინახე—როდესაც ჩემთან ერთად კაღასკაში ვდებოდა. დასტინოდი მხოლოდ იმიტომ რომ ეს ცოტა კოჭლობს და წვრილის ხმით ლაპარაკობს.

ეს კაცი შრომის მოყვარეა, თუძვა გუფით კი დადის დირსებისა არის; გვარიც უცნაური აქვს—«ოიოი.» არ მესმის, საიღამ წარმოხდგა ეს გვარი, მაგრამ თითონ კი რუსია. მე ეს იგი რისთვის წამოვიყვანე: რა კი ამას შევხვდავ ხოლმე—თვალ-წინ შენ წარმომიდგები, თითქო სარკეში გხედავდე. არ ვიცი, იმიტომ რომ შენ დასტინოდი იფიფსა, როდესაც უჩანას-გნულადა გნახე, თუ იმიტომ რომ ფრინველსა ჭკავს და მე ხომ შენ ჩიტს გემხი? ერთის სიტყვით რაღაცა აზრების გადას-ლაართვას.

მანც იფიფი მშვიდობიანი და მოსაქმე კაცია. ვერ გარს უკლიდა: პისარენგოს და ესკეწებოდა, მეც მე შეუბნებოდა. სასტოგი კაცი ხარო. ამხვედ მე თავაწიანად ვუძასუსე, რომ ამ საქმეში ნუ გატრეკით მეთქი, მაგრამ იფიფი არ დაწუნებდა.

გუშინ გამომიძნსდა, რომ პისარენგოს ცოლს სურს თქვენი ნახვარა, და ამასთანავე მაძბო ამ დედა-კაცის საცო-დავი ამხავი ისე. როგორც თითონ ვაკუებოდა.

ეს დედა-კაციც შენსავით რომელღაც ბრწინვალე მან-საოანში აღსდილა. ყოველთვის თურმე პირველი იყო სწავ-ლაში და ამისი ნიჭი ყველას აკვირებოდა, ასე რომ ერთს კე-თილს სულს ესურვა უფასოდ იტალიურის ენის სწავლება. დადად სასარგებლო რამ არის ინვალიდის მარუხივის ქალას-თვის იტალიური ენა.

ეს ყოფილას სულ-დიდი, ძლიერ მტკიცე ხასიათისა და

კარგის ჩამომავლობისა. ბუნებითვე სძაგდა თურმე ყოველივე სძაგლობა.

შეგიძლიან წარმოიდგინო საწყალის ქალის მდგომარეობა, როდესაც დასრულა სწავლა და შინაიონის მშვენიერის წაღიდამ ქოხში გადმოვიდა. ჩვენს დროში ძნელია ქალისთვის ალაგის შოვნა და ამიტომ დაჩხობილიყო შინა. ბევრი ეძაგრა თავი საცოდავს ქალს, მაგრამ მშობლების სახლი მალე ვერასოთხად გადაქცევოდა.

ამის სახლობაში კი თურმე სულ პატრონისა და სინიდისიანი ადამიანები ყოფილან. მამა—ნამსახური, მამაცი საღდათი და მხოლოდ ერთი ნაკლებულება სჭირებია: გადაკვრა უყვარდა თურმე. დედაც კეთილი, მშვიდობიანი დედა-გაწი ყოფილა და ყოველს წამს სწუნდა და სტიროდა თურმე, სხიოდა თავიანთ ნაკლებულებსედა.

პოლინკაც, პოლინკაც! შენ რა იცი რა საშინელებას აღრიბდა, უწმინდურად ცხოვრება, როდესაც ადამიანს, შევიწროებისა, ნაკლებულებისა და მწარე მწუნარებისაგან სული უკუბდება. შენი მშობლები წნეობით არა ბრწყინავენ, მაგრამ მდიდარნი მანინგ არიან და ამისთვისაც გამართებს შენის ბედის მადლობა.

დაკუბრუნდეთ ისევ ამ საწყალის ქალის ამბავს. არ ვიცი, მიხვდები თუ არა, პოლინკ, რომ ოჯახობის სისძაგვეს საშინელი წესად მოქმედება აქვს ენერგიულს გულზედა, მეტადრე ქალისაზედა. მშვიდობიანი ქალი იწუნებდა და შეეხვედა.—ხვენს გმირ-ქალს კი ეწუნა, ეწუნა და გამწარებულყოფით თავის ბედსედაც და თავის სახლობსედაც. ეს უწმინდური ცხოვრება, საუკუნო გაჭირება მწარედ და აუტანელად სტანჯავდა თურმე ამის სულს.

თუმცა ძალიან უყვარდა თურმე ამ ქალს თავისი დედ-  
მამა, მაგრამ უყვარდა სათითაოდ, უცნო ალატას. როდესაც კი  
მოხუცი მამა ბრუნდებოდა შინა სამარცხვინო ყოფაში, რო-  
დესაც დედა სჩიოდა, სტიროდა, აუტეხდა შიგთს და აუკედ-  
რებდა თავის ქმარს, — მაშინ აღარ უყვარდა; ამის გული იგ-  
ლიჯებოდა, იტანჯებოდა და საბრალეს თავის-თავისაც კი  
ემინოდა; ამ წამებში არც კი ნახავდა თურმე თავის მშობ-  
ლებს.

ის გასაკვირველია, რომ ეს კისერზედ შემოეხვია პირ-  
ველსავე თავის მომნიბლველს, რომელმაც სიძლიერით შეაღ-  
დინა და დაჭმირდა ამ ჯოჯოხეთიდან გამოყვანას. როგორც  
ჩვეულებად სჭირთ დიდ-გაც აწიყებს, — სეყვარელმა მისცა ამ  
ქალს კარგი მზითევი და გადასცა ცოლად პისარენკოს, მაშინ  
პატარა ჩინოვნიკს.

პისარენკო იმ დროს უფრო უარესი იყო თურმე, ვიდრე  
ესლა არის: ეს ყოფილა საზიზღარი მოქტამე და ღრთი.  
შენა გგონია, რომ საცოდავს ქალს, რომელზედაც ესლა გუ-  
ლანარაკები, შესმაგდა იგი და ჭივიჭრობდა მსოფლად თავის  
დანებებს?

საუღებოთაც არა: ამისათვის დადგა დრო ცხოვრებისთან  
შერიგებისა და — ჭეშმარიტი უნდა სთქვას კაცმა — მწარე შერი-  
გებისა. ამან ივისრა პისარენკოსთვის ის საქმე. რაც ვერ ივის-  
რა თვით მამისათვისაც: გადაჩვია ქმარი მამას, უვლიდა რო-  
გორც წნეობით ავად-მყოფს, ოჯახი ფესზედ დაყენა, შვი-  
ლებს ისე ატყუდა, როგორც ტყინებს და თითონვე წრდი-  
და. მე მგონია, შვილების სიყვარული იყო მიზეზი ამ გვა-  
რად ხასიათის შეცვლისა.

არ მესმის, როგორ არ გადაჩვია ქმარი სახელმწიფო

ფულის მეტის-მეტს სიყვარულს. ქმარს ეშინიან ამისი, პატრი-  
სა სტემს და ყოველს სურვილს უსრულებს. იქნება ყურს აწ  
უგდებდა თავის ქმრის საქმეებს, იქნება საზოგადოების და-  
ნაშთენმა ბრმა მძულვარებამ—ამოუშლელმა გვალმა მწუნარედ  
გატარებულის სიყმაწვილისამ, —არ მისცა ნება წინააღმდეგობა  
გაეწია ქმრისთვის.

დღეს დილით ფიქმა მოიყვანა ჩემთან გაყვითლებული,  
მალაღი დედა-კაცი, რომელსაც ორი თერთმეტ-თორმეტ წლის  
გაუჭი თან მოჰყვა. ეს დედა-კაცი იყო შინაარსიანი ცოლი.  
მდაბლად დამიკრა თავი, შეჭკრთა, მაგრამ ყურადღებით კი და-  
მათვალა. მე ვსთხოვე ფიქს, რომ ყმაწვილები ბაღში გა-  
ესეიარებინა, ქაღს სული ვუთავაზე. ამას მოეწონა ჩემი სიფ-  
თხილე, ოცნა შენიშნა, რომ არ მინდოდა ბავშვებს უსი-  
მოგონ ღაზარაკი გაგონათ; მოვიდა ჩემთან და ორისაკე ხე-  
ლებით სული წამომართო; თვალებში ცრემლი უჩნდა. ძლივს  
დავაჯერე, რომ თავის ადგილს დამხვდაროყო და ეთქვა თავი-  
სი სათხოვარი.

ეს ქმრისათვის არასა მთხოვდა: კარგად იცოდა იმის  
დანაშაულები და ისიც, რა სასჯელიც მოელოდა. ერთი რამ  
აწუნებდა მეტის - მეტად — ეს იყო თავის შვილების ბედი.  
პატარაები თურმე საშინელს ყოფაში იყვნენ: ყოველ-დღე ხე-  
დავდენ თავის მამას განხსლებულს და მწუნარეს; და როდე-  
საც საქმე გათავდება, რითი უნდა აღიზარდონ ესენი? ვინ  
იცის რანი გამოვლენ?

მე გულ-მოღვირე ყურს ვუგდებდი და ერთმა კარგმა  
აწრმა გამიილა თავში. მაგრამ, დემრთმა იცის, ვასარულებდი  
ამ აწრსა თუ არა, ჩემთვისაც სასარგებლო რომ არ ყოფილ-

იყო. მომისმინე და გასინჯე რა გზით კეთდება კეთილი საქმე ქვეყანაზედ.

მე გავიფიქრე. რომ თუ ამ დედა-კაცს საქმეს გავუთი-გებ, — შექმდება დაჯგუფების თავის ქმარი, მალე გასტყნოს და უბრალოდ აღარ დახლართოს საქმე.

— თუ ივანოვნიკ! — ვუთხარ მე ამას — ჩვენი მთავრობა შვილებს მამას დანაშაულებს და შეცდომილებას როდი ახდევინებს. მაინც მე მესმის თქვენი მწუხარება: თქვენს ქმარს ან დრო არა აქვს. ან არ იცის ვისა სთხოვოს თავის შვილების თაობაზედ და უარისა ეშინიან.

სვალვე, ნულარ დაყოვნებთ, გაგზავნეთ ორივე თქვენი ვაჟი პეტრობურღში და მეც ჩვენს მინისტრთან წერილს მოგცემთ, რომლითაც მთელს ამ ამბავს აუყუხსნა.

საბრალო დედა-კაცი ატირდა და უნდოდა ჩემთვის სულელები გადაეკონცა.

— როდესაც ეგები სამსახურში შესვლას დააპირებენ, — განვაგრძე მე — მომაგონეთ. მე თითონაც შემიძლიან და ნაწინაბებიან ისეთი მუჟანან, რომ მაგათ გზას მივცემთ სადაც გა მოინდობებენ შესვლას: დანარჩენი შვილები გა სჯობს ვერ მინა წინააღმდეგ იმდრომდე მაინც ვადრე თქვენი მდგომარეობა გამოირკვეოდეს.

ეს მალე მისვდა ჩემს ახლსა და ჩემი თანაგონებობა უფრო ძვირ-ფასად ეჩვენა, ვიდრე ჩემი კეთილი საქმე.

აღს ჩემს საუთარს საქმეს მივეყვ სული.

— თუ ივანოვნიკ! — ვუთხარი მე — ჩემს მაგონებად ჩაგონეთ თქვენს ქმარს ჩემი მეგობრული რჩევა, რად მძნელების საქმეს და უმძლის გამოძიებას? გაძლეეთ მატრიონის სიტყვას, რომ ამით ვერსე მოიგებს. სჯობს, ვეკლავიერი აღიარო დას

მეც ხელება გამისხსნას. მე თქვენ საიდუმლოდ გეტყვი: მე მსურს ძალე წავიდე შეტერბურღში; იქ დავაგდე მე ტოლი, რომელზედაც ყოველს უამს, ყოველს წამს კვიჭრობ.

შემდეგ ჩვენ გაუმოხრდით ერთმანერთს.

— აი, მოვინკავ, როგორ მჩუდედ ვაქცევით: თავ-მოყვარეობის გამო სიკეთეს ჩავდივართ, მტერთან ღამ-რაცას ვმარ-თავთ და სულ კი იმიტომ რომ ძალე ვუყურებდე შენს ყუ-ყუნა თვალებს.

მშვიდობით, ჩემო ბავშვო, ჩემო მატანს თეთრო ვარ-დო; თუ მოხდება რამე, მომწერე.

## თ ა ვ ი VI

ერთის დღის შემდეგ ამ წერილის გაგზავნისა კონსტან-ტინე საქსი საჩქაროდ იცვამდა ტანისამოსს თავის საწოდს ოთახში. იმ დღეს დღის წითელი მზე ჯერ ცხარედ ან იკ-ბინებოდა და ჩვეულებრივ კი გვიან იტოდა საქსმა ადგომა. ფარა-ფურცელ ეტეობოდა, რომ რაღაც დიდი საქმე ჰქონდა.

დაბალს ოთახში, რომელიც საქსის კაბინეთად იყო და-ნიშნული, ისხდენ და ელოდენ ჩვენი ნაცნობი ფიფი და ერთიც უცხო პირი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ამ-ბისათვის.

ის იყო მოხუცი დაბანისლურის შეხედულებისა ჭადანს შეჩუქლის თმით; ცხვირზედ ლურჯი სათვალეები ჰქონდა ჩამოცმული. იმისი ტანი მთლად ერთიანად მოძრობოდა. ისე ვერ იკვდებოდა რომ ხანდისხან თავი ან გაექნია, ხელება ან გაენძობა და ფეხები ან გაეფათურებინა. ეს უსიამოვნო

გრებს და მანჭვას არ შეშვენოდა იმის მოხუცს სუფთას და ეინუფლსავით მოღუწვეო სახეს. ამ უამად კი ეს გრებს გასაკვირველი არ იყო: მოხუცებული იყო მეტად აღუფლებელი, ხანდისხან ოსრავდა და თან კაბეზედ ხელს ივლებდა.

— მამ ეგრე, პატრივრემოლო სტეფან დიმიტრის, — ეუბნებოდა წვრილის ხმით ფიფი, — გარჯა ხანა კი გაწვალეთ! რამდენი ცხენი დავლადეთ, რამდენი ქაღალდები დავწერთ.

— ძანინ ერთი ბოლო ექნებოდა, — უმასუსა მისარენკომ წყნარად ბოსის ხმით — ან სიკეთეს სიბოროტით ვინ გადაიხდის? თქვენ თათონ იცით, მოვიდა ჩემი ცოლი... ტირის, ქვითქვითებს. წადი — მეუბნება... მეც გული გადმოძინებუნდა.

— ღმერთი მოწვალეს! — დაიწყო ისევე ფიფმა — ყოველისფერს ეშეკლება. ბავშვებისა კი ხურა გეფიქრება: — რა: ენდეთ კოსტანტინე აღექსანდრისსა: (აქ ამან ხმა აიძალდა) ეს კაცი კი არა, ანგელოზია.

— ვიცი, ბატონო. ვიცი... გუშინდელს დღეს აქედ ვიცი ეგა. რა ვქნა რატომ არ მოდის?

— ჭერ ტანთ იცვამს. ძალიან კოსტაა, ახალის ძრავით გამოვა.

— ოღვა ივანოენამ მითხრა, — გულის ტკივილით ამბობდა მისარენკო — რომ ამას ცოლი პეტრობურღში დავუგდის.

— დიაღ, ცოლი ჰყავს, ცქვიტა, როგორც სუთის წლის ბავშვი, და ისეთი მშეენიერია, ისეთი, რომ... ერთის სიტყვით ვარდი! — ეს სიტყვები ფიფმა უფრო წყნარად წარმოსთქვა, ვიდრე თავის ახრი საქსის ანგელოზურის სასაათზედ.

— მეც აგრე შეგონა... სთქვა სტეფან დიმიტრისმა და სახეზედ მიწხარება გადაუხატა. ამ დროს გადაღო კანი და შემოვიდა საქსი.



— ჩემო კეთილის-მყოფელო, ჩემო მამავ! — შესძახა ჰისარენკომ და მივარდა ისეთის ღმობიერებით, რომ საქსს შერცხვია. ღმერთმა გადაგიხადოს მაგიერი.

დაავიწმენდეს წერილის გავზავნა, ან ფოსტაში დაიკარგოს! ამას გთხოვ, ჩემო ანგელოზო, დაუმტკიცე უკანასკნელი მეგობრობა შენს პოლინკასა, ჩემის სიკვდილის შემდეგ სწორედ შეიტყე, გაუგზავნა მამომ ეს წერილი, რომელზედაც გელაპარაკები, თუ არა. მოაგონე, მოსწირე, და სწორედ შეიტყე. თუ რომ დაიკარგოს, შენ თითონ ნახე ისა, — თქვენ სამ პეტერბურგში ერთად შეიყრებით, — უხვევენ, აი ეს წერილი. და ემით ცოტათი მაინც შეიტყოს ჩემის გულის ამბავი. შეიტყოს რომ მიუვარდა იგი და ისევე იმის პოლია ვარ.

მე ძელავს ეს ფიქრი, ვაი თუ ვერა ნახოს ჩემი წერილი! მხოლოდ იქა ვლანტინკობ იმისთვის გასაგონის ენით, მხოლოდ იქა ნახავს რომ იმისი ბავშვი სიკვდილის წინადადებას შეიქნა...

ის ცრემლით და სისხლით არის დაწერილი; იმასთან მთლად ჩემი სული.

შენს ძმას ნუ ეტყვი, რომ მე ის არ მიუვარდა. საერთო შეცდომამ შეგვეარა ჩვენ ერთად სიკვდილამდის და სიკვდილამდე ამისი მოწილი ცოლი ვიქნები. მე ეს მეზრავს: მე ამას ვუყვარვარ... მამ ჩემის კონსტანტინეს განუშორებელი თვალები ნუღარა სდევნიან ამას; ვერას გაიგებენ ისინი ჩემს სიკვდილამდე...

ისევე იმის თვალები მიუყრებენ მე, ისევე იმის სმამ მიუყრებს; მაცრამ ესლ ვიციან იგი... ჩემთვის ეს სმამ სეციური სმამ...

ღმერთო! სისხლი თავში ამივარდა, გული ათას ნაკრად მეგლიჯებს! სიკვდილი, სიკვდილი მოდის ჩემთან... ღმერთო მაცრულე კიდევ ერთი დღე... კიდევ ერთი საათი... რომ შევიძ-



ღო კიდევ იმასედ ფიქრი... გადავიკითხო იმასთან მიწერილი წერილი... ჯერ კიდევ ვკვლავ ვერ ვთქვი იმაში...

ცუდად გავხდი, ცუდად... კოსტანტინე, ნუ დამივიწყებ... მე შენ მიყვარხარ...

გაიარა კიდევ ორმა თვემ. განაფხულმა მოაგროვებდა კვირის გალიცვისა. ქმარი სინაზულთ სტიროდა, ანებებდა, გვერდიდან არა შორდებოდა. მთელი ქალაქი ახლად შეკვარებულ ცოლ-ქმართ ყურებით ვერ ძლებდა.

მიხვდა რასმეს საქსი, თუ კმაყოფილი დარჩა პოლინკას ცხოვრებით, — არ ვიცით; ვიცით მხოლოდ რომ ძეგროვნიდან გამოვიდა. მთელი ერთი წელიწადი ფეხ-და-ფეხ დასდევდა და ყურს უკვებდა გალიცვის და იმის ცოლს, როგორც დაჰმინდა იგი, როდესაც თავის პოლინკას გალიცვის აძლეკდა.

მოუხდა მოსვენება; წამოვიდა რუსეთში და დასახლდა ყირიმში, ზალეშინის მამულში. ამაოდ ცდილობდა კეთილი პანტაგროფლისტი, გაესუქებინა თავისი გამხდარი ამხანაგი: ღიპი საქსს არ უხდებოდა, და არც სასეზედ დაეტეო სიმსუქნე, რომელიც ისე მოსწონდა რაბლეს პატრივ-ცემულ თავანის-მცემელს.

ერთს დაწინაურებულს თიბათვის საღამოს საქსი იკვდა და-ფიქრებულად დაღმართსედ, რომელიც ვიწრო მოედანს დაემოკვებინა საუკუნოდ მელავარე ზღვასთან.

იმას უკან, თითქო თეატრის ფარდასედ, გარდაშლილიყო ვრცელი სურათი მინდორ-ჭაღებისა, მშენიერის ტყით გარშემო შემოფარგლული. ქოლგის მოგავსნი ძალაღნი ჭანდარნი თითქოს სტურავდენ ვარდის-ფერს, გამჭვირვალე ჭაღში.

დაბლად, იმის ფეხ-ქვეშ წყნარად მსაზუნებდა ზღვა და დარ-

ზოდან ქვიშის ნაპირებზედ შიგ კლდის ძირში. შორიდან მო-  
ჩანდა კვამლი მიძვალის ტეტხლის გემისა და მოისმოდა მე-  
თევზის წუნარი სიბღერა.

ზაღუშინის სქელი მსახური მივიდა საქათან და მიაწოვა  
წერილი სამზღვარ-გარეთიდან შავის ლაქით დაბეჭდილი.

ზოლინკა აღარ იყო ცოცხალი. ეს იყო იმის უკანასკნე-  
ლი წერილი, რომელსაც ის ღამ-ღამე სწერდა და კითხულობ-  
და. რა ეწერა იმ წერილში, იცოდა მხოლოდ ღმერთმა, საქსმა  
და თვით ზოლინკამ.

1847 წ.

## შილემ უენ წინა.

(მიზგავსება.)

ვიდექ შენ წინა უგონო, უცრემლო, გაქვებუელი;  
გაციებულსა, გაყინულს ძლივსღა მიძგურდა მე გული!  
ვგრძნობდი, ვხედავდი მხოლოდ ერთს— ამ სოფელს ესაღმე-  
ბოდი;

იმ უკეთესსა სოფელსა გაფრენას ეძნადებოდი.  
სტკნებოდი, ტურფავ, ვით ვარდი, სტკნება შეგნებოთ თვის  
ბუჩქსედ;

ჭჭრებოდი, ვითა მთიები ჭჭრება განთიადს მზის შუქსედ.  
დასტკნება ვარდი, მაგრამ კვლავ განზიფსულს გაიფურჩქნება;  
გაჭჭრს ვარსკვლავი, მაგრამ კვლავ სადამოს გამობრწყინდება.  
შენ ველარ მოხვალ, სატრფოვო, ვერ გაგვინათლებ ბნელს არეს,  
შენ ველარ გაიფურჩქნები, მიხვალ უწყალს სამარეს.  
რას გაიფურჩქნე, მსწრაფლ დასტკნდი. ჭყვადი მხოლოდ ერთ-  
სა წამს,

ვანქერ, ამ სოფელს ვეროდეს შენ ჩემი თვალი ვერ განსავს.  
მაგრამ იქნება იქ გზასო. სადაც არ არის სიკვდილი;  
სადაც რაცა არს, ყველა არს უკვდავებითა მოსილი;  
სადაც არ არის არც უპი, არც დღე, არც ღამე არ არის;  
სადაც მნათობთ წილ ძარადის მნათობს ნათელი ღვთაების;

სად სიუვარული წმინდა არს და წმინდის აღით კგზნება;  
 სად საუკუნოს ცხოვრებას აქვს ღვთაებრივი სრულება.  
 გნახო, იქ გნახო იქნება, გიმზერდე ტურფას და ნათელს,  
 რად აქ ვიტანჯე, იქნება აღარ მახსოვდეს იმ სოფელს.

3. მ.

## შსაფუძვლო წადილი.

(ბ. ილ. ჭავჭავაძის «ცხოვრება და კანონის» გამო.)

(წერილი პირველი.)

ამ უკანასკნელ 15—16 წელიწადს ბევრი რამ შესანიშნავი მოხდა რუსეთში და ჩვენს ქვეყანაშიაც. ბევრმა ძველებურმა დაღია სული, და მის აღდგომას, როგორც ეტყობა ცხოვრების წარმატებას. კვლავინ მოესწრება; ბევრმა ახალმაც დაიწყო ჩუჩენი, მოძრაობა და ნელ-ნელა ცდილობს თვის აღგმას, გამაგრებას. ჯერ საზოგადოებაში და მერე თვით უმაღლეს მთავრობის ერთს ნაწილში მოისმა ხმა მამინდელ ცხოვრების კანონების უსამართლობაზე, მათგან კაცობრიობის დამცირებაზე, დაჩაგრებაზე. ლიტერატურაში და საზოგადოებაში გაჩნდა ამაზე დაპირადი, ბასი, რომელმაც ააღელვა ხალხის განათლებული ნაწილიც და გაუნათლებელიც. გავარდა ხმა ამ უკანასკნელ ნაწილის განთავისუფლებაზე, განთავისუფლებაზე მისის გვამისა, ქონებისა, შრომისა.

ხანი აღარა გავიდა-რ, რომ ეს ხმა საქმედ გადაიქცა; ეს განზრახვა საერთო სახელმწიფო კანონად განსწორდებოდა. გადავარდა ბატონ-ყმობა, «მოიშალა» კანონის ძალით ძველის ცხოვრების საძირკველი; «მოიშალა» — ასე ეგონა ერსაც და ბერსაც, ემსაც და ბატონსაც. ერთმა არ იცოდა სინაზულით

რს ექმნა, მეორეს ნაღვლით გული უსკდება. ერთს ეგონა, რომ ამ დროიდან დადგება მისთვის კეთილ-დღეობა, ბედნიერება; მეორე შიშობდა, ოჯახი, ქონება ჰირქვევ არ დამემხროს.

მაგრამ ეს სინაწული ერთისა და მეორეს მათ შორის უსაფუძვლო და უდროო გამოდგა: რეჰტორმა სრულებით ვერ მოასდინა ხალხის ცხოვრებაში ის ცვლილება, რომელსაც მისგან მოელოდნენ; ის აზრი \*) რომელიც იყო ჩადგმული ამ რეჰტორის დედა-ბოძად, საქმით ვერ ასრულდა და უწინდელი ჩვილი, ძახილი ცხოვრების უსამართლობაზე ესლაც ისევ ისე ისმის; სოფელი ესლაც ისევ ისე უჩვიან დაუბინაობას, უძამულობას, დიდს გადასახადს.

ეს ჩვილი ისმის არა თუ მარტო ჩვენს საქართველოში, — მთელ განათლებულს რუსეთსაც მაგის მეტი არა ესმის. უკანასკნელ წლებში იქ იბეჭდება ამ საგნის შესახებ მეტად ბევრი მასალა, რომელითგანაც აშკარადა სჩანს საფუძვლიანობა: ამ გვარის ჩვილისა. თითქმის ყოველ ჰერიოდოულ გამოცემაში იბეჭდება სხვა-და-სხვა გვარი ცნობა იმაზედ, თუ სოფელს კაცს თან-და-თან როგორ უძნელდება ცხოვრება, სასკლემწიფო და საბატონო სარჯის გადახდა. იმავე მასალაზედგან, ცნობებიდან ცხადადა სჩანს ამისი მიზეზიც: მეტის-მეტად ცოტა გადაჭრილი მიწა (НАДѢЛЪ) და უსომოდ დიდი ხარჯი. ერთის სიტყვით, რუსეთის ლიტერატურის შემწეობით

\*) აი ეს აზრი: «მტკიცედ დაბინავებისათვის გლეხთა და აღსასრულებელად მოვალეობისა მათისა მთავრობასთან და მებაჯონესთან, მიეცემათ გლეხთა სამუდამო სარგებლობაში კანონებითა, წესდებაში გამოცხადებულით, ფეროვანის ადგილის მიხედვითა, ზომა ანუ რაოდენობა მიწისა, რომლისათვისაც გლეხნი მისცემენ დაწესებულსა გადასახადსა.»

კაცს შეუძლიან მტკიცედ დარწმუნდეს, რა მდგომარეობაშია იქ დაბალი ხალხი და რა გაეყენა ჭქონდა ბატონ-ყმობის დარღვევას.

ჩვენში, ჩვენ საუბედუროდ, ამისთანა მასალას, ცნობას სასთლათადაც რომ ეძებთ, ვერსად იპოვით. არც პერიოდულ ლიტერატურაში, არც ცალკე გამოცემულ წიგნებში და ბროშურებში არ არის მაგ საგანსეოდ რაიმე საფუძვლიანი შენიშვნა, საფუძვლიანი ლაშარაკი. აქამდის ჩვენ, კერძო პირობით, შედმიწვევით არ ვიცით, რადენი გადაჭრილი მიწა ერგო ჩვენს სოფლის ხალხს საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში ბატონ-ყმობის ჩამოკარდნის შემდეგ; საერთოდაც არ ვიცით იმ გლეხთა რიცხვი, რომელნიც სულ უმიწოდ დარჩნენ. არ ვიცით, როგორ მორიგდენ მებატონეები და გლეხნი ტყვისა და სამოკრის თაობაზედ, ესე იგი, რამდენს იღებენ მათი შატრონები სოფელელებისგან ტყის ფუფს. კომლის ფუფს, საბაღასეს. არც ადგილობრივი მთავრობა თავის დაწესებულებით, არც კერძო პირობით არ აზროვებენ და სახალხოდ არ აცხადებენ ამ გვარ ცნობებს, ტახტებს. უამისოდ კი მხელთა კაცმა გადაჭრითა სთქვას, რა მოჭყვას ჩვენში ბატონ-ყმობის გადაკარდნას? გაუადვილთა გლეხს ცხოვრება თუ არა, და თუ გაუადვილთ, რადენად?

როგორც აწინდელს მდგომარეობაზე, ისე თითქმის ჩვენს წარსულზედაც კაცი ნამდვილს, გადაწვევითილს ვერას იტყვის. იქნება ამ ოცის წლის წინ გამოცემულ წიგნებში იყოს რაიმე გამოხადევი ამ საგნის შესახებ, მაგრამ ჩვენ კი ერთი, ორი წიგნის მეტი ვერა ვიპოვეთ-რა დაბეჭდილი. საზოგადოებაში კაცმა ყური რომ დაუგდოს ამ საგანსე ლაშარაკს, ოცის, ერთი-ერთმანერთის წინააღმდეგ შთაბეჭდილების ქვეშ იქნება:

ზოგნი ამტკიცებენ, რომ ჩვენში ბატონ-უმობა ისე უწყალობდ, სასტიკად აწვა გლეხს კისერზე, რომ შესადარებლად მატრო საშუალო საუკუნეების გერმანია გამოდგება. ამის დასამტკიცებლად გვიამბობენ მრავალს მაგალითს ჩვენის უწინდელ თაობის დროებიდან. ზოგნი კი ამბობენ, რომ საქართველოში აწავითარი სასტიკი, გამტარევი, დამბევი ბატონ-უმობა არ ყოფილა. ჩვენში ბატონი უფალი კი არ იყო თავის ყმებისა, მამა იყო, რომელიც ზრუნავდა მათზე, მტრისაგან იფარავდა, გაჭირებაში ხელს უძრთავდა.

წაიკითხეთ სხვათა შორის ლექსანდრე ობზელიანის ცალკე წიგნად გამოცემული თსულებანი და სწორედ ამ შთაბეჭდილებით შეჭკვევით ხსენებულს წიგნს. რასაკვირველია, წარსულის ამისთანა თაყვანის-მცემელთ არ ექაშნიკათ ახალი დაწესებულება, ზიზღით უუარებენ აწიყოს და გლეხით და ხალხვით იგონებენ «მშენიერ, ღონიერ წარსულს.» «რაც გინახავთ, კვლავ ნახავთ», იძახიან ეს გმირნი. მკითხველას, მსმენელის საუბედუროდ არ უხსნიან, რა იყო ჩვენს ძველებურ ცხოვრებაში კაცობრიობის აღმადიდებელი, კერძო ზირთ განმთავისუფლებელი, სიძარტლის, ჭკმძარტების დამცველი. ძაქტები, ისტორიული ძაქტები აკლია ამ ბატონების სჯას და რაც კი ესლა ისმის «ჩვენსა წამსდარს გმირობაზე და მამულს დაობლებულზე», გონიერი კაცი მას ან უნადაგო პოეტურ აღტაცებას დაუძახებს, ან სიტყვებით დაზღანდარობას. ვინ იცის, იქნება მართლა სანატრელიც, გამამხნეველებიც ბევრი რამ იყო ჩვენის ხალხის წარსულ ცხოვრებაში. მაგრამ დღევანდლადის არავის არ გარჯიდა ამ ცხოვრების ვრცლად და ნამდვილად აღწერისათვის, არავის არ გამოუნატავს ეს სასიქადულო მხარე ჩვენის ისტორიისა. აი ჩვენმა მწერლებმა იმ გრძელი



ქელტონების და (უკანდავად ნუ ვაქნები ჰოეტებთან) ჰოეტების მაგიერ, პირ-უთუნელი, მიუფერებელი საქართველოს ისტორია რომ მოგვიძღვნან, მაშინ, რასაკვირველია ძალიან გაგვიადვილებოდა იმ კითხვის აღსნა, რომლის თაობაზე ხანდისხან იმდენი კინკლაობა მოხდება სოლმე ჩვენს საზოგადოებაში.

ამიტომაც, რასაკვირველია, ყველა დიდის ინტერესით აღვივებდა თავს და დიდს ყურადღებას მიაქცევდა ბ. ილ. ჭავჭავაძის წერილებს, რომელნიც იბეჭდებოდნენ „ივერიაში“, ამ ყურნალის დაახსებიდამ და რომელნიც მარტო ამ წელს დაბოლოვდნენ.

ეს წერილები, როგორც თითონ მკითხველმაც იცის, შეეხებოდა თითქმის ყველა ამ უკანასკნელ თექვსმეტ წელიწადს საქართველოში განხრის ძალით მომხდარ ცვლილებას: ბატონყმობის დარღვევას, სოფლის თვით-მმართველობას, მომრიგებელ სასამართლოებს, შუამდგომელთ ინსტიტუტს და სხვა. კარგი განზრახვა ჰქონია ავტორს ამ წერილების შედგენის დროს: იმას მოუწადინებია, უჩვენოს მკითხველს, რა მიზეზებმა შეამცირეს ხსენებული ცვლილებების კარგი, ნაყოფიერი გავლენა, რა იყო განხრში ისეთი, რაც ცხოვრებამ უარ-ჰყო, მასთან ვერ მოთავსდა. რასაკვირველია, ამ წერილებში არის აღმართვი იმ უებას წამაღწედაც, რომლის ხმარებაც გააუქმებს ამ რეჟიმების ბევრს ცუდს მხარეს და მიანიჭებს მათ ნამდვილ ძალას.

ამ სტატიის დაწერის მიზეზი ის იყო, რომ დამწერს ეჩვენებინა მკითხველისათვის, როგორ და რაოდენად აღსარულა ბ. ჭავჭავაძემ თავისი განზრახვა, რა საფუძვლიანი ნაკლებობანი გვიჩვენა ამ რეჟიმებისა და რა საშუალებას ჰქონოდათ ამ ნაკლებეკანებთან გასაუქმებლად. ჩვენ ესლავ ვატყობი-

ნებთ მკითხველს, რომ შევეხებით მარტო იმ წერილებს, რომელშია ჩანს ღაზაღვი ბატონ-ყმობის ჩამოგარდნასე და სხვა-სხვა თვით-მმართველობასე. სხვა წერილებს ვანებებთ თავს ჯერ ერთი იმიტომ, რომ იმ წერილების საგანნი არა გვაქვს ისე გაკეთილი, რომ შეგვეძლოს იმათზე ვრცელი, ყოვლის მხრით გამოკვლეული აზრი გამოვთქვათ, და მეორედ იმიტომაც რომ გვგონია, ამ წერილების დედა-აზრი შეურყეველია. თვით იმ წერილებშია, რომელნიც შეადგენენ ჩვენის სტატიის საგანს, ვერ შეკუდებით იმ წინასწარ-გადაწყვეტილის აზრების გარჩევასაც, რომლითაც, სხვათა შორის, ისე მდიდარნი არიან ავტორის წერილები; მაგალითებ, ვერ გავარჩევთ შემდეგს აზრს: «ყოფილება და მოკალეობა, რომელნიც არიან შირველნი და უკანასკნელნი საგანნი ურთი-ერთ-შორის განწყობილებისა, დაიდგინება და განისაზღვრება მხოლოდ საღისის კანონთ-მდებლობის ძალითა და ნიჭითა» (ივ. 1877. № 1. გვერდი 6). ამისთანა საერთო აზრებზე ან უნდა ბევრი იღაზაღვი კაცმა, ბევრი დამამტკიცებელი ისტორიული მაგალითი მოიყვანოს და ან სულ უნდა ასტილდეს, სმაც არ ამოდოს; უფრო იმიტომ, რომ მაც საგანზე — ავტორმა კარგად უნდა იცოდეს — მტკიცებთა შორის ბევრი ერთი-ერთმანერთის წინააღმდეგი აზრია გამოთქმული, და მართლაც ავტორის აზრი რომ ჭეშმარიტი ყოფილიყო, ვინ იცის, იქნება ბატონ-ყმობა სულაც არ გაჩენილიყო ქვეყნიერებაზე და მასთანადაც მის დარღვევასე ღაზაღვი სისულელე ყოფილიყო. ამიტომაც, ამისთანა ალაგები რაც ნაკლებად იქნება, ის ეძვობინება.

დავიწყოთ ბატონ-ყმობიდან.

1864 წელს მოხდა ჩვენში გლეხთა განთავისუფლება და წადგანაც განთავისუფლებულს გლეხს მოეჭრა მებატონის

მიწა, «მაშასადამე აუცილებელი საჭიროება მიათხოვდა განესაზღვრათ უფლება და მოვალეობა გლეხისა და ნაბატონარის შორის.» ჩვენი საზოგადოება ამ განსაზღვრულობის გამო გაიყრა ორ ბანაკად: «მცირედმა, მაგრამ უკეთესმა ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ მაშინვე აღიარა, რომ თუ საქმე იმაზე მიდგა, რომ უსათუოდ უნდა გავაშველოთ, ისა სჯობია ეხლავე ისე გავაშველოთ, რომ ურთი-ერთ შორის სამდურავისა და დავი-დაწახის მიზეზი ჩვენში აღარ დაჩხეს-რარ.»

თვალ-საჩინოდ ამ ბანაკის აზრი ფრიად მოსაწონია, მაგრამ ეს რაღა საკვირველებას: თუ საქმე იმაზე მიდგა, რომ უსათუოდ უნდა გავაშველოთ?! ნუ თუ ის «უკეთესი ნაწილი» საზოგადოებისა ერთ წუთსაც არის ეჭვიანობდა რომ ეს „გაშველება“ აუცილებელი საჭიროება იყო! ნუ თუ „მოსაზრება ჩვენში ერთისაგან მეორის აღმინაობის გაქლევის მიზეზისა, კაცის კაცად აღიარება“ არ იყო სამყოფი მიზეზი ამ გაშვებისა და უმთავრესი საზრუნავი ყოველის პატრონისა კაცისა. არა მგონია, რომ ბ. ჭავჭავაძემ თუნდ ერთი პირი დავისასწავლეს იმ საზოგადოების უკეთესის ნაწილიდგან, რომელსაც ამ შემთხვევაში ასეთი საქტეო სიტყვები ეხმარა—ეს ხომ მუსხანათობა იქნებოდა.

„ჩვენის საზოგადოების მეორე ნაწილმა, ბრძანებს ავტორი, უფრო უმრავლესმა, განდევნა სრულად პირველთა დღე-აზრი და ირწივა საქმის გათავება ისე, რომ გლეხისა და ნაბატონარის შორის ცოტა კლანჭ-გამოსადები რამ დაჩხენილიყო. ჩამოვარდა მეათხედობა—ეს განუსაზღვრელი მიზეზიანი მოვალეობა ერთისა და მეორისა.“ ბ. ჭავჭავაძის თქმით, ეს მეათხედობა იყო უმთავრესი ნაკლულებანება სხლის რეჰორმისა, ეს იყო იმის მიზეზი, რომ არ ასრულდა, არ გან-

ხორციელდა ხალხის ნატურა და წაღილი და ეს ზომიერება თავის რადენობით კი არ იყო დამაბრკოლებელი, არამედ შინაგანის თვისებით, რომელიც არ ეთანხმებოდა ხალხის ჩვეულებას, ცხოვრებას, ურთი-ერთობას. პირველს, მეორე და მესამე წერილში ავტორი მარტო იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ მეოთხედობა, წილზედ-ჭერა, ის განუსაზღვრელი, სადავი-დაჩაბო რამ იყოა წოდებათა შორის, რომელმაც ნაბატონანართაც და გლეხთაც—ამათ რასაკვირველია უფრო ძლიერ—ავნო. ერთის სიტყვით, ავტორის თქმით, ეს არის უცუდესი ნაკლულებანება გლეხთა «დებულებისა» და თუ მას გააუქმებენ, თუ გლეხთა გადასახადი განისაზღვრება, ზომა რამ დაედა, მაშინ ნაყმევს ბევრით გაუადვილებს ნაბატონანარის კაღდებულების ასრულებს და ამითი ცხოვრებაცა.

რამოსაზრებაში მიაყენა ბ. ჭავჭავაძე ამ აზრსა, ან რა საბუთებით ამტკიცებს—ამას ესლავ გაიგებს მკითხველი.

ამ საგნის შესახებ სჯის შემდეგ ავტორი აცხადებს თავის მოსაზრებას შემდგომის ტყვისებით:

1) «წილზედ-ჭერა მამულისა მიზეზიანი და სადავი-და-ჩაბო უფლება—მოვალეობაა ორთა წოდებათა შორის.» ამის დასამტკიცებლად ბ. ჭავჭავაძეს მართლაც რიგანი, ჯეროვანი საბუთები მოჰყავს: ბევრი ჯაფა, სარჯი მოხდილდა ნაბატონანართაც და ნაყმევსაცა; ბევრიც ეღუპებოდათო; ხშირად უნდობლადთ სასამართლოში თრევა, ერთი-ერთმანერთის მტრობა და სხვ.. ეს სულ მართალია, მაგრამ, განა ამ ჩვეულებრივს საშუალებას კი, რომლის უკეთესობას ამტკიცებს ავტორი, არ მოსდევს იგივე ნაკლულებანება? თუძცა ღაღას გადაკუთილ გადასახადს ეძახიან, მაგრამ ისე გადაჭრილიც როდია მთელის მხრისთვის მაინც, როგორც ზოგიერთებს ჭგონიათ. ჩვენ შეგ-

ვიძლიან ბეკრი მაგალითი დაკასახელეთ, რომ ერთსა და იმავე აღავას სხვა-და-სხვა ნაბატონარები სულ სხვა-და-სხვა ზომად ღაღას იღებენ: ერთი ერთს კოდსა, მეორე კოდ-ნახეკარს, მესამე ორ კოდს; ერთი იღებს მარტო სარბაღს, მეორე ზედ ბუესაც, ჩაღასაც უმატებს; ერთი იწყავს ათ გირვანქიანის ლიტრით, მეორე თორმეტანით, თხუთმეტანით და სხვა. რასაკვირველია, რომ ამის განსაზღვრაში ბეკრი დაგი-დაჩაბა, მტრობა უფიღას და აჩის კიდევ და თუ სასამართლომდე არ მიადწევს სოღმე ეს უკმაყოფილება, განხეთქილება, მარტო იმიტომ, რომ გლეხი. ცუდად თუ კარგად, დაბინავდა, დაემოწინაღა თავის ბედს.

მაშ ამ მხრით ღაღით ჭერა ბეკრით აჩაფრითა სჯობია წილზე-ჭერას, რეგორც ავტორი ფიქრობს.

გარდა ამისა, ღაღას ერთი გლეხისათვის ძალიან მანე თვისებაც მოსდევს, სახელღობრ ისა, რომ ღაღა წინადვე გადაკეთილია: მოვა, თუ არ მოვა მოსავალი — ნაბატონარისთვის სულ-ერთია — გლეხმა მანც უნდა ღაღა აძლიოს; და რადგანაც მოუსაკლობა ესღა მალ-მალ ეწვევა სოღმე სოფელეს, ამიტომაც ამისთანა შემოსევეებში ღაღა გლეხის სხვა გვარ შრომას უნდა დაწვეს.

შარშან ჩვენს მხარეს (კახეთისაკენ) სიძინდები მთლად მოსცდა, თესლიც კვლარ გამოიტანეს; ნაბატონარმა ლიბერალმა, რასაკვირველია, ერთი მარცვლიც არ დაუკლო ღაღას და გლეხს ზოგი ფუღით, ზოგი ბეკრით უნდა გადაეხადა. წილზედ ჭერას კი ეს ნაკლებულება არ მოსდევს. მეორეს მხრით, კაი მოსავლის დროსაც დაღაღული ჩიადგი იმოდენსაც კვლარ აძლევს გლეხს, რომ დიდი რამ განსხვავება იყოს მეოთხედში და, ვთქვამთ, დღიურზე ორ-კოდინ ღაღაში.

2) „წილზედ-ჭერა ჩვენის ხალხის ჩვეულებასკად არ არის აღმოცენილი იმ სახით მანტ, რა სახითაც იგი გლეხთა განთავისუფლების დებულებამ შემოიტანა.“ (იქვე). აქ საბუთად ჩვეულების მოყვანა ვერაფერი შესანდობელი მიზეზია. ჯერ ის უნდა დამტკიცდეს რომ ჩვეულებაში სავნო ხალხისთვის არაფერია და მასშინ შეიძლება კაცმა სთქვას, რომ ჩვეულებასკე ხელის აღება—ცუდი საქმეაო. თუ ვეკლასში ჩვეულებას მივსდით, მასშინ ხომ ხალხის წინ-წასვლას, წარმატებას შეუძლებელი გახდებაო. ბევრსაც რომ მივუძღვით ჩვეულებას, ის ჩვენ ველად გვიერთგულებს, თითონაც იცვლება, ეკარგება უწინდელი ძალა, სიმტკიცე. ცხოვრების ახალი მოვლინებანი მოითხოვენ კაცთა შორის სხვა ურთი-ერთობას, სხვა კავშირს, იმათ აღარ შეეფერებათ უწინდელი «ჩვენებურობა, ძველებურობა.»

3) «წილზედ-ჭერა ეკონომიურის მხრით, თუძცა ემობასკად ბევრად უკეთესია, მაგრამ მანტ მავნებელია» (იქვე). ამ ტეზისს, ცოტა არ არის აკლია განსახილრული, ზედ-მიწევნით გამართქმული არი. თუ საერთოდ ეთქმის ავტორს: წილზედ-ჭერა მავნებელია — ეგ თვალ-სახინოა და მართალი; მაგრამ კბკბ ხომ ყოველს სხვა გადასახადზედაც ითქმის; და თუ კი გადაკვეთილ დაღსთან შედარებით არის ნათქვამი — მაგას ხომ ჯერ დამტკიცება უნდა. ბ. ჭავჭავაძე ცდილობს სხვა-და-სხვა მეცნიერების სიტყვებით გაძართლას თავისი არი — წილზედ-ჭერის უმჯობესობა დალით ჭერასთან. მას მოჭყავს ადამ სმიტის, მაკ-კუელდონის, ჯონ-სტიუარტ მილლის და სხვათა არი; მაგრამ ავტორს ერთი რამ დაგიწევია: ის რომ რიცა სხენებულნი მეცნიერნი და მწერალნი ამტკიცებენ გადაკვეთილ გადასახადის უმჯობესობას წილზედ-ჭერასთან შედარებით, — იმათ მხოლოდ ერთ-რიგი გადასახადი აქვთ სახეში: ფულით

განსახადი და არა სულადით, რომელიც სსენებულ მწერლების სამშობლოში საშუალო საუკუნეებშივე მოისპო. ამის გამო ბ. ჭავჭავაძის მოყვანილი ციტატები ჯეროვანნი, ჭეშმარიტნი არიან, მაგრამ როცა ჩვენ შევუდგებით დაღის, ესე იგი, სულადით განსახადის გარჩევას, მოკინდომებთ მის წილზედ-ჭერასთან შედარებას და უმჯობესობის დამტკიცებას,—მაშინ ნება აღარ გვაქვს, აღამ სმიტი და სხვანი მოვისხენიოთ.

მაგალითად მოვიყვანთ იმ ალაგს, რომელიც ჩვენს ავტორსაცა აქვს გამოწერილი: «მხენელ-მთესველს (რომელსაც წილზედ უჭირავს მიწა) არავითარი საწოთა არა აქვს მამულის კარგად შემუშავებისათვის ხარჯი რამ გასწიოს, იმიტომ რომ მიწის უტრონი იმ დანახარჯის მოგებაში წილს იღებსა და ხარჯში კი არა» (ივ. 1877 წ. № 2. გვ. 10). აშკარაა, ამ შემთხვევაში მხენელ-მთესველი ისე მუყაითად, მხნედ ვერ მოექცევა მიწას, როგორც მაშინ, როცა მიწის უტრონს პირ-და-პირი მონაწილეობა არ უდევს მოსავალში. როცა ის მარტო ფულით გადაკვეთილ მასტას იღებს. ბ. ჭავჭავაძეს კი ესევე საბუთები მოჭყავს იმის დასამტკიცებლად, რომ ვითომ გადაკვეთილ დაღას (სულადით) იგივე თვისება ჭქონდეს მინიჭებული, როგორც ფულის მასტას: ის ამბობს: «ადაგანაც აქ (წილზედ-ჭერასზედ) შრომის ნაყოფში ცოტად თუ ბევრად, სხვასაც წილი უდევს, გლეხს არ ექნება ისეთი საღისი, ისეთი გამოძეობით მხნეობა შრომისათვის, როგორც იმას, რომელიც თავის საკუთრებაზედ მუშაობს» (იქვე). ეს თავით ბოლომდე კონომიურის მხრით შეცდომაა და აი რისთვის. რა არის წილზედ-ჭერა საერთოდ და მეოთხედობა კერძოდ? ეს ის არის რომ მიწის უტრონი, ნაბატონარი, თავის გლეხის მინდვრიდან მიითვლის მეოთხედს, პურის, ქერის ძნას, სი-

მინდის გონას, მიაქვს თავის კალღზე და იქ თავის შრამით უნდა გაღებოს, განიავოს, გაწმენდოს და სს.. ღაღის ადების დროს კი მიწის პატრონი მიდის გლეხთან და ან ზედ კალღზე, ან ბელედიდგან იწუავს გადაკვეთილს ზომას მოსაკლისას. აქ გადასასადის ბუნება, თვისება ერთია. როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში მიწის პატრონის ასაღები ერთი და იგივეა: ხორბალი, სიმინდი, ფეტვი და სს.. მასხადაძე აწათარი აწსებითი განსხვავება არ არის ამ ორ-გვარ გადასასადში. ამიტომაც იმაზედ ლაპარაკი, რომ გლეხი მეორესეულში ჩამდგარი, «ისე ხალისიანად, ისე თავ-გამომეტებით» არ იმუშავებს, როგორც ღაღის მიმტემი, ჩვენ სრულიად უსაფუძვლოდ და უნაყოფოდ მიგვაჩნია.

4) «მიწის ჭერაში ჩვეულება ვეკლას სხვა ძალაზე მტკიცება, თვით-რეჟულია» (1877. № 3, გვ. 5). თუმა ეს ბევრით მართალია, მაგრამ ისეთი მნიშვნელობაც არა აქვს, როგორც მას ჩვენი ავტორი მიაწერს. მართლაც რომ აქ ჩვეულება ისე მტკიცედ სუფივედეს, მაშინ არაფრის ცვლილებას არ უნდა ვხედავდეთ ევროპაში ამ საგნის შესახებ; მაგალითებზე მიწის სარგებლობის მასტა დიდი ხნის განმავლობაში ერთი და იგივე უნდა დარჩენილიყოს; მაგრამ, ცხოვრებაში ეს კი ესე არსად არ მომხდარა. არ არის იმისთანა მხარე, რომ ეს მასტა, ასის წლის განმავლობაში მაინც არ მომეტებულაყოს, მეტადრე ახალს ისტორიაში. ბელგიაში, ჰოლანდიაში ევ მასტა ყოველ წელიწადს რამდენიმედ ძალა იწევს. თვით ინგლისში, სადაც სამუალო საუკუნეებში მიწის მასტა რამდენიმე შილინგი ყოფილა, ესლა იმოდენავე მიწას ადევს რამდენიმე სტერლინგი. ღაღის, მასტის რაოდენობაზე დიდი გავლენა აქვს ხალხის გამრავლებას, მიწის მოსაკლის ფასს, შეუმუშავებელ მი-



წების წოდებობას და სხვ.. თუ ინგლისში სსშუალო საუკუნე-  
ნობებში მიწის მასტა ერთი და იგივე იყო, ეგ იმიტომ, რომ  
ამ ხანში ხალხის რიცხვმა თითქმის არ იმატა. შორეულს მა-  
გალითებს რად ვეძებთ; ჩვენს ქვეყანაშიაც ბევრია. ამ რცის  
წლის წინად, როცა საქართველოში ტყე მრავალი იყო, ხალხი  
გი ნაკლებად, ხე-ტყის შოვნა გლეხს თითქმის არაფერი უჭ-  
დებოდა, ესლა გი მამა-სისხლად უღირს. ამის მაგალითებს ქვე-  
ვით მოვიყვანთ.

ეს იყო ჩვენი სათქმელი ავტორის მეოთხედობის გან-  
ხილვაზე; როგორც ნათქვამია კიდევ, ბ. ჭავჭავაძე ამ წილზედ-  
ჭერაში ჰსედავს უმთავრესს, უდიდესს ნაკლულებებსა გლეხ-  
თა რეჟიმისას და ამიტომაც აღიარებს სურვილს, რომ მთავ-  
რობამ ამ ნაკლულებებსა მიაქციოს უზირატესი ყურადღება  
და მოსზოს იგი. ავტორის სურვილი გამოთქმულია უკანას-  
კნელს, მესუთე ტყვისში.

5) «ამის გამო პირველი და უზირატესი ყურადღება მიქ-  
ცეული უნდა იქმნას ჩვეულებასუდ, როცა მაწის-ჭერის შესახებ  
რამე ცვლილება საჭიროდ დანახულია.»

ახლა ეს ვკითხვით ბ. ჭავჭავაძეს: ნუ თუ ამ ზემოხსე-  
ნებულ «ნაკლულებებსა» გარდა, სხვა და უფრო მეტი, უმ-  
თავრესი, ნაკლულებებსა არა აქვს-რა გლეხთა დებულებასა; ნუ  
თუ სხვა «კლანტ-გამოსადები» აღარა დარჩა-რა ნაბატონარები-  
სა და ნაყეკების შორის გარდა ამ მეოთხედობისა; და თვით  
ამ ზომით წილზედ-ჭერაში განა მართლ ის «ნაკლულებებსა»,  
რომ მაგ-გვარი მიწის ნმარება ჩვეულებას ეწინააღმდეგება? არა,  
უმთავრესი ნაკლულებებსა ამ რეჟიმისა ის გი არ არის, რად  
ბ. ჭავჭავაძეს უჩვენებია მკითხველისათვის; ეს ჯერ ის საში-  
ნელი ძვირი ფასია, რომელიც კისრად დაადვეს გლეხებს მოჭ-

რილის მიწების გამოსასყიდლად, და მეორე ისა რომ ნაყმე-  
ვები ხელ-ცალკეონი დაჩნენ იმ სახსარს, რაც აუცილებელ  
საჭიროებად ითვლება გლეხთა ცხოვრებაში: გლეხს არ მიეცა  
არც ტყე, არც საძოვარი. მორიგება ამ ორის სახსარის მო-  
სახმარებლად ნაბატონარებისა და ნაყმევების ნება-ყოფლობაზე  
იყო და არის დამყარებული.

კანონით უდიდესი ფასი მიწისა დაიდო საზოგადოდ დღი-  
ურზე: ურწყავის მიწისა თხუთმეტო მანათი და სარწყავისა სა-  
მი თუძანი. ჩვენში კი ეს უკანასკნელი ფასი დასდევს ურწყავ-  
საც და სარწყავსაც.

როგორც ჰხედავს მკითხველი, ეს ფასი იმ დროსთვის  
ძალიან დიდია, ამ ფასად იქნება არც ერთ საქართველს კუთ-  
ხეში არ ღირებულყოფილი მიწა. ამის კვალობაზედ, თუ გლეხი  
მოიწადინებდა თავის გადაჭრილის მიწის გამოსყიდვას, უნდა  
შეეტანა ნაბატონართან, ან საზინაში, თუ მთავრობა შეკლო-  
და მას, ექვსი პრცენტო იმ ჯამისა, რაოდენადაც იყო დაფა-  
სებული გადაჭრილი მიწა (თუძანზედ სამი აბაზი). აი ამ ან-  
გარიშით გლეხი - კაცი ამდევს წელიწადში დღიურზე ცხრა  
აბაზს; მთელ ათი დღის გადაჭრილს მიწაში უნდა მისცეს 18  
მანათი; დაუმატეთ ამას სამი მანათიც კარ-მიდამო ადგილის  
გადასახადი, მაშინ დაინახავთ რა ზომი ფუფუნაც იხდის სოფ-  
ელი ნაბატონარის სასარგებლოდ. ესე უნდა შექმნდეს გლეხს  
ოქმოდ-და-ცხრა წელიწადი, ვიდრე სრულიად არ შეისყიდის  
თავის მიწას; მაშასადამე ის ათი დღის მიწა და საკარ-მიდამო  
ალაგი იმას დაუკვდება, რომ სარგებელიც არ ჩავთვალთ,  
(21 მანათი 49 წლის განმავლობაში) ის ორი თუძანი და ცხრა  
მანათი.

რასაკვირველია, ამ ფულს არავინ ცოტას არ დაარქმევს

და ვინც ცოტათი მანც იცის ჩვენის სოფლის ცხოვრება, იმას საბატონოდ გადასახადი წელიწადში რც-და-ერთი მანათი მცირედად ან ეჩვენება. თუ ფუფით ან აძლევეს გლეხი საბატონარს ამ გადასახადს, სულადით მოსაკვადი მეოთხედი უნდა მიუტანოს კალაზედ. ეს გადასახადი იმითი კი ან არის მანებელი, რომ ჩვეულების წინააღმდეგია და განსაზღვრულობა აკლია, როგორც ბძანებს ჩვენი ავტორი, ანამედ იმითი, რომ მეოთხედია და არა მეათედი, მეოცედი. ამისთანა უშველებელი გადასახადი არა უოფილა არც ერთს განთავისუფლებულ ხალხში. თვით საფრანგეთშიაც დიდ რევოლუციამდე მიწის ღალას საერთოდ მეათედზე მეტს ან აძლევენ, \*)...

რასაკვირველია, ეს მეოთხედი ისე მძიმე გადასახადად ან ეჩვენებოდა გლეხსა, თუ რომ მაგითი განაკუთვლიყო იმისი ბედშობა, მაგრამ როცა იმის ქონებიდგან სხვა რაი მეოთხედიც სახელმწიფო და სასულიერო ხაზში, საბატონო და სასულმწიფო ბეგანში მიდის, მაშინ აშკარაა, რომ ამ დიდმა მეოთხედობამ უნდა განახიზვოს გლეხი.

\*) ეს უენიშვნა სტატიის ავტორს შეცდომით მოსვლია. საფრანგეთში დიდს რევოლუციამდე სხვა-ად-სხვა მაზრებში სხვა-და-სხვა გადასახადი ედვათ გლეხებს მამულის პარკონისაგან; ზოგან ეს გადასახადი ბევრად მეტი იყო მეათედზედ და ბევრგან გლეხ-კაცებს სულს იქით აღარა რჩებოდათ რა: რაც მოსდიოდათ, ზოგი მებატონეს მიჰქონდა, ზოგი ეკლესიას, ზოგი სახელმწიფოს. ავტორი რომ მეათედზედ ლაპარაკობს, ეს მეათედი (dime) საეკლესიოდ იყო დანიშნული.

ამ გვარი შეცდომა, რასაკვირველია, ავტორის აზრს არ არღვევს, რადგან, თუ საფრანგეთში უსამართლობა იყო, ეგ იმის საბუთი როდია, რომ იმისთანა უსამართლობა ჩვენშიაც წესად დაიდვას.

რედ.

თუძცა «დებულების» დედა-აწრი ის იყო, რომ ყველა გლეხისათვის მიეჭრათ მიწა, მაგრამ ნამდვილად კი ძალიან გამწვანდა ამის ასრულება. სხვათა შორის, ამის მიზეზი ის იყო, რომ მიწა მოუჭრეს მარტო იმ გლეხთა, რომელნიც უკანასკნელ გამეწაღის აღწერაში ცალკე კომლად ითვლებოდნენ. ყოველს კომლს, თუნდა რჯანში სუთი ცოლ-შვილიანი ვაჟი-კაციც ყოფილიყო, მანც ათის დღის მიწაზე მეტს არ ამღებდენ; კანონის ერთი სხვა მუხლის ძალით, მებატონეს ნება ჰქონდა, დაეჭირა თავისთვის ნასევარი სახნავი მიწა და მეორე ნასევარი ნაყმეებისთვის მიეცა; და ამ უკანასკნელთ, თუნდა თითო დღისაც არა რგებოდათ, მებატონეს ნასევარზე მეტს ვერ გამოართმევდენ.

აი ამ რეგულაციას მოკლებამ მოახდინა, რომ ესლა ყველა სოფელში აზრება არა ერთი და რთი გლეხი, რომელთაც ერთი გოჯი მიწაც არ უჭირავთ. სამწუხაროდ, ამან დაწვრილებით ვერას ვიტყვი, რადგანაც ამ საგნის შეხსნებ სტატისტიკა ვერ სხეუბაშიაც არ არის.

როგორც მოგეხსენებათ, ბატონისაგან განთავისუფლებული გლეხი განთავისუფლეს ტყვისაგანაც; სოფლები, როგორც ერთს, ისე მეორეს მოაშორეს; მაგრამ, როგორც ერთისაგან განთავისუფლება სასინარყოფო და საღსინო იყო, ისე გაშორება მეორესთან—სამწუხარო და სადაზღველი.

სწორედ ეს უტყუობა იყო ის სადავი-დაზობა, მიზეზიანი «კლანტ-გამოსადები» ვითარება, რომელმაც გლეხი თითქმის ისევე ნაბატონარის ყურ-მოჭრილ მონად გასადა, როგორც განთავისუფლების წინად იყო; რადგანაც კანონმა \*) ნაყმეს ტყე

\*) «§ 30. მებატონენი არ არიან ვალდებული აძლიონ ტყე გლეხთა შენობისათვის.

არ მისცა, იმას, რასაკვირველია, ისევე ნაბატონარისთვის უნდა მიეძარბოდა, მას მოერიგებოდა. მიჭმარბოდა და მოუწიგდა კიდევ. კანონი მაგ მოერიგებას «კეთილ-ნებობით» მოერიგებას უწოდებს, მაგრამ ვაი ამისთანა კეთილ-ნებობას. ნაბატონარის მიწაში ჩამდგარს, მის მამულზე დასასვლელად, იმის მამულებით შემოხლდუღულს, — ერთის სიტყვით, ნაბატონარის მასეში გაბმულს გლესს, რა ნება-ყოფილობაზე შექმლო ლაზარაკი? თუ ვერ მოუწიგდებოდა ნაბატონარს, მამ სად უნდა წასულიყო, ვისთვის მიეტანებინა? სხვა ნაბატონარებისთვის? მამინ ხომ გლესი სულ დაიდუშებოდა; მებატონე კი ათასის გზით და მხრით გაუძწარბებდა მას სიცოცხლეს. აუტირებდა მკვდრებს. ქათამი გადაუფრინდებოდა სადმე. საქონელი გაქმნარბებოდა — უკვლავ ნაბატონარის მამულში მოექტევიოდა და იმის ხელში ჩავარდებოდა; თუ ტყით ვერ დაიჭარბდა გლესს ხელში, მინდვრით, საწყვავით მინც სად წაუვიდოდა. «როგორც თევზი კაი ფარცარს ვერ წაუვარ, ისე ჩვენ ჩვენს ბატონსა», ამბობს ამ შემთხვევაში გლესი.

როგორც ხედავთ, უჩხს გლესს სხვა გზა არა ჰქონდა — უნდა დამოწინილებულიყო.

თუმცა ჩვენს ლიტერატურაში არავითარი ცნობა არ არის იმის შესახებ, როგორ მოერიგდა ორივე მხარე ერთმანერთში, მაგრამ ზოგიერთი მაგალითი, რომელიც ჩვენ თვითონ გამოვიკვლიეთ, გვარწმუნებს ჩვენის სიტყვების ჭეშმარიტებას. ჩვენ დავასახელებთ მარტო ორს მაგალითს, რომელნიც მკითხველს უმაგალითოდ ნუ ეგონება. რასაკვირველია, სხვა-გვარი მაგა-

§ 31. მებატონენი არ არიან ეგრეთვე ვალდებულნი აძლიონ საწვაბი შეშა უსასყიდლოდ.»

ლითებიც ბევრია: თვითონ ჩვენც ვიცით, იმისთანა ადგილები. სხვათა გლეხებს ასე დიდი გაჭირება არ ადგიათ, როგორც ჩვენთან აწერილს მაგალითშია, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ სხენებულის კანონისაგან გლეხის დარჩაგვრა ამ საგანში სოფელს მალე იმ მდგომარეობამდე მიადწევინებს, რა მდგომარეობაშია იყოფების გლეხნი, ჩვენს მაგალითში დასახელებულნი.

აი ეს მაგალითებიც:

«შიდა-კანეთის თავში, ლაზნის მახლობლად სდევს სოფელი მატანი; ამ სოფლის გლეხნი არიან ნაუმეკები თ. ჩ—ისა, რომელნიც ადგილობრივ უფრო სშირად რ—ებად ისახელებიან. გარეშედა სხენებულს სოფელს არტყია მშენიერი, უშველებელი ტყე; ამის უდიდესი ნაწილი ეკუთვნის რ—ანთ. რასაკვირველია, ამათი ნაუმეკები სხენებულის ტყიდგან ჰზიდვენ ფოკელ-გვარს მასალას, რომელშიაც განსაზღვრულ გადასახადს აძლევენ ტყის პატრონებს. რადგანაც ამ თავადის გვაროვნობაში ბევრი მონაწილენი არიან, ამიტომაც პირობები გლეხთა და ნაბატონართა შორის ცოტა არ არის, რომ განსხვავდება ერთმანეთში. მაგრამ არსებითი განსხვავება კი არა არის—რა მათ შორის. ერთნი მონაწილენი გლეხებს ამ გადასახადს ფულად აწერენ, თუძა კი ფულის მაგიერ სოფელის შრომითა სარგებლობენ. ეს ფულად გაწერა იმათ მართლ, როგორც ეტყობა, ანგარიშის გასაადვილებლად მოუგონიათ: გლეხნი სშირდა სთხოვს ნაბატონარს, გადასახადი ფულად აიღო, მაგრამ ბატონი არ ჩადის. ამ უარის მიზეზსაც ესლავ შეგატყობინებთ. ჯერ კი ამას გეტყვით, რომ მატნელები ტყის მატას იხდიან შეძლების დაგვარად — შეიღის მანათილგან

ოც-და-ხუთ მანათამდე; როგორც მკითხველი ჰქვადვს ამ  
 ჭაჭტს აწვეითარი განმარტება აწ კტირკება.

წედანკე ვთქვით, რომ გლესს ფუღითაც როდი ახდეკი-  
 ნებენ ამ ჯამს, მუშაობით უნდა აუსრულოს გადასახადი;  
 და აი რა აწგარნიას ბატონისაგან დადებუღი: ღვინობისთვიდ-  
 გან აწრილამდე დღიურს სამუშაოში გამოებარებათ ექვსი შაუ-  
 რი, აწრილადგან მკათათვემდე კი ორი აბაზი; მარტო მკათა-  
 თვეში—სამი აბაზი; დანარჩენი დროც ექვსი შაური. როცა  
 მებატონე უბძანებს, გლესს ურკები მზად უნდა ჰქონდეს. ურკი-  
 ზედ დღეში გამოებარებათ ერთი მანეთი. ყოველ ამ მუშაობის  
 დროს გლესმა თავის საგმღით უნდა გამოიგებოს თავი. რად-  
 განაც ნაბატონარებსაც გაჭირება მუშაობაში უფრო გაზაფხულ-  
 ზედ და ზაფხულში ადგიათ, ისინიც, რასაკვირველია, გლესებს  
 ამ თავიანთთვის დაუფასებელს დროს ამუშავებენ; ამისთანა  
 ბეგარა რომ არ იყოს, სად იშოვიდა ნაბატონარი მუშას ამ  
 გაჭირებაში ასე იაფად. ამ გლესების მეზობელნი, თუშები,  
 თითო მანათს ამდევენ მუშას და იმსაც ძღვივსა შოულაობენ.

მეორე მონაწილეებმა უფრო ცხადად გადასტრეს ხსენე-  
 ბული ბეგარა. ისინი ახდეკინებენ ნაყმეებს შემდეგს: თვეში  
 სამ ღღეს ფენის კაცს, ღვისაც საქანელი ჰყავს, ერთ ურემ-  
 საც. მართალია ეს ცოტა იმაზე ნაკლებია, რასაც უწინდელს  
 დროში იღებდენ, მაგალითებზე ზოგი სამდედელო პიჩნი იმი-  
 რეთში— კვირაში სამ ღღეს\*), მაგრამ მკითხველი ხედავს,  
 რომ ესეც სამყოფია. აქ მებატონე თავის ხარჯით ინახავს  
 გლესს—ესეც პატიოსანია. მანინც-და-მანინც წელიწადში მარტო

\*) Грузинские церковные гуджари Дм. Пурцеладзе.  
 გვ. 116.

ეს ბეგარს ანთმევს უსაქონლო გლეხს ოც-და-თექვსმეტ დღეს და სარკამბეჩიანს— ორმოც-და-რვა დღეს— სამუშაო წლისას, ე. ი. ძეუქვსეღზედ მეტს \*), ესეც სუნა-თესვისა და მკის დროს! გასაკვირველიც არ არის, რომ გლეხმა თავის ნაშრომს რიგა-ნად ვერ მოუაროს.

ეს ამოდენი ბეგარს მართლ საწვავის ტყისას; საშენებელ მასალას სხვა შირობა, სხვა თუელი აძევს. გარდა ამისა, გლეხს რომ ცხვრის ან ღორის დაყენება უნდოდეს საბატონო ტყეში, უნდა აძლიოს ოცის თავზე ერთი, მეტი სამეკურრო, სამთო, საბელადო და სხვა.

მეორე მაგალითი: ზემოხსენებულ სოფლის ახლო არის მეორე სოფელი, ახმეტი; აქ თ. ჩ— ანთ ნაშემკვები არა ჭყავთ; ამათ მამულებში დასახლებულნი არიან ხიზნები. ტყის გადასახადი ამათ ადგეთ კვირასი ერთი დღე— ეს უფრო წაგავს ჩვენებურს— ძველებურს— კვირასი სამს დღეს. მართალია, ვეკლეგან ესე დიდი გაჭირება არ ადგია გლეხს, მაგრამ ჩვენ ყოველს წუთს უნდა ამის მსგავსე მოვკლოდეთ, თუ კანონმა, მთავრობამ არ მიაქცია ყურადღება ამ ორ წოდების ურთიერთობას, თუ თითონ თავის ძალით არ დააარსა რაიმე ერთი განსაზღვრული გადასახადი თუელით, თუ ბეგართ. ეს მით უფრო საჭიროა, რომ გლეხს ცხოვრება, გამოკვება თან-და-თან უჭირდება. ხალხი მრავლდება, მისი მამული კი ერთი და იგივე რჩება; და მიწის საზიაროდ ალება მამა-სისხლად უფდება; ამი-

\*) სამუშაო წელს შეადგენენ მარტო ის დღეები, როცა მუშაობას არ უკრძალავს ჩვეულება; მასხადამე უნდა გამოირიცხოს: კვირა დღე, საზოგადო და ადგილობრივი უქმეები; ისე რომ წელიწადში 250 დღეზე მეტი არ დარჩება.



ტომაც ამის შესაფერად სხლის კანონის გამოცემა, გლეხთა რეფორმის დამატება, აუცილებელი საჭიროებაა და დიდად სანატრელადაც უნდა ჩაირიცხოს.

კომოსსენებულ შენიშვნებიდან, გვეჩინა, ცხადდა სხანს, რას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება: ჩვეულების ძალას ვიანა, როგორც ბძანებს ბ. ჭავჭავაძე, არამედ 1) მიწის გადასახადის შემსუბუქებას— წილსედ-ჭერით იქნება თუ ღალით, მაგას დიდი მნიშვნელობა არა აქვს; 2) გადაჭრილ მიწის ფასის შემცირებას; 3) მამულის მიცემას იმ გლეხთა, რომელთაც არა აქვთ მიწა და 4) ზედ-მიწევნით განსაზღვრულის, შემსუბუქებულის ტყისა და საძოვრის მახტის დადებას.

აი ასე რომ გამოიტვალას ბ. ჭავჭავაძის მეხუთე ტეზისი— «ამის გამო შირველი და უშირატესი ყურადღება მიქცეულ უნდა იქმნას ჩვეულებასოდ, როცა მიწის-ჭერის შესახებ რაიმე ცვლილება საჭიროდ დანახულია»— ჩვენის ფიქრით, უფრო ნაყოფიერი და უფრო აწინდელ მოთხოვნილების გამოთქმული იქნებოდა.

ნ. ხუდადოვი.

(დასასრული მეშვიდე ნომერში.)

## სიმღერა.

აწ მინდა მე ღმერთი ვიყო,  
ზეცის სიგრტეს ვთვლობელობდე;  
მხოლოდ მწადის ნაზ თვალებში  
ყოველთვის შენ ჩაგტკბეროდე!

---

მეფობასაც უაწსა ვჭეოფი,  
საღსს აწა მსუფს ვბრძანებლობდე;  
მხოლოდ მწადის, ტურფად ქმნილო,  
მსურვალეს გუფს ჩაგეკროდე!

---

ტრემფს აწ დაგღვრი, აწ გინანებ,  
თუნდც სამშობფს ვშოროდებობდე,  
რამ ვიცობდე, ჩემო სატროფი,  
შენის ემხით დავსტებებობდე!

---

ვერ შემაკრობს ფოფოხეთი,  
გინდ შიგ მკაცრად ვიტანფობდე,  
რამ ვიცობდე შენს ღაღის ფეწს  
ტურფებს ერთ წამს ჩაგეკროდე!

პო. მიქელაძე.

## ხალხური ლექსები.

ცოდამ წამოვა ღრუბელი, თავ-დაღმა დაკვიდება,  
კაცი რომ თავის-თავს უზამს, მტერი არ მოკვიდება

---

სულელ კაცსა და რეკვენსა თავი უკვდავი ჭბონია,  
დედა და მამა სადა ჭყავს, წატო არ მოუგონია.

---

ჩვენც ვგრე დავინტებით, როგორცა ვხედავთ სხვისასა,  
უკვლას საფლავს გაგვითხრინ, გამოაჩენენ ქვიშასა,  
თავ-ბოლოს ქვას დასლობენ, იმასა ვხედავთ ნიშნათა.  
იმას რაღა ეშველება, რომელიც შესჭამს სხვისასა!

---

## ურიების ბედი.

უძველესი ხალხი.— მისი აკვანი და მისი ასპარეზი.— როგორ დაიცვეს ურიებმა თავიანთი ეროვნება?— რად სდევნიდენ მათ?— ვისი ბრალია რომ ურიებს მხოლოდ ვაჭრობა ეხერხებათ?— მეც-ზრამეტე საუკუნე უნა საუკუნოებს დაუბრუნდა.— ურიების დევნა გერმანიაში.— ურიების დევნა რუსეთში.— სიტყვა და საქმე.— «ძალღსა სცემდენ, რძალს ასმენდენ.»

ხანდისხან ჩვენს მეცხრამეტე საუკუნეშიაც მოხდება ხოლ-  
მე იმისთანა ამბავი, რომელიც ძველის მომხრეთ თავს ძალღს  
აღებინებს და დიდ-გულად ათქმევინებს: ავი ვამბობთ, კაცობ-  
რიობას წარმატება არა ეტყობა-არა; თუ უწინ იყო განუწყვე-  
ტელი ომები, ხალხი ძინც იმდენი არ იხრცებოდა, რაც ეს-  
ლანდელს არა ნაკლებად სშირს, მაგრამ განათლების წყალობით  
უფრო კაცობრიობის მულეტელს ომებში იხრცებოდა; თუ უწინ  
სდევნიდენ სხვა-და-სხვა სარწმუნოების მღვინარებელთ, მეცხრამე-  
ტე საუკუნის დასასრულს არ არის, რომ განათლებულს გერ-  
მანიაში ერთი ყოფა ასტესეს ურიების წინააღმდეგ და ვინ  
იტის ზოგი რა დონეს არჩევს იმათ ასწარყვის შესამცირებ-  
ლად, ზოგი რასა: ზოგი ამბობს ურიები გადაეასასლოთ,  
ზოგს უნდა, მოუსწოს უფლებს მამულის საკუთრებად მიულა-  
ბელობისა. მეცხრამეტე საუკუნეში, ამ 1881 წელშივე, არ  
მოხდა ის მოძრაობა, რომელმაც მთელი სამხრეთ-ჩრდეთი  
მოიცვა, გამკინვარებული მღაბალი ხალხი საბრალე ურიებს

მიუსია, თითქმის მთელი მათი ქონება მტვრად ატყვევინა, და ვინ იცის რამდენის ურის სისხლიც დააღვრევენაო.

ვეკლა ეს მართალია; ჩვენს დროსაც უხვი სამკვიდრო დაჩენია ძველის დროის საზიზღარ ჩვეულებისა და დამიანთაგან ადამიანის მძუღვარებისა; მაგრამ ეს სრულიად იმას არ ამტკიცებს, რომ მანაც კაცობრიობა უგან-უგან მიდიოდა, ან ერთს ადგილას იუფს განკრებულა. ეს ამტკიცებს მხოლოდ, რომ რაც ადამიანს და ადამიანთა კრებას ერთსეულვე ძვალსა და რბილში გაუფდება, ძნელია მისი აღმოფხვრა. ესაა რომ ურეებს წვეკლა-კრულვა დაკუწეთ, ან იმათ მდევნელებისა სასტიკი დასჯა მოვინდომოთ, — უსამართლობა იქნება. ურეები ბევრს აწუხებენ სხვა რჯულის ხალხს, ბევრჯან სისხლსაც სწოვენ მას, მისის უმეტრების წყალობით თავის სატყებლობას მისდევენ, მაგრამ ეს უფრო იმ საზოგადოების ბრალია, რომელშიაც ურეები არიან გაბნეულნი, ვიდრე თითონ ურეებისა. არც ისინი არიან დიდად გასამტყუნარნი, რომელნიც ურეებისა და სხვა სისხლის მსძელების მეხებით სრულიად გადატაკებულან, აღეგების დროს მისად არიან დაისშონ ყოველივე კაცობრიული გრძნობა და გაბრაზებულები არა ზოგვენ თავიანთ შემწუხებელთა საწილ-საცხოვრებელს და თვით მათ სინჯისხლსაც. სად შეუძლიან უპერანგო, უღუგამა-პერო მუშას დაკვირდეს ისტორიას და სწინოს, რომ მიხეცი მისის გადაბრებისა და ურეებისაგან მათის დაჩაგვრისა ის არის, რომ ოდესმე ესენი თვითონ უფრო მეტად დაჩაგრულნი იყვნენ და შერის-ძებამ ჩააგონა ესმართ ყოველი დონე უწინდელი შეურაცხება და წვალება გადაეხადათ თავიანთ მწვალებელთათვის.

ჩვენი სიტყვები საზოგადოდ, უსაბუთოდ წარმოთქმული არ არის; ჩვენ ვერდებით დავამტკიცოთ, რომ სადაც კი ურეი-

ბი ნაკლებ იყვნენ შევიწროებულნი, იქ ისინი თითქმის შეუ-  
თვისდენ სხვა ხალხს და იმ ქვეყნებში ურბებისა და ქრისტიან-  
ების ერთმანერთზედ მისევე მხეცურ ფანტაზიად მიანხნით.

\* \* \*

პირველში ურბები არც ისე ფულის მოყვარულნი იყვნენ,  
არც ისე მარტო ვაჭრობის მიმდევარნი, არც ისე ლაჩარნი,  
როგორც ესლან. ეს არის უძველესი ხალხი, რომელ-  
საც აკენად დაბადების სიტყვით ედემი ქქონია და უძველეს  
დროში პირველი ადგილი სჭერია განათლების საპირფარეოდ.  
არც თავის-თავის ყადრსა და თავ-მოყვარეობასა ყოფილა მოკ-  
ლებული, როგორც ესლან: როდესაც ეგვიპტის ფარაონებმა  
მეტად შეაწუხეს და შეაკვირეს ეგვიპტეში მცხოვრები ებ-  
რაელები, მთელმა ხალხმა მისე წინასწარ-მეტყველის წინა-  
მძღომლობით იგრიალა, მინატრავ თავის მამა-პაპეული ადგი-  
ლი, არ მოერიდა ორმოცის წლის მოგზაურობას და უცხო  
ქვეყნებში გადასახლდა. არ მოერიდა მრავალს გაჭირვებასა და  
ტანჯვა-წვალებას, ოღონდ მოეპოვა თავისუფლება და თავისი  
თავი ეგვიპტის მძინვარე ფარაონებისათვის არ დაემონა.

როდესაც ებრაელები დასახლდნენ იერუსალიმის არე-მარე-  
ზედ, იქაც მრავალჯერ გამოიჩინეს გულადობაც და მამულის  
სიყვარულიც. ჭილისტიმლებთან, მოახლებებთან და სხვა ამ გვარ  
ნახევარზედ ველურ ხალხებთან ბრძოლა იმათთვის ძნელი არ  
იყო და ეს მათის გულადობის მაგალითად არ გამოდგება;  
მაგრამ ებრაელებმა მამაცად იბრძოლეს თვით სამაგალითოდ  
გაწირთნილ რომაელთა ჯარებთანაც:

როდესაც რომის იმპერატორმა ტიტმა მოინდომა იერუ-  
სალიმის დაპყრობა, ებრაელთა ჯარები დიდ ხანს უდგნენ წინ  
მძიმედ შეტურვილს რომაელთა ჯარებს, ბევრჯერ ფარ-ხმალიც

დასურვენი და მტკიცა მხოლოდ მაშინ აიღო იერუსალიმი, როდესაც, ისტორიკოს იოსების სიტყვით, ერთმა მილიონმა ებრაელმა, და ტატიუსის სიტყვით კი, ეჭვსასი-ათასმა წააკლა თავი თავის დედა-ქალაქს.

ეს მოხდა მე-70-ს წელს ქრისტეს შემდეგ. ებრაელებს დაეკარგათ სამშობლო, გელარ გაუძლეს რომაელთა მიფლობელობას და იძულებულნი იყვნენ გადასახლებულიყვნენ სადმე. მაგრამ თითქმის სულაც უნდა მისულიყვნენ, ქრისტიანობაც უკან მისდევდათ და ჰანატიკოს მქადაგებლებისგან გაბრუნებული ხალხი გადაემტერა მათ, ყოველი ურის ქრისტეს მწვალებელი ეგონა და ცდილობდა სამაგიერო გადაესხა. ამიტომაც, სულაც კი ქრისტიანობა გაჩნდებოდა, ურებს იქ ცხოვრება უძწავდებოდათ და მეტი ღონე არა ჰქონდათ, უნდა შორს წასულიყვნენ სადმე. ეს იყო პირველი მიზეზი, რომ ურები თითქმის მთელს ქვეყანაზედ არიან მოფენილნი. მეორე მიზეზი კიდევ ის იყო, რომ თითქმის არსად არ ამღებდნენ ურებს უწინდელს დროში ნებსაც ადგილ-მამულის შექმნისას და რა ექნათ, თუ ვაჭრობისათვის და ხელ-საქმისათვის არ მოკვიდათ სული. ეს ორივე საქმე კი ისეთი საქმეა, რომ რომელიც კი მათ მოჰყიდებს ხელს, უფრო ეჩვევა მწანწალობას, ერთის ქვეყნიდან მეორეში გადასვლას, ვიდრე მიწის მუშავა.

ამას გარდა ჭკუა-გონების გავითარებით ურები ბევრად მაღლა იდგნენ ზოგიერთს იმ ხალხებსედა, რომელთ შორისაც მათ მოუსდათ ცხოვრება, და როდესაც ჰსედავდნენ რომ მათზედ უფრო უმეტარნი და შეუგნებელნი ზიზლით უფურცდნენ და ყოველთვის მზად იყვნენ თავიანთ ტყუილ უფლებების დასაცვლად იანდზედ სული დაედოთ, — რა გასამტყუნარნი არიან ურები, რომ თითონაც ზიზლით დაუწყეს ყურება თავიანთ

ქრისტიანის მუცლობებს და თავის თავისა და ქონების დასაცავად შეჭერეს ერთმანეთში ჰიჩი, რომ გაჭირებაში ყოველთვის ერთმანეთს მხარში ამოსდგომოდნენ და თუ ქრისტიანები რისხვით ჭ მალით აღემატებოდნენ, იმათ სიმდიდრე მანც შეეძინათ. რა გასაკვირველია, რომ შუა-საუკუნეების ინკვიზიციისა და «ძალად მორჯულების» შემდეგ ურბებმა უფრო მტკიცედ დაიცვეს თავიანთ ეროვნება და სარწმუნოება? რა გასაკვირველია, რომ ესლანც კი ბერის ქვეყნებში ურბებს ქრისტიანები თავლით დასანახვად ეჯავრებათ და ქრისტიანებს ურბები?

\* \*

ესრედ და ამ გზით ასპარეზი ურბების მოქმედების თან-და-თან გაგრცელდა; ჰირვანდელ ედემის მაგივრად მთელის ქვეყნის ზურგი დაიჭირეს. ყოველის ახალის ქვეყნის გამორჩენის შემდეგ ურბები მიეშურებოდნენ იმ ქვეყნებში, ეგებ აქ უფრო კეთილად ვიცნოვროთ და თავლში ჩხინად აღარავის ვუვდეთ. ამერიკაში რასს ათასზედ მეტი ურბაა და. თვით გადაკარგულს რკანის კუნძულებზედ, რომელნიც ათას და რცი ათას კერსზედ არიან ევროპიდან მოშორებულნი, გაიდგა ფესი ამ უცნაურმა ხალხმა.

ურბებმა მტკიცედ დაიცვეს თავიანთი ეროვნება, თავიანთი ნაციონალური ხასიათი, თავიანთი რჯული, მეტადრე იმ ქვეყნებში, სლანც უფრო შეწუსება ადგათ და ცნოვრებისათვის ბრძოლაში სიმტკიცე და თავიანთ მორჯულეთა გატანა უნდა გამოეჩინათ.

მანც ბერს გაუკვირდება, როგორ მოასერსა სხვა ხალხებთან შედარებით ამ ერთი-მუჭა ხალხმა, რომ თავის ცნოვრება შეაფერს სხვა-და-სხვა ჭაერს, ბუნებას, სხვა-და-სხვა მიწას და ან სრულებით არ აღმოიფხვრა დედა-მიწის ზურგიდან.



ამის მიზეზი ზემოდ-სსენებულს გარდა არის ისა, რომ უროები საკვირვლად მრავლდებიან და დიდ ხანსა ცოცხლობენ. მკითხველის თვალს აჭრელებსა რომ არ გვეშინოდეს, მრავალის ციფირებით დაკამტიცებდით, რომ უროების ბავშვები უფრო ნაკლებ იხრებიან, ვიდრე სხვა ხალხისა; სიკვდილი მიწვევს სწრაფებაში ნაკლებ სშირია; რომელიმე წელიწადი რომ ავიდეთ და შევადაროთ, რამდენი ბავშვი ებადებათ იმ წელიწადს და რამდენი სული კვდება, ვნახავთ რომ უროებში უფრო გადმეტებს დაბადებულთა რიცხვი მომკვდართა რიცხვს, ვიდრე სხვა ხალხებში, ასე რომ უროები უფრო ადვილად მრავლდებიან \*). შესანიშნავია მართლა რომ ზოგიერთი ავად-მყოფობა ან სულ არ ევარება უროებს, ან ძალიან სუსტად მოქმედობს მათზედ. მაგალითად ჭლექი და სურავანდი ძვირად თუ შესვდება უროსა; აგრეთვე ხოლერა, ჭირი ისე აუვლის ხოლმე ზოგიერთგან უროებს გვერდზედ, თითქო ეს ხალხი მართლა ღვთისაგან ამოწეული იყოს.

ერთი დოქტორი ამტკიცებს, რომ ვენეციის დედა-ქალაქს ვენეტში 1851 წ. ხოლერის დროს ათი ათასს ქრისტიანში ან ოთხმოც-და-სუთი კაცი კვდებოდა და ათი ათასს უროებში კი მარტო ოც-და-ექვსი.

1348 წელს გაჩნდა ჭირიანობა საფრანგეთში და ერთი მკმატანე ამბობს: «ქრისტიანებში სიკვდილი ისე გასშირდა, რომ ათში ერთი ძლივსდა დაჩნა. უროებს კი თითქო რაღაც

\*) ყოველ ამის დასამტკიცებელი ციფირები მოიხანება ერთს სტატისტიკაში: «De certaines immunités physiologiques de la race juive» («ზოგიერთი ფიზიოლოგიური უპირატესობა ებრაელთა ხალხისა») რომელიც დაბეჭდილია ფრანგულულს ჟურნალში «Revue Scientifique» 1881 წ. № № 17 და 20.

იფარავდა და თუ დაინახა ვინმე მათ შორის, ძალიან ცოტა. ამ ცისა და ბუნების წყალობამ აუღელვა ურბებს მთელი კვ-  
რება. ერთსა და იმავე დროს დაიწეეს მათი დევნა სავანეებში,  
შინ, გერმანიაში, ესპანიაში, სადაც მათ ჭებისა და მდინარეე-  
ბის მოწამლვას აბრალებდნენ\*). არ ვიცით, რას უნდა დაბრალ-  
დეს ეს გარემოება რომ თუძცა ურბები ძალიან ღარიბად  
სცხვრებენ, ქაღალდების უვარვის ჭკერსა სუნთქვენ, მხოლოდ  
ერთმანერთში აქვთ ცოლ-ქმრობის კავშირი და სხვა ხალხს არ  
იკარებენ\*\*),—მანც ავად-მყოფობა ძვირად ეკარებათ და ძლიე-  
რად მრავლდებიან.

ზოგი ამ მოვლენის მიზეზს ჭხედავს იმაში, რომ ურბე-  
ბი ღარიბს ხორცს არა სჭამენ და ამით თავიდან იცილებენ  
ერთს მეტად მკვნი სჭმელს; ზოგნი იმას აბრალებენ, რომ  
ურბები ადრე ქორწინდებიან, რიგინადა სცხვრებენ, არა  
ლოთობენ და იმისთანა შრომას არ ეტანებიან, რომელიც სტე-  
ხავს ადამიანის ჯანსა და ღონეს.

მხელი გამოსარკვევია, რომელია ამ ზოგში მტყუანი და  
რომელი მართალი, მაგრამ რომელიც უნდა იყოს, მანც ეს  
თვისება ურბებისა კაი ფარ-ხმალა მათის ეროვნებისა და რჯუ-  
ლის დასაცველად.

\* \*  
\*

\*) იგივე სტატია.

\*\*\*) მხოლოდ ერთსა და იმავე ხალხში ცოლ-ქმრობის კავშირი და  
მეტადრე ერთსა და იმავე გვარში მეტად მაზარალებელია ჩამომავლობი-  
სათვის, როგორც გონებისა ისე სხეულის მხრივ. ჩვენ ვიცით რამდენი-  
მე გვარი ჩვენშია, რომელნიც ერთმანერთში ხშირად აძლევენ ქალსა  
და ზოგიერთი იმ გვართაგანი ისე დაცემულია, რომ იდიოტები უფრო  
ბევრი მოინახება მათში, ვიდრე ჩვეულებრივის ჭკუა-გონების პატრონი.

ყველგან იხმარეს ურეებმა ეს ფარ-ხმალი თუ არა? ყველგან კვადენ თავიანთ ეროვნების დაცვას და არ ერეოდენ სხვა ხალხში, თუ ზოგან ისე გაიბნენ და დაჭკარეს თავიანთი ჩვეულება და ხასიათი, რომ ველარც კი იჩხევიან სხვა ხელთა შორის?

დავიწყოთ ჩვენის ქვეყნიდან:

ორს ძველს საეკლესიო გუჯარში სწერია: \*)

1) «1664 წ. დედოფალმა მარამმა, ასულმა დადიანისამ. დომენტი კათალიკოსის დროს შესწირა ურია დანიელა სოფელს ცხინვალს თავის სახლობით მცხეთის ეკლესიას და ვალად დასდო, რომ ყოველს შობის მარხვასში მიერთმია ეკლესიისთვის ხუთი ლიტრა წმინდა სანთელი.»

2) 1745 წ. სურამის მამასახლისმა ვახიმ მიჭყიდა კათალიკოსს ანტონს მცხეთის ეკლესიის ყმად ურია არონა.

გაძმა რომ ამ ორს ჭაკტრედ დააფუძნოს თავისი სჯა, ეს ორი ჭაკტი რომ საზოგადო მოვლენათა ნიშნად მიიღოს, ძეტად ტუღს აზრს შეადგენს ჩვენში საჩუქროების დეგნაზედ, იფიქრებს რომ ქართველები სასტიკად ეპყრობოდენ ურეებს და იქნება სხვა რჯულის ხალხსაც, რადგან ამაზედ დამამცირებელი არა არის-რა აღამიანისათვის, როგორც ყმად შეწირვა, ან ყმად მისუიდავ ერთვის რჯულის კაცისა მეორე რჯულის სალოცავისათვის. მაგრამ თუ დავაკვირდებით ჩვენს ცხოვრებას და დავხედავთ რა დამოკიდებულებაა ჩვენში სხვა-და-სხვა მერჯულეთა შორის, სრულებით სხვა აზრს შევადგენთ.

არავინ ისეთი მტერი არ იყო საქართველოსი, როგორც

\*) ნახე დ. ფურცელაძის წიგნი: «Грузинские Церковные гуджари» გვ. 110 და 114.

სპასიულები, მაგრამ დიდი ხნიდანვე ბევრი სპასიული სცხოვ-  
რობდა თბილისში და აწავის არ ახსოვს და არც სადმე შეგუ-  
ხვედრია წაგვეკითხოს, რომ ქრისტიანებს რომდისმე შური  
ეკოთ მათთვის და სარწმუნოებისათვის დევნა მოენდომოთ.

აგრეთვე ძვირად სადმე შესთვისებთან ურიები სხვა ხალხს  
ისე, როგორც ქართველებს შეეთვისენ. ჩვენდა სამწუხაროდ არ  
ვიციოთ, რა უთულება ჰქონდათ ჩვენში უწინდელს დროს ურიებს,  
შეუძლოთ თუ არა ადგილ-მამულის შექმნა, ჰქონდათ თუ არა  
ნება ეველეჯან დასახლებიან, — მაგრამ ეს კი ვიციოთ, რომ უკა-  
ნასკენელს დროს და ესლაც არც ერთს იმ უთულებას არ იყვნენ  
მოკლებულნი, რომელნიც ქრისტიანებსა ჰქონდათ მინიჭებული.  
ჩვენში ურიები თითქმის ეველანი შესანიშნავს ქალაქში და  
დიდს დაბებში სცხოვრობენ; ადგილ-მამულიც ბევრი აქვთ შე-  
ქმნილი და ზოგან მსუბუქად თითონვე მუშაობენ მამულში.  
მათ შეითვისეს ჩვენი ენა, ჩვენი ტან-საცმელი, ზოგიერთი  
ჩვენი ზნე და ჩვეულება და დარწმუნებული ვართ, რომდესაც  
ქართველი ხალხი ჭკუაში ჩავარდება და თავისი თავი საპასუ-  
ვი ცხვარი აღარ ეკონება, ბევრი ურიები დანებებენ ვაჭრობას  
თავსა და მიწის მუშაობას მიჭყოფენ ხელსა.

ზემოდ ამოწერილი ორი ჭაკტი ამტკიცებს მხოლოდ  
ზოგიერთა მებატონეებისა და «დედოფალაების» გულ-ქვაობას,  
რომელთაც წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ ოღონდა ეკლე-  
სიებს კი შევწიროთ რამე და რაც უნდა იყოს ეს შენაწირა-  
ვი, მაინც ცოდვას არ არის და ამ გვარ მსხვერპლით კი ყო-  
ველსავე ჩვენს ცოდვას ჩეხსითსა და უნებლიეთსა მოვინა-  
ნიებთო.

\* \* \*

სწორედ დირს-შესანიშნავი ევროპაში ურიების განაწი-

ლებს და ვინც კი დააკვირდება მათს ცხოვრებას, მათს რიცხვს სხვა-და-სხვა სასჯელმწიფოში, მათს უფლებებს, შეიძლება ისტორიის ზოგიერთი განხილვა თვალ-ნათლივ დაინახოს.

საშუალო საუკუნეებში ურიებს მოსვენება არაად არა ჰქონდათ; ყველგან ქრისტეს მწვალებლებს ეძახდნენ, ყველგან სტანჯავდნენ მათ. ბევრგან აკრძალული ჰქონდათ ადგილ-მამულის შექმნა და თუნდა კიდევ აკრძალული არა ჰქონდათ. როგორც ვახუშტის ურიები უძრავ ქონების დამატრონებას, როდესაც გული დაჟვრებულ იქნა ჰქონდათ, რომ ხვალინდელს დღეს მთელს მათს ქონებას სხვანი არ დაეპატრონებოდნენ. წოდნაც ვთქვით, რომ ამ მიზეზების გამო ურიებს მთელი თავისი ჭკუის ღონე ვაჭრობისათვის და თვალ-მარგალიტის, ფულის, ავლილად შესანახის განძის მოპოვებისათვის უნდა მიეძღვნათ და ამ საქმეში ისეთი გამჭრიახობა და ხელდასრულება გამოიჩინეს, რომ ვერც ერთი საღისი მოქიშხედ ვერ გაუხდებოდა.

საშუალო საუკუნეებში ასე იყო, მაგრამ დროთა ვითარებაში და ისტორიის წარმატებაში შესტვალა კაცობრიობის სახე. ევროპის თვითუფლებს საღისს უფრო დაეტყო თავის განსხვავებული ხასიათი: ბევრმა გაიძრო ბარბაროსული განი, ზოგმა თავისუფლების სამ-ფერფანი დროშა გააკეთა და წარმატების დევიზად სამი ჩინებული სიტყვა ყოველთა საღისთა „ძმობა, ერთობა, თავისუფლება!“ დაწერა. ინგლისმა გაანსაღა თავის პოლიტიკური წყობილება, მოჰკვიტა ფრთები თავის-ნება მტარვალებს და მიანიჭა ერთ-გვარი უფლება ყოველს ინგლისის ქვეშევრდომს. საფრანგეთისთვისაც სიწესვილი იყო რომ დიდ-რეგალიუციის შემდეგ ურიასა და ძინცუხებში გაჩნევა დაელო რამე.

ამ ოქს სასკლმწიფოში ურეებმა თავისუფლად ამოი-  
სუნთქეს; თუძცა თავიანთ საუკარელს გაჭრობას და ბანკირო-  
ბას მანტ მისდევენ, მაგრამ განს საუეუნობით ჩანერგილი  
ჩვეულება და ზნე ასსა და ოქსას წელიწადს შეიცვლება? რაც  
ცვლილება მოხდა მათში ჯერ-ჯერობით, ესეც გასაოცარია.  
ვერც ინგლისში და ვერც საფრანგეთში ურეას ინგლისელისა  
და ქრანტურისაგან ვერ განარკეთ. ერთმა ისინი მოინადირა  
და შეითვისა თავისუფალ დაწესებულებით, მეორემ თავისუფ-  
ლების გარდა ქრანტურების განთქმულ თავაზიანობით.

ზირველში კაცს ეგონება, რომ ურეები ისეთი დაუდგრო-  
მელი ხალხია, რომ უნდა ეგრილათ, ეველანი ამ სასკლმწი-  
ფოებში გადასახლებულიყვენ და თავი დაენებებინათ რუსეთი-  
სა, ოსმალეთისა, რუმინიისა და სსვას სასკლმწიფოებისათვის,  
სადაც დღესაც კი ბევრგან იმათ აკრძალული აქვთ მიძღლის  
შეძენაო. თითქო ასე უნდა მომხდარყო, მაგრამ აი რას გვი-  
მტყიცებს რიჩირები:

რუსეთში ურეების რიცხვია 2.621,000; რუმინიაში —  
275,000; ოსმალეთში — სულ რომ ცოტა ვთქვათ — 260,000.

საფრანგეთში ურეების რიცხვია 49,000 და ინგლისში  
50,000.

ესე იგი, იმ ქვეყნებში უფრო ნაკლებად არიან ურეები,  
სადაც იგივე უფლება აქვთ მინიჭებული, რაც სსვას ხალხს და  
იმ ქვეყნებში კი, სადაც ისინი შევიწროებული არიან, მათი  
რიცხვი უფრო მეტია. რასაკვირველია აქ ისიც არის მსედგე-  
ლობაში მისაღები რომ თუ რუსეთში ბევრად მეტია ურეების  
რიცხვი, ვიდრე საფრანგეთში და ინგლისში, თითონ რუსე-  
თიც უფრო ვრცელია. მაგრამ ზატარა რუმინიაში კი რომ  
275,000 ათასი ურეა იყოს და ინგლის-საფრანგეთში ორმოც-

არმოც-და-ათი ათასი.— ეს ცხდად ამტკიცებს ჩვენს დასკვნას.

იმედი გვაქვს არავინ ისე არ გადააკეთებს ჩვენს სიტყვებს, რომ ვითომც ურბები განგებ ეტანებოდნენ იმ ქვეყნებს, სადაც მეტი შეწუხება აყენიათ, თითქმის ზურგი აქვთაბოძებოდა და თითონვე უშეგრძელებელს ქრისტიანებს, ანა. თორე წაგვიჭირეთა.“ ჩვენი აზრი ეს იყო რომ, ვისაც ურბების გავლენასთან ბრძოლა სურს, უნდა განათლებით ებრძოდეს; რომელს სალსაც არ უნდა ურბებს დაეხგვინოს,— გაითანასწოროს ისინი, მასცეს ყოველი უფლება და თითონაც ისწავლოს ამ უფლებებით სარგებლობა. ურბები მოსაძლებსა და რუმინისა უფრო იმიტომ ეტანებიან, რადგან ამ ქვეყნებში ჯერ ვერ გაუგიათ, რომ შევიწროებითა და შეწუხებით რომელიმე სალსის ამოფხვრა, ან შებაწვრა არ შეიძლება; იქ ჯერ ვერ გაუგიათ, რომ ძალით ვი არ უნდა დაუშალონ ურბებს სხვადასხვა უფლებით სარგებლობა, თავიანთ გავლენით უნდა დაუშალონ და ამ გავლენის მოსაზრობლად სულ სხვა ღონე უნდა იხმარონ—ღონე სალსში უმეტრების მოსაზობისა— და არა შეასაუფროებისაგან მოგონილი საშუალება.

\* \*

გიდევ ეს არის განსაკვირველი, რომ ამ გვარი ცხადი ჭეშმარიტება, ამ გვარი ანბანური აზრი ჯერ რიგიანად იაგში არ გასაქვეყნიათ ზოგიერთს მაღალს ყულტურით დატვირთულს, ესრედ - წოდებულს „განათლებულს“ სალსს. სწორედ განსაწვიფრებია, რომ ჩვენს საუფუნეში ეს ჭეშმარიტება ვერ უგრძნობია მაგალითად თვით გერმანიასაც და იქაური მრეხვესარები და სწავლულები კათედრიდაც ქადაგებენ. რომ ურბებს უნდა ფრთები შევაკვედროთ, თორემ მთელი გერმანიის იმით

დაიპყრეს. იმისთანა გამომხეილი სწავლულებიც კი, რომლებიც არიან დიურინგი და ჭონ-ტრეინკე სასაღსოდ აცხადებენ უნდა სელ-ასლად აუკრძალათ ურეებს მამულების შექმნა; არ უნდა მივცეთ ნება, რომ გაზეთის ან ჟურნალის გამომცემელი ან რედაქტორი ურია იყოს; უნდა ადგილობრივ ადმინისტრაციას მივცეთ უფლება თავიანთ მარხაში ურეებს დასასლება აუკრძალონ\*). ერთის სიტყვით გერმანიაში დღესაც ხმა აძლავს ურეების მდებელოთ და საკვირველი ეს არის, რომ ეს ხმა ინკვიზიტორების ხმა კი არ არის, „ფრიად პატივცემულ“ სწავლულთა შირიდამ გამოდის.

მაგრამ კაცობრიობის საამყოფ გერმანიაში გამომხდენ იმისთანა შირინიც, იმისთანა სწავლულნიც, რომელთაც უარ-ჭეკვს ცრუ-არხები, ურეების წინააღმდეგ წარმოთქმული და ჭეშმარიტების გზას დაადგენ. აი რას ეუბნება ერთი გერმანიის სწავლული ზემომხსენებულ ვაჟ-ბატონებს:

„თქვენ სწუხართ, რომ ურეები ვერ განემეცდენ; მაგრამ ჯერ ერთი საუუხე არ გასულა მას აქედ, რაც ურეებს ეკვლისაჲერი ხელს უშლიდა, ნემეცობა არ დასტეობდათ: განსხვავება სარწმუნოებისა, სხვა სარწმუნოების გაუტანებლობა ქრისტიანთა და ებრაელთა სასულიერო შირთაგან, და მეტად-რე კანონები, რომელნიც ურიას მონასთან ათანასწორებდენ; უშლიდენ მცირედიც არის სხივი გერმანიის განათლებისა მიტკარებოდა იმ ჭეუჭყიანს და საზოგადანს კუთსეს, რომელიც მოთავართა გულ-უსკობით დაენიშნათ მათ საბრალოდ ცხოვრებისათვის. და თქვენ კიდევ გიკვირთ რომ ურეები არ განე-

\*) ამ წლის მარტის წიგნი ინგლისურის ჟურნალისა «Fortnightly Review». სტატია: «ურეების წინააღმდეგ მოძრაობა გერმანიაში».



მეცდენ? დღე-ღა-ღღე მცირდება ესაა იმ ურჩათა რიცხვი, რომელთაც გერმანიის კულტურა ან კვარებადა; მე და ჩემი მეგობარი ებრაელები ვრდილობთ განუწყვეტლად ჩვენის მაგალითით, ჩვენის გავლენით, ჩვენის სწავლით მოვიასწავლოთ ეს გათანასწოების ყაბი და ამ დროს თქვენ მხარში უდგებით იმით, ვინც გვიქსაქსავს გზას და რდილობს უმეტესად ჩაადრმავოს ის ღელე, რომლის ამოკვებასაც მთელი ჩვენი სიცოცხლე ვრდილობთ.“

ამ სწორედ სულ-დიდის გრძნობით ჩავრნებულ სიტყვებს თანაუგრძნობენ ბევრი გერმანიელები, რომელთ შორის არიან მაგალითად გამომჩინილი ბუნების მეცნიერი ვირხოვი და ისტორიკოსი მომსენი.

ამათ მეოხებით და იმის წყალობით, რომ მართლაც მეცნიერებე სუუუნე მეცნიერე და მეთოთხმეტე როდია, რომ ყოველის ზნეობისა და სსუულის ჯადათს სიტყვა დაეკვრეს, — გერმანიასი ურჩების წინააღმდეგ წარმოთქმული სიტყვა საქმედ ვერ იქნა და მათ არც ერთი უთულება არ მოკვსოთ; მაგრამ შედევგშიაც ასე იქნება თუ არა, ვინ იცის!

\* \* \*

გერმანიასი ვი ვერა ჭქნეს-რა ურჩების მტრებმა, სიტყვა საქმედ ვერ აქციეს, მაგრამ რუსეთში არც ბევრი ლაზარაკი დასჭირდა, არც ბევრი ქადაგება. თითქმის ყველამ იცის გაზეთებიდან, რომ აზრილში დაიწყო ურჩების წინააღმდეგ ძელეკვება სამსრეთ-რუსეთში და რამდენსამე დღეს ისე მოედლო მთელს იმ მხარეს, სადაც ურჩები ესასლენენ, თითქმის ყველა ქადაგებს და მრავალს სოფლებს, რომ მმართებლობას ვარირე ვი არა ჭყოფინდა მათ დასამშვიდებულად. კაზარმებიდან გამომწვეული ჯარი ერთს ადგილს რომ დაამოშინებდა ხალხსა, ახ-

და სხვაგან ატყდებოდა აჩუქლობა და კიდრე იქ მიეშველეთ-  
ბოდა, შირველნი, ახალის მაგალითით წაქეზებულნი, ხელ-მე-  
რედ თავს ეტყობდნენ ურჩობას, ანგრევდნენ მათ სახლებს, ანად-  
გურებდნენ მათ ქონებას, ამსხვრევდნენ და ჭკლევდნენ ყოველის-  
ფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ.

მიზეზი ამ მოკვლევისა არის დაბალის ხალხის ენით გა-  
მოთქმული სიღარბე. ურჩობას რუსეთში არა აქვთ ნება და-  
სახლდენ ზოგიერთს ალბას, მაგ. ჩრდილოეთისა და აღმო-  
სავლეთის გუბერნიებში. დიდ-ძალი რიცხვი ურჩობისა შეკუმ-  
შულია რამდენსამე სამხრეთისა და დასავლეთის გუბერნიებში  
და რადგან ზემო-აღრიცხულის მიზეზების გამო ისინი უფრო  
გაჭრობას ეტანებიან და ასწარები კი მეტად მცირე აქვთ, დი-  
დი შეცილება უნდა გამოუჩინონ ერთმანერთს და ერთი-ერთ-  
მანერთის ჯიბრით უფრო მეტი ტვინი გამოხწოვონ დაბალს  
და უმეტარს ხალხს.

რას გასაკვირველია, რომ შეუგნებელს და გადატყაბულს  
ხალხს თავის მტრად ეცნო ყოველი ურჩი და მათზედ ამო-  
ყარა ის ჯიჯი, რაც რამდენიმე ასის წლის განმავლობაში  
გულზედ დასდგომია.

ამ მწარედ გულ-მოუსულ ხალხისათვის საკმაო იყო მცირე  
საბაზი, რომ უცბე აფეთქებულიყო და ყოველის შემშუსრვე-  
ლი ძალა გამოეჩინა. საბაზი მართლაც და მცირე იყო. ქა-  
ლასქს ელიზავეტგრადში 15 აპრილს, აღდგომის მეოთხე დღეს  
ერთს რუსს გაუტყდა ხუთ-გროშიანი სტაქანი ურჩის დუქანში  
და ამ სტაქანის ფასის გადახდა არ მოინდომა; ურჩი არ ეშ-  
ვებოდა; მოუვიდათ კინკლაობა. ერთი რუსი გამოვიდა დუქანი-  
დამ და დაივიწინა: «ჩვენებს სტემენო.» ეს რაი სიტყვა ელვის  
უძალესად მოედო მთელს ქალასქის ხალხს, რომელიც უქმეობის

გამო სულ ქუჩაში და შეიძენებზედ იყო გამოსული. ამ სიტუაცებში ახლელვა რამდენიმე ათასი სული; ბლომად დალეულმა ვოდკამაც მოსცნო დეზები და მიჭვეკს სელი ურების ქანების. ორს-სამს დღეზედ რაც კი რამ იყო ურებისა, ყოველისფერი შემუსრეს.

აი რასა სწერს ერთი კორესპონდენტი «ГОЛОСЪ»-ს:

«მხოლოდ დღეს, 17 აპრილს დავათვალიერე წინასკედი და დანახვრევი. პირველადვე კაცს თვალში ის ეცემა, რომ ქუჩები თოვლისაგან თეთრად არიან მოფენილნი ბურტყელით. არც ერთი ბაღიში, არც ერთი ლეიბი არ დაუგდიათ ურების სახლში გაუჭრელი. ბუმბული მთლად ერთიანად ქუჩებში გადმოუყრიათ; დანგრეულ სახლების გვერდით ჭყრია დამტვრეული მებელი და სხვა ავეჯეულობის ნამსხვრევი: ქორტეპინანობი, ფეხებ-მომტვრეული, სიმებ-დაგლეჯილი; სავერდის მებელის ნაჭრები. შიგ სახლებშიაც ყოველისფერი დამტვრეული და დანგრეულია: მინები, ფეხები, კარბები, ფანჯრები....»

გამსეტებული ხალხი ამტვრევდა თურმე ვოდკის ბოჩკებს და ამ „ნექტარის“ ტბაში ცურაობდა. «სამმა კაცმა მოინდომა მუქთის ვოდკით პირი გაეტკებაჩუნებინა და კინაღამ შიგ ჩაიღრჩო, კავალერისა რომ არ ამოეყვანა», ამბობს იგივე კორესპონდენტი.

ჰარი თურმე ვერას გახდა: ასს ჯარის-კაცზედ ათასი წინააღმდეგი გამოდიოდა. მყოფებელნი სრულებით არ იღებდენ მონაწილეობას და არა შეკლდიდენ ჯარს ხალხის დამშვიდებში. გარეშე მოსოფლებიდან ბევრი გლეხები მოსულიყვნენ, მიჭმეტებოდენ გამძვინვარებულს ხალხს და იძახდენ თურმე: «დაგჭრათ ურებს ევლები და წავართვათ მიწები: ჩვენ მანც სამყოფი არა გვაქვს.» ამავე გლეხებმა გაავრცელეს მომ-

რახა გარეშემო სოფლებშიაც, ასე რომ რამდენსამე დღეს მთელი მხარე—სოფელი თუ ქალაქი—აღელვებული იყო და დღესაც კიდევ არ დაწყნარებულია.

ამ აღელვებას ვერ გადურჩენ თვით იმისთანა ქალაქებიც, როგორც კიევი და ოდესაა. გადურჩენ კი არა—ამათ უარესი დღე დაადგათ.

აი რას იწერებოდენ კიევიდამ:

«მე ვნახე საზარელი სანახავი, მხეცური მოქმედება, გავიგონე გულის მომწყლავი ტირილი... ქუჩაში ურია მირბის; თავიდან სისხლი ჩამოდის და გზაზედ კვალს სტოვებს; შატრას ბიჭები კიყინით მისდევენ და ესვრიან ქვებს; აგერ წინ დროშკა დასვდა; ურია სთხოვს კუჩერს ჩასვას დროშკაში, მაგრამ ნაცვლად შასუნისა, კუჩერი გულში წიხლსა სტემს; ურია შედის რომელსამე სახლის კარებში—იქიდაძაც ტყეპითა და ტყეპით ავადებენ. აგერ მოსვდა კიდევ ქვა და დაეცა ძირს; სისხლი ნაკადულსავით გადმოსჩქრიალებს...»

რაც მეტს აზრებდა ხალხი, იმდენად უფრო უძლიერდებოდა ყოველისთვის შემუსვრის სურვილი. დედა-ჩაბები და ბავშვებიც კი ცხარე მონაწილეობას იღებდენ, ჯარს პირველში კი ერიდებოდენ, მაგრამ მასუკან აღარც მას შეეპოვნენ. ჯარიც ორს ტყეხლს-შუა იყო მოქცეული. არ დაემშვიდებიან ხალხი—არ იქნებოდა და დამშვიდებასაც ველარ ასერსებდა. იარაღის ხმარება შეუძლებელი იყო. როგორც ხარს წითელის ნაჭრის დანახვა აბრაშებს, ისე ხალხს სისხლის დანახვა უმეტესად გაამხნეებდა. კიევივე ერთ-ერთი ამ აღელვებულ გროვამი დაჭრილიყო და ხალხს რომ ეს დაენახა, გამძვინვარებულიყო, დაეწყო ქვების სროლა, მივარდნოდა ჯარსა და ეტარნა შუბებზედ ხელი...

ჯერ ნაძღვილად არ იცინა რამდენის აღმანის სიღრმე-  
სლე შეიწინა ამ არეულობამ; ამბობენ ზოგან ოცამდისაც  
მოკვდაო.

მარტო ურბების ჯავრის ამოსაყრელად მოხდა ეს ამბავი  
თუ არა?

ძაგტები ამტკიცებენ რომ ეს მოძრაობა ურბების სარ-  
წმუნოების სიძულელით არ მოხდა; მიზეზი იყო ურბების  
მხრივ დაბალის სალხის ეკონომიურად შევიწროება. ეს ვეკ-  
ლასთვის ცხადია, ვინც კი ამას დააკვირდება რომ სალხი თით-  
ქმის მარტო ურბების ქონებაზედ ყრილობდა ჯავრისა. ეკონ-  
ომიურად სალხს ურბებს გარდა სხვაც ბევრი აწუსებს და რამ-  
დენსამე რუსულს გასეთშიაც იყო ნათქვამი, რომ ურბების  
გარდა ბევრს ქრისტიანსაც ცუდი დღე დაადგაო. ამას გარდა  
ზოგან სოციალისტებსაც დიდი მონაწილეობა მიეღოთ ამ  
საქმეში და ისინი მარტო ურბებზედ არ წაქეზებდენ სალ-  
ხსა.

გასეთს «Порядокъ»-ში იწერებოდენ ოდესიდან, რომ  
თვალეობი დასუჭული უნდა ჰქონდეს, ვისაც ამ მოძრაობის მი-  
ზეზი მარტო ურბების მძულვარება ეგონებაო. ვინ იცის, რამ-  
დენის ქრისტიანის სახლი გასტეხეს ოდესაში და ქონება და-  
ღუპესო.

კიკვიდამაც იწერებოდენ თურმე რომ დიდი მამულის  
პატრონები და მდიდარი ქრისტიანი ვაჭრებიც შიშმა აიტა-  
ნაო, რადგან სალხს ლაშარაკზედაც და ქრეკაზედაც ამკარად  
ეტყობოდა, რომ ურბებს როცა მოჩების, სხვა მდიდარს  
სალხსაც არ დაზოგავნო.

შესანიშნავია აგრეთვე ის სიტყვები რომელიც ხელმწი-

ფე იმპერატორმა უბრძანა ურბის დეპუტაციას: «ეს არეუ-  
ლობა მხოლოდ ურბის სახაზობით არის გამოწვეული, მაგ-  
რამ რეკლამაციების საქმე კია.»

24 მაისს.

---

## უმიტრობის აბაჟობა.

(გუბლენი სახალხო მასწავლებლებს.)

ღვლა ენას კიდევ ესროლეს კენჭები. ადგილი, საიდგანს სროლა მოსდა, ანის «იმედის» ფურცლები და მსროლელი გახლავთ მეტის-მეტად... მამაცი მოლაშქრე. სიმამცით მან ბევრით გადააჭარბა სხვა კენტის მსროლელებს და თითქმის დაეღარა თავის რედაქტორს, მამცთავან მამცს ბ. გურგენიძეს. მაგრამ ბოლოს მარცხი მოუვიდა, სიმამცეს გული კელარ მიადგვნა, დაიხურა რაღაც უჩინ-მახინის ქუდი და გადაიჭკვია უცნაური სასული, გაღალმეილი. რად უღალატა თავის გულადობას და რად ამოეუარა ფსევდონიმის ქვეშ?

ერთმა კაცურმა კაცმა სთქვა: უოკელი კაცის მოქმედება იმ დროდღის უნდა მიაწერო კეთილს განძრასკას, კიდრე ბეჯითად არ დაწმუნდები, რომ იგი ანის შედეგი ცუდის მიზეზისაო. ეს ზნეობითი პრინციპი, სასულემძვანგლო დედა-აზრი, ჩვენ ძლიერ მოგვწონს და ამიტომ მამცს შეილაგის მიმალვას კარგს მიზეზს ვაბრალებთ და არა ცუდს განძრასკას. ჩვენის აზრით იგი უჩინარი, ფარდა-გადაფარებული შეიქმნა, იმიტომ რომ ბოლოს თვითონვე შერცხვა იმ ბავშურის კილოსი, რომლითაც ანის დაწერილი მისი გაკილვა. თქვენ გგონიათ, რომ ეს ცოტა ღირსებაა? შემცდარი ბძანდებით. ჩვენს უსვინიდილო დროში შეჩინარე დარცხვინების ნიჭისა სა-

მაგლობის წინაშე კაი საქონელიაო, სთქვა ამას წინედ შხედრინ-  
მა და სთქვა სრული ჭეშმარიტება.

არც მეტის-მეტად უნდა რცხვენოდეს ბ. გადაღმიელს თა-  
ვის ბავშურ-ბრყულის კილოსი. იგი არ არის არც შირველი,  
არც მეორე, არც მესამე და არც მეოთხე. ამხანაგები ბევრი  
ჭყავდა და ჭყავს: მარად-სასსენებელს ეუეშინსკის თავის ამქრით  
ისე ეჯავრებოდა დედა ენა და ბუნების კარი, როგორც ეშ-  
მაგს ეჯავრება საკმელი და ცხარე რუსული ლანძღვით ისე-  
ნიებდა მათ; დედა ენას, მართალია, კერაფერი დააკლო, მაგ-  
რამ «ბუნების კარი» კი ორჯერ ააკრძალვინა სემინარიის მძარ-  
თველობას. მეორე ბარტყმა ზასაროვისამ გადაღმიელს და მის  
ამქარს დიდი ხანია წინ გაუსწრო. ეს შედაგოგი მტკიცედ ად-  
გია ერთს აზრსა: რაც და ვინც ქართულს ენას მეტ-ნაკლებო-  
ბით აუჯავრებს ბავშვებს, ის მომაკვდინებელი მცოდნეელია რუსუ-  
ლის ენის წინაშეო. ამიტომ კატეგორი არა სდევნის იმ სიბ-  
რყუით პოლიაკებს, როგორითაც ეს ვაჟ-ბატონი ეპურება  
დედა ენას და ბუნების კარსა. მათი სასსენებელი არ უნდა  
აუღს ჩემს ქვეშევრდომ სეოლებშიაო; ღაღადებს და მართლაც  
არ არის. მისი საძულილი ამ წიგნებისა იქამდის მივიდა, რომ  
ათს მცნებას დაუმატა თავის ქვეშევრდომ მასწავლებლებისათვის  
მეთერთმეტე მცნებაც, რომელიც ასე იკითხება: გძულდეთ  
«დედა ენა», «ბუნების კარი» და მთლად მათი შემადგენელი  
და გიუვარდეთ სამაგიეროდ სერგეი მდივანოვი და ანთიმოზ  
ჯუღელი, როგორც დირსეულნი ტყუზნიო. თუ ამ შირების ამ-  
ხანაგობას არ იკმარებს, მაშინ სულ ზემო ეტაჟაში მივუთი-  
თებთ, სადაც ბ. მკილავსედ უსათუოდ რაიმე წყალობას მოი-  
ღებენ, რადგანაც ბეჭდით აღიარებენ, რომ ამ წიგნების ვრცე-



მაგლობის წინაშე კაი საქონელიაო, სთქვას ამას წინედ შხედრინ-  
მა და სთქვას სრული ჭეშმარიტება.

არც მეტის-მეტად უნდა რცხვენოდეს ბ. გადადმიელს თავის ბავშურ-ბრყულის კილასი. იგი არ არის არც შირველი, არც მეორე, არც მესამე და არც მეოთხე. ამხანაგები ბუერი ჭეჭვად და ჭეჭვას: მარად-სასსენებელს კუვშინსკის თავის ამქრით ასე ეჯავრებოდა დედა ენა და ბუნების კარი, როგორც ემ-მაგს ეჯავრება საკმელი და ცხარე რუსული ლანძვით ისენიებდა მათ; დედა ენას, მართლაც, კერაფერი დააკლა, მაგრამ «ბუნების კარი» კი ორჯერ აკრძალვინა სემინარიის მმართველებს. მეორე ბარტუმა წასაროვისამ გადადმიელს და მის ამქარს დიდი ხანია წინ გაუსწრო. ეს შედაგოვა მტკიცედ ადგია ერთს აზრსა: რაც და ვინც ქართულს ენას მეტ-ნაკლებობით აყვარებს ბავშვებს, ის მომაკვდინებელი მტრადველია რუსულის ენის წინაშე. ამიტომ კატეგორი არა სდევნის იმ სიბრყვიით პოლიაკებს, როგორითაც ეს ვაჟ-ბატონი ეპურობა დედა ენას და ბუნების კარსა. მათი სასსენებელი არ უნდა აუთს ჩემს ჭკეშევრდომ სეოლებშიაო; დალაღებს და მართლაც არ არის. მისი სამუდამი ამ წიგნებისა იქამდის მივიდა, რომ ათს მცნებას დაუმატა თავის ჭკეშევრდომ მასწავლებლებისათვის მეთერთმეტე მცნებაც, რომელიც ასე იკითხება: გძულდეთ «დედა ენა», «ბუნების კარი» და მთლად მათი შემადგენელი და გიყვარდეთ სამაგიეროდ სერგეი მდივანოვი და ანთიმოზ ჯუღელი, როგორც ღირსეულინი ტყუზნიო. თუ ამ შირების ამხანაგობას არ იკმარებს, მაშინ სულ ზემო ეტაჟაში მიუთითებთ, სადაც ბ. მკლავზედ უსათუოდ რაიმე წყალობას მოიღებენ, რადგანაც ბეჭვდით აღიარებენ, რომ ამ წიგნების ვრცე-

ლი პრეზრამა არ ეთანხმება ჩვენს პატარა, ვიწრო პრეზრამას, რომელიც ქართულ ენისთვის მეტიც არის.

მეორე გარემოება უფრო შესაწინარებელია ჩვენის მკილავისათვის. გათქმულმა პატრიოტმა გერმანიისამ ბერნემ სთქვა: უმეტრებაზედ ამაყი არაფერი მოიძებნება მთელს დედამიწის ზურგზედაც. ჩვენი მკილავი ამყობს იმიტომ, რომ უმეტრებაა. შემდგარი იქნებით, თუ ამ გამართლებასაც დაიწუნებთ. თუ კაცნი მოკლებულია გამორკვეულ აზრებს, დაბეჯითებულს შესედულობას, ნაგრძნობ წარმოდგენას საგნებზედ და ამასთან მას ატოვებს სურვილი მარჯაში გაერიოს, სხვა რა ჰქნას, თუ სიტყვების რახა-რუსს არ მიჰყვას ხელი, ბაქიაობა არ გამართოს, ამაყური, ბრყული კილც არ მიიღოს?

მართალია, ბორცოები ენები გვიპასუხებენ: მართლ უმეტრება არ არის აქ დამნაშავეო; ზოგიერთ მკილავს დედ-ენამ ცუდი საქმე უყო, რამდენიმე მათგანვე შედგენილი ანბანი დააღწო სტამბაში და იმიტომ გამოიღაშქრეს ისე ბრყულიად დედ-ენაზედაც; მაგრამ ჩვენ ამ საბუთს არ შევიწინარებთ. რა საჭიროა ზნეობით სისამაგლის ძებნა, რომელსაც გონების ცაღიერობა და ფუქსავატობა სრულიად საკმარისად ხსნის მოკლენას?

ჩვენ ბ. გადაღმიელს პასუხს ვამლეკოთ იმიტომ კი არა ვითომც იმის გაკილვას რაიმე მნიშვნელობას ვაწერდეთ. სრულიადაც არა. კაცმა სწორე უნდა სთქვას: არც ერთს ადგილს, არც ერთს ჭრახვას, არც ერთს სიტყვას არ ეტეობა ცოტადენი მანც დონე ტვინისა, ძალა ცოდნისა. დიდი ხანია ამაზედ სრული, უღონო და უკბილო არა წაგვიკითხავს-რა ქართულს ენაზედ ჩვენის წიგნების მკილველთა ნამოქმედაწმიაც. ვისიმე დაღოცვა რომ გვინდოდეს ამ ჟამად, უთუოდ ვეც-

ყოფილი: ღმერთის ნუ მოგაკლავს იმისთანა უგუნებელი მოწინა-  
აღმდეგე, როგორც გასწავთ გადაღმიელი.

მას რაღა ავიღეთ კალამი ხელში?

გადაღმიელი დანწმუნებულია, რომ მას სწავლების ოსტა-  
ტობა ესმის. ის რომ მოხუცებული ყოფილიყო, დიდის კმა-  
ყოფილებით დავტოვებდით ამისთანა საამუროს ოცნებაში. მაგ-  
რამ ეტყობა მას ჯერ თავსედ პრიალა კალამი არ განჭკობებია  
და მოსალოდნელია არა ერთ-ხელ მიართვას ქართულს საზო-  
გადოებას იმისთანა შედაგოგიური უაზრო და უგემური რამე,  
როგორც არის მისი გაკილვა. ამიტომ განვიძინებთ მისი  
განუწმუნება სასიამოვნო შეცდომილებისაგან. ერთი ესა. მეორე  
ის გასწავთ, რომ გადაღმიელმა გამოსთქვა თავის წერილში  
თითქმის ყველა ის დედა-ენის წინააღმდეგე, რასაც ამბობდენ  
ბეჭდვით, თუ სიტყვით მთელი მისი ამქრის ვაყ-ბატონები.  
მის გაკილვის გაქარწყვება იქნება ამ ვაყ-ბატონების გამტყუ-  
ნებაც. მესამე მიზეზი ის გასწავთ, რომ ჩვენ გვსურს ეს  
შემთხვევა დავასაბამოთ ზ ჩვენი აზრი ზოგიერთა შედაგოგიურს  
საგნებსედ განუწინაოთ მკითხველს საზოგადოებას. საუბარი  
იქნება მოკლედ ვერ მოიჭრას, მაგრამ მკითხველი, გგონებ,  
სინანულს არ მიეტყმა, თუ მოთმინებას იქნებებს და ყურად-  
ღებებს გვათხოვებს ბოლომდის.

გაკილვას თავსედ ადგია სამ-ეტაჟიანი ეპიგრაფები რუ-  
სულს ენაზედ. ერთი ეპიგრაფი ეკუთვნის კომენსკის, მეორე  
მიროპოლისკის და მესამე ზეჩინისა. პირველი ორი კიდევ ჭო-  
ჭო, მაგრამ მესამე რომელი ადგომის კვარცხანა? ზეჩინისთან  
უსაირო ოციცაილონი შედაგოგი ჩვენს ქალაქშიან კი იმ-  
დენია, რომ მადლისათვის ნასწოლი ქვა უთუოდ ერთს მათ-  
განს მოხვდება. მიკვირს, რატომ ამ შედაგოგების სიტყვები

გი არ მოიყვანა მეოთხე ეტაჟის ეპიგრაფად! მაგრამ ამას თავი დავანებოთ. სამასწახლო ვეკლავებდი უფრო ის არის, რომ ეს ეპიგრაფები პლიუშკინის სამოხსამსახურო წაღებს მოგაგონებენ. იმ წაღებს, რომელნიც ვეკლავთ ფეხსედა ჩაიხმოდა, მაგრამ არც ერთს ფეხს გი კარგად არ მოსდიოდა. ეს ეპიგრაფებიც შეგიძლიანთ ბევრ-გვარს შედაგოგოურს სტატის თავსედა დასაკუბოთ, მაგრამ ძნელად რომ რომელსამე მოუსდეს და დაამშვენოს. გადაღმიელის გაკილვას ხომ ისე შეეფერება და ისე უსდება, როგორც დაამშვენებს უმნო უნაგირი უსუსურს ხბოსა.

გადაღმიელი გაკილვას თავიდაც იწეობს, ჭრისშვილისაკით. «დედა-ენაში» წინედ ძლიერ ბევრი ნაკლულებანება იყო. მათ გასწორებას სიტყვიერად გვპირდებოდა ავტორი, მაგრამ დაპირება არ შეასრულა და უწინდელსაკით გამოსცა წიგნიო.— ეს ჭკრია. ამ გვარს აღთქმას ვერც გადაღმიელს და ვერც სხვას ვერ მივსცემდით, რადგანაც ჩვენ «დედა-ენაში» ვხვდებით ზოგიერთა ნაკლულებანებას და არა ბევრსა.

წიგნი თითქმის მთლად შეუცვლელია, სრულიად გაუუმჯობესებელია; «მხოლოდ აქა-იქა ათიოდ რაღაც უხეირო სტატია ჩაუყვრება, რომლითაც არც სიკეთე ემატება წიგნს, არც აკლდება.» თუ ათიოდე ჩამატებული სტატია უხეიროა, მაშინ წიგნს უთუოდ ღირსება უნდა დააკლდეს, თუ წიგნს ღირსება არ დაჭკვება, მაშ ეს სტატიები უხეირონი არა იყოფილან.» ასე იფიქრებს ლოდიკის პატრონი; მაგრამ გადაღმიელი ლოდიკას როდი დაგიდევს, როგორც გი წიგნსედა ცუდი რამე სთქვას. ლოდიკა კიდევ თქვენი ჭირის სანაცვლო იყო; ამასედა უარესი ის გასლავთ გადაღმიელისათვის, რომ ცოცხლის ტუფილის მოჭორება სცოდნია, მესამე გამოცემა მეორისაგან ბევრით გაიჩვენა. ჯერ ერთი ესა, რომ წიგნიდ-

გან ზოგიერთა მდარე არაკები, მოთხრობები, ლექსები, ანდა-  
სები და გამოცანები გამოკვლეთ და მათ მაგიერ ჩაკურთეთ-  
ოცხედ მეტი ახალი პატარ-პატარა მოთხრობა და ლექსი.  
მათი უპირველესი ღირსება ის არის, რომ პირველიდგან უკ-  
ნასკნელამდე ხალხურნი არიან, ლექსნი—მთლად და მოთხრო-  
ბანი თუ მთლად არა, სიუჟეტით მაინცა. მათში ურვეიან იმის-  
თანა ნაწარმოებნი ხალხის გონებისა, რომელნიც მარგალიტი-  
ვით ბრწინავენ ჩვენს ხალხურს პოეზიაში. მოგუყავს მაგა-  
ლითად რაი პატარა ლექსი, მესამე გამოცემასში ჩართული:

წუთის სოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ ჭ სხვა დარჩება,  
თუ ერთმანეთს არ ვახარებთ, იმის მეტი რა შეგვჩება.—

რა კარვია კარგი კაცი, კარვს საქმესედ აკებული,—

ქვეყანა ჭყავს მადლიერი, სწორის გული მოკებული.

აზრის სიძაღლით და ენის ჭარბობით ამით არ ჩამოუგა  
ძირს აკავის ლექსი ნატურა, რომელიც პირველად მოექცა  
დღედა-ენაში. ამით და ამისთანაებს გადაღმიეული რაღაც უსეი-  
რო რამეებს ეძახის; მაგრამ რას ამტკიცებს ამითი? თავის  
მტენარს უგემურობას. ვის მოგაგონებს? სულიერს, რომელიც  
აშუღსინებს იწუნებს და დამძალი პანტა კი უგემირიელს რადმე  
მიანხია.

მოთხრობებში ყველას არ არის ხსენებულ ლექსების ღირ-  
სებისა, მაგრამ უსეირო კი მათ შორის არც ერთი არ ურე-  
ვია: ყველასში აზრიცა სჩანს და მარლიც არ აკლია. თუნდაც  
რომ ერთი-ორი მდარე გამოჩეოდეს, განა ამის გამო ოცამ-  
დის მოთხრობა უნდა გაეკაცნას? ნუ თუ გადაღმიელმა არ იცის,  
რომ საბავშვო მოთხრობების შედგენა, წერა, და შოვნა ყველ-  
გან ძლიერ ძნელია, და ეს სიძნელე ჩვენში ერთი ათად არის  
ქცეული იმ გარემოების გამო, რომ ჩვენის ხალხის გონების

ნაწარმოებნი ჯერედ არც გამოცემულნი არიან და არც შეკრებილნი.

ახალის მოთხოვნების და ლექსების გარდა მესამე გამოცემაში ჩამატებულია ახალი ანდასებები და გამოცანები; სასაუბრონი არიან ზოგან გაგრძელებულნი ახალის კითხვების ჩამატებით, ზოგან შემოკლებულნი ზოგიერთ აწინდელის კითხვების ამოშლით. რუდაქცია ბევრის სტატიისა შეცვლილია, ეს შესწორებულია; სურათების რიცხვიც შეესებოდა შვიდის ახალის სურათით. ყველა ეს ცვლილება მოხდენილია წიგნში გამოცემის ძალით, პრაქტიკის ჩვენებით, დაგვირგვინების მეხსობით. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ამ გამოცემას ჩვენ მოვეყვართ განსაკუთრებულ ყურადღებით და მეტადინებობით, რადგანაც ერთად ვბეჭდავდით თვრამეტს ათასს ეგზემპლიარს...

იცოდა ყველა ეს ჩვენმა შეკვეთმა, თუ არა? შეადარა მეორე გამოცემა მესამესთან და მინც რაც სურდა ის სთქვა, თუ არც ერთი გამოცემა მას სეირიანად არ გაუსინჯავს? ორივე შემთხვევაში ის პატიოსნურად არ მოიქცა. პატიოსანი კაცი თავის დღეში წერას ვი არა, დახარავსაც არ დაიწყო იმ საგანსად, რომელიც არ გაუცვნიან, არ განუხილავს. თუ განუხილავს და განძრავს აბრავებს მოგონილს, მოჭოროილს ნაკლულეკანებს, მათინ იგი უფრო ცუდს რასმე სხადის, უფრო ცუდს სახელს ირქმევს.

პირველი წუნი, რომელსაც გადაღმიელი სდებს ანბანს, არის შრიტის, ასოების სიპატარავე. ეს ნამდვილი ნაკლულეკანებაა და ერთადერთი მართალი აზრი მთელს სტატიაში, საუბედუროდ ისიც სხვისაგან გაგონილი. ანბანი, მართალია, უფრო მომსხრავებით უნდა იყოს დაბეჭდილი, მაგრამ განა გადაღმიელმა არ იცის, რომ ეს ნაკლულეკანება ჩვენი ბრ-

ლი კი არ არის, შრიტების სიღარბეზება დამოკიდებული? განა მას გაგებული არა აქვს, რომ ხეივანი მსხვილი შრიტი სრულიად არ მოიპოვება ჩვენებურს სტამბეში? მელიქიშვილის შრიტს აქვს მსხვილი ასომთავრული, მაგრამ ისეა ქართულ შრიტის თვისებას მოკლებული და ისე ძლიერ განიხვევა ჩვეულებრივის შრიტისაგან, რომ მითი დაბეჭდვა მთელის ანბანისა ყოვლად შეუძლებელია. აკადემიის ასოებში იპოვება მომსხო მეთექვსმეტე ნომრის შრიტი, მაგრამ ესეც მეტად უშნო და ტლანქია, და გარდა ამისა არ უდგება სრულიად მელიქიშვილის ჩვეულებრივს შრიტსა, რომლითაც იბეჭდებიან თავ-და-პირველიდანვე ჩვენი სასკოლომწიგნულონი და რომელიც უფრო კარგს, ძრგვალ და გარკვეულ შრიტად მიგვაჩნია. ეს შრიტი რომ ერთი-ორად გადადეს, სწორედ ასლი იქნებოდა ანბანისათვის. ამასევე მე მქონდა რადენჯერმე მოლაპარაკება მელიქიშვილთანაც და ხელაქმნა, მაგრამ, თუცა ორნივე მოწადინებულნი არიან ამ გვარი მსხვილი შრიტი შეუკეთონ სამხლვარ-გარედ და მოიპოვონ თავიანთ სტამბეებისათვის, მაინც ჯერ-ჯერობით თავიანთ წადილს ვერ ეწივნენ.

რასაკვირველია, როცა გადაღმიელი შრიტის სიწვრილის გამო ჩვენს მოზარდს ემაწვილობას უქადის სიბრძავეს, ის სასაცილოდ აზვიადებს მტირე ნაკლულეკანებას და ერთი წიწვნა ბურსს სპილოდ უჩვენებს მკითხველებს. თექვსმეტი წელიწადია, რაც ამ მოძრო შრიტით სწავლობენ კითხვას ქართული ბავშვები და გადაღმიელის შიში რომ საფუძვლიანი ყოფილიყო, აქამდის ჩვენი მოზარდობა, სკოლებში გავლილია, მილად უნდა დაბრძალებულიყო. მაგრამ, ღვთის ძაღლით, თავლ-სინათლიანნი ჩვენ არ დაგვკლებიან და სიბრძავეს ჩვენში არ უმატნია. საქმე ეს არის, რომ მოძრო შრიტი ბავშვს თავლში

სინათლეს კი არ უღევს, ცოტათი მეტს ჩაკვირებებს ითხოვს, და ეს ბავშვისათვის ისე ძნელი არ არის, რადგანაც მას საზოგადოდ თავლი ძალიან უჭრის...

საბაკვიჩი, როგორც მოგვსენებათ, ახირებული კაცი იყო. ქებით მოხსენება არავისი შექმლა, ყველას ჭკიცსავდა, ყველაფერზედ ბურღუნებდა. თუ ვისმეზედ იძულებული იქნებოდა ეთქვა: ის კი კარგი კაციანა, უთუოდ შედეგ დაწყობლებდა: მაგრამ, სწორე გითხრათ, ისიც კარგი ღირსია. ჩვენ გადადმიელსაც ასეთი ზნე სჭირებია: მთელ წიგნში მას მოხსონების მართლ ანბანის მეთოდა, რომელსაც ერთს უკეთესთაგანს ეძახის; მაგრამ მაშინვე დანახების ეს ქება და დაუმტებია: სწორე მოგასხენოთ, ამ მხრითაც გერაფერი შვილია წიგნი, რადგანაც გოგებაშვილს მეთოდა ცუდად, უხეიროდ შეუმუშავებიაო. ვნახოთ, რაკდენად მართლია ჩვენი ზნეა საბაკვიჩი.

ჩვენი ანბანი არის შედგენილი მართლეს სინკრეტიულს მეთოდაზედ და ეს მეთოდა ითვლება უახლეს, უკეთესს მეთოდად. სინკრეტიულის მეორედით სწავლა იწყება საგნის გაცნობიდან. საგანს ან მის სურათს ბავშვი ჭხედავს თავლით, აკვირდება მას, არკვივს მის ნაწილებს და თვისებათა, და ხატავს მას ფიგურზედ. მასწავლებელი გარდაცემს ბავშვს ამ საგნის შესახებ რაიმე მოთხრობასა, თუ შესაძლებელია, ანდაზას, გამოცანას და ლექსსა, რომელსაც ამღერებს მართლეს ჭანგზედ. შემდეგ ამ საგნის სახელს ასწავლის ჯერ ხმების, მერე ასოების მხრივ და ფიგურზედ დაწერინებს სიტყვას და ასოებს. ბოლოს ბავშვები კითხულობენ სიტყვებსა და ფრაზებსა, გაცნობილის ასოებიდან შემდგარს. ამ სახით სინკრეტიული მეთოდა კითხვასა ჭნდის ტენტრად ბერ-გვარის ვარ-



ჯიშობისა: წერასა, დაკვირვებითს სწავლისა (наглядное обучение), თვლისა, სატყისა, სიმღერა-გალობისა და ამათი თავდა-პირველადვე სდებს ბავშვის გონებაში საძირკველს მრავალმხროვან, ჭრმობიულ გავითარებისას. ამ მეთოდის მარჯვედ შემუშავება რუსეთში ჯერედ აწავის მოუსდენია: და ეს არის მიზეზი იმისი, რომ სანუდაგოგო მოედანი ჯერედ დასაკუთრებული აქვთ ანბანთა, რომელნიც ესრედ წოდებულს წერა-კითხვის მეთოდზედ არიან შემდგარნი, მაგალითად უშინსკის პირველი წიგნი. გერმანიაში კი სინკრეტიულმა მეთოდამ მთლად დაისაკუთრა ასწარეზი, სხვა მეთოდები სრულიად გააუქმა და შეუტოვებლივ შეეობს. რადესაც ხუთის წლის წინად ჩვენ ვადგენდით «დედა-ენას», არც ერთი ნემეტური სასკლმძვანელო თავლითაც არ გვეხსნა, ჩვენ მივსდევდით საკუთარს მონაწირებს, საკუთარს გზასა. რადესაც ამ ერთის წლის წინად ერთმა ჩვენმა ასალ-განდამ გერმანიადგან მოიტანა ნემეტურს ენაზედ რადენიმე საუკეთესო სასკლმძვანელო წიგნი და ჩვენ ისინი გადავსინჯეთ, განტვიფრებულნი დავრჩით: ჩვენს წიგნსა და ამ სასკლმძვანელოებს შორის ვპოვეთ სრული მგზავსება.

ამ წიგნებშიაც, რაგორც «დედა-ენაში», ჯერ სურათთა დახატული და მას გვერდით მიბეჭდილი აქვს სახელი საგნისა, მერე ეს სახელი გაყოფილია მარცვლებად და მარცვლები თავის რიგზედ დაყოფილნი არიან ასოებად. ყოველ ნორმალურს სიტყვაში მარტო ერთი ასოა უცნობი. შემდეგ ამ ასოებიდან შემდგარნი არიან მარცვლები, სიტყვები და ფრაზები. ამ სახით ანალიზი და სინტეზი ერთმანერთს მისდევს, ერთმანერთს ესმარება, სწავლას სიმკვიდრეს აძლევს და მეტად უადვილებს მას ბავშვსა.

განსხვავებაც, რასაკვირველია, აღმოჩნდა; მაგრამ ბევრს

შემთხვევაში ეს განსხვავება ჩვენ გვამართლებს, ჩვენს სსსსრებულად ლანჩაგობს. მაგალითებრ: ნემეტურს წიგნებში ნორმალურის სიტყვის ანალიზს თავ-და-პირველადვე ვერ მისდევს სინტეზი, ესე იგი გაცნობილის ასობიდან ახალი სიტყვები არ არის შემდგარი; სინტეზს ვსედავთ მხოლოდ მესუთე, მეექვსე გაკვეთილიდან. ჩვენს წიგნში კი პირველივე ნორმალურ სიტყვის ანალიზის შემდეგ ბავშვი შესწავლილ ორის ასოსაგან ადგენს და კითხულობს ახალს სიტყვებსა. ფრანგებს ნემეტურს სასელმძღვანელოებში კიდევ უფრო გვიანა ვსედავთ. დედა-ენაში კი პირველსავე გაკვეთილში, პირველსავე დღეს ბავშვი კითხულობს ფრანგს. ნემეტურს სასელმძღვანელოებში პირველს გაკვეთილებში უაზრო მარცვლები ვერ აუცილებიათ; ჩვენს წიგნში არც ამ ნაკლულებსა აქვს ადგილი. მარცვლების მაგიერ ჩვენ მოვუბნეთ და ჩაურთეთ ორ-ასობანი სიტყვები, რომელნიც მარცვლებით ადვილნი არიან საკითხვად და ამასთან მათს უაზრობას მოკლებულნი, რადგანაც თვითუღი მათგანი რაიმე ნივთს, საგანს ნიშნავს და წარმოუდგენს გონებაში ბავშვსა.

დაწმუნებულნი ვართ, რომ ნათქვამს ზოგნი კვეხნად ჩამოგვართმევენ. ისიც კარგად ვიცით, რომ თავის ქება კიტრად აღისა; მაგრამ რას იზამ? როდესაც შენს ნამოქმედარზედ ჭყვირიან შავიაო, მაშ რით უნდა გამტყუნო, თუ არა დამტყვიცებთა, რომ იგი თეთრია!...

საზოგადო დაწმუნების შემდეგ მეთოდის შემუშავებისა, გადაღობილი ვერძო ნაკლულებსაგან შეესება და პირველად სურათების დაწყობილებას ჭკიცსავს. პირველივე სურათი მის არ მოსწონს: იას ბავშვები თვითონ ვერ იცნობენ, თუ მასწავლებელი არ დაეხმარა. ეს მართალია: ბავშვები მხოლოდ გა-

მოიხსენებენ, რომ ყვაკილია დასატული, მაგრამ რა ყვაკილია სახელადობ, — ეს მასწავლებელმა უნდა უთხრას. ჩვენ ეს კარგად ვიცოდით, რომდესაც ანბანს ვადგენდით; მაგრამ დიდის სიხარულით მივეცით პირველი ადგილი სიტყვას «ია» თავის სურათით. რადა? იმიტომ რომ ანბანის სწავლის დაწყებისათვის მუტად მოხერხებული სიტყვაა და ბევრი ღირსება აქვს. პირველი ღირსება ის გახლავთ, რომ ეს სიტყვა შესდგება ორის ხმოვანის ასოხაგან, რომელნიც გამოსათქმელად ადვილნი არიან, დასაწყრად არა მხელნი და შემდეგის გაკვეთილებისათვისაც ფრიად საჭირონი, რადგანაც ამ ასოების შემწეობით ადვილად სდგება სიტყვები და ძრახები და უამთოდ კი მათი შედგენა შეუძლებელი იქნებოდა. მეორე ღირსება ის არის, რომ მარტო ამ ორის ასოხაგან სდგება ორი სიტყვა და მათგან ფრახა. ამის გამო ბავშვი პირველისაკე გაკვეთილიდან სწავლობს არა მარტო ორ ხმასა და ასოხა, არამედ მაშინვე ჭკითხულობს სიტყვებს და ფრახას, ამ ასოებიდან შემდგართ. ამის გამო ჩვენს ენაში ეს სიტყვა უძვირფასესი რამ არის ანბანის დაწყებისათვის. ბევრი ენა მოკლებულია ამ გვარს მოხერხებულს სიტყვას, შედაგოგების სამწუნაროდ. რუსულს ენაში, მაგალითად, არ მოიძებნება ამისთანა სიტყვა და ამის გამო უშინსკი იძულებული შეიქნა თავისი ანბანი დაეწყო არა სიტყვებით, რასაც მისი მეთოდად მოითხოვდა, არამედ ხმოვანის ასოებით, და მათგან შეედგინა საწყრად და საკითხავად უახრო და უმნიშვნელ მარცვლები, რომელთაც ისიც საზოგადოდ მავნებლად სთვლის ბავშვებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ განათლებულმა სომხებმა ამ ნაირი სიტყვა ეძებეს ძველს და ახალს ენაში, მაგრამ ვერ იპოვნეს, თვისდა სახანურად. ერთის სიტყვით რომელს ენაშიაც კი მოიძებნება ისთანა მარჯვე სიტყვა, ყველ-

გან ორის ხელით, მოეჭიდებიან მას და ანბანის დასაბამად გახდებიან.

ამითი არა თავდება ჩვენი პირველი ნორმალური სიტყვის დიქციონარი. ის ნიშნავს ბავშვებისათვის სასიამოვნო, სასიყვარულო საგანს—ყვავილას და ამითი პირველ ფეხის შედგმასთანავე სწავლაში შეაქვს ცოცხალი ინტერესი. ამასთან ამ საგნის შესახებ არსებობს საბავშვო ლექსი მშვენიერის საბავშვო მანქანის ქანთით. «იამა გუობა შობითა, ვარდმა გაგზარდა ქეზითა, ნარგიზმან მუშუ გაწოვა, მას ჭტეკვარ სურნელობითა.»

მაშასადამე პირველივე გაკვეთილი, პირველივე ნორმალური სიტყვა მასწავლებელს აძლევს ღონისძიებას წერა-კითხვასთან შესარტყლად სიმღერა, რაიცა შეადგენს სკოლის სულსა და რომელიც სწავლების მიუტილებელს ელემენტად ითვლება სახლს შედაგოვანში.

ესლა თვითონ მკითხველმა განსაჯოს: რა ხარისხის უმცროება გამოიჩინა გადაღმიელმა, როცა პირველი ნორმალური სიტყვა და პირველი სურათი ისე მამატურად დაიწუნა?

ამისთანავე საფუძვლიანია მეორე ნორმალური სიტყვის (ხე) და სურათის დაწუნება. ეს სიტყვა შესდგება იმისთანა ასოებისგან, რომელიც ადვილი არიან, როგორც გამოსათქმელად, ისე დასაწერად და მათგან, ორი წინა ასოების შემწეობით, სდგება საკითხავი სიტყვები და ფრაზები. ამასთან სურათიც სასიამოვნოა ბავშვებისათვის, რადგანაც თვალ-წინ წარმოუდგენს იმისთანა საგანს, რომლის ჩრდილ-ქვეშ სიტხის დროს ბევრჯერ გაგრძელებულან, რომელსედაც ჩიტის ბუდე დაუშლიათ, ჯოხიც მოუჭრიათ, კენწეროსედაც მოჭქქვიან და სხვა. მაგრამ გადაღმიელი უარ-ჭყოფს ამ სიტყვასა. რადა? ძეწინა დასატული და ქვეშ კი საზოგადო სახელი ხე აქვს მო-

წერილი. ეტუობა მას სრულიად არა სტრადნი, რომ ბავშვის რა ხის სურათი უნდა უჩვენო, კერძო სახელს კი არ გეტყვით, რადგანაც ხის ცნობა მას მეტადრე სურათით ფოკალთვის ძლიერ უმნელდება, არამედ საზოგადო სახელს ხეს დასაქმებს. მუხის სურათს აჩვენებ, გეტყვის ხეა, ძეწნას აჩვენებ, ხეა, თელას აჩვენებ, ესეც ხეა და სხვა. ორს საუკეთესო ნემეტურს თავ-და-პირველს წიგნში, კლაუგელისაში და შინდლერისაში, მუხას გამოხატული, მაგრამ გვერდით კი კერძო სახელის მაგიერ საზოგადო სახელი ხე უწერია. შინდლერის წიგნშივე მუწწას გამოხატული, მაგრამ გვერდით უწერია თევზი და არა მუწწა.

ამისთანავე უმეტრებს გამოიჩინა გადაღმიელმა მესამე და მეოთხე სიტყვის და სურათების დაწინებთ. სიტყვები «სახე», «მანე» ჩვენ ისე ზევით იმიტომ მოვაქციეთ, რომ ფოკალის მხრივ უფრო ადვილ ხმებიდგან და ასოებიდგან შესდგება. გადაღმიელს რომ მათი სიძნელე დაემტკიცებინა, მაშინ მის დაწინებას საფუძველი ექნებოდა; მაგრამ იმას ეს სრულიად არ შეეძლო და იმიტომ სურათებს გადასწავდა: სახე თავით არის დასატული და ქვეშ კი სახე უწერია. მაგრამ განა მას სახე უთავოდ სადმე უნახავს და ან შეიძლება მისი ცალკე გამოხატვა? უმინსკის ბავშვის სახე თავით აქვს გამოხატული, ქვეშ უწერია ЛИЦЕ, მაგრამ არც ერთს კრიტიკოსს კი არ უთქვამს მისთვის ის, რაც წამოისროლა გადაღმიელმა. მეოთხე სურათსაც იწინებს იმის გამო, რომ სოფლებში არ იციან მასე და ბავშვებს არ ენახებათ. არც ეს არის ძირითადი. ქართლში ჩვენ არა ერთს სოფელში ვუფიქვართ და უკვლავან გვინახავს თავის საჭერი მასე, მავთულისგან გაკეთებული; მასწავლებელს, მღვდელს, აზნაურს, თავადიშვილს და შემდეგ

გლეხებს სძირდა აქვთ ეს მასე თავგების გასაწყობად. თუნდაც რომ არ ენახოს ზოგიერთთა ბავშვსა, გაგონით მანინც იცის ეს საგანი და სურათის შემწეობით შეადგენს ნამდვილს წარმოდგენას. შეიძლება ვერ იცნას საგანი, მაგრამ მასწავლებელი სკოლას იმიტომაც ჰყავს, რომ ბავშვს უთხრას ის, რაც მას თვითონ ვერ უცნია, რაც თვითონ ვერ გაუგია. ამ სურათის ერთი ღირსებაცა აქვს. ბავშვები სძირდა აკეთებენ აგურების, ალიზების მასეს და ჩიტებს იჭერენ. მავთულის სათაგვო მასე ძალიან ჰგავს ამ მასეს; მაგრამ განსხვავებაც არის მათ შორის. შედარება ორივე მასესი, მათი მგზავსების და განსხვავების გამორკვევა ბავშვისათვის სასიამოვნოც არის და სასარგებლოცა. გადაღმიელი კი გაიძნის: მასე ისე გაუგებარია ჩვენის ბავშვებისათვის, როგორც უშატი, ლეიკა, რუხკა და სხვა რუსული სიტყვებია. რა ძალიან ცუდი ყოფილა გადაშტებული სურვილი გაკილვისა, წუერვილი ცუდის თქმისა! კაცს ისეთს აშკარა სასატილო სისუფლებს წამოაწოშინებს, რომელიც ბავშვსაც კი ხარხარს დააწყებინებს.

ასევე უღიმოქლად სტუჟდება გადაღმიელი, როდესაც იწუნებს სურათებს: ნავისას, კაჭკაჭისას, არწივისას და იფინჯისას. ამ სურათებს მოითხროდა ის რიგი ასოების შესწავლისა, რომელიც ჩვენ მივიღეთ და რომელიც, ჩვენის აზრით, ასრულებს, შედაგოგიურს ეანონს: დვილიდგან გადადი მნელ-ზედ, მარტივიდგან — რთულზედა. საგნებიც არ არიან ბავშვებისათვის არც უცნობი და არც უინტერესობი. ვეელს ეს საგნები ქართველს ბავშვს ან თვალთ აქვს ნახისი, ან ბევრჯერ გაგონილი. სრულიად თუ არა, ნახევრობით მანინც იცნობს ამ საგნებსა და მათი წარმოდგენაცა აქვს, თუმცა იქნება გამოურკვეველი. სურათების შემწეობით ბავშვი ნახევარს ცოდნას

სრულს ცოდნად გადააქცევს, გაურკვეველს წარმოდგენას გარკვეულად, არა-სრულს სასეს საგნისას—სრულ სასუდ. არც ერთი მცოდნე კაცი არ იტყვის, რომ ამ გვარი საგნები ნაკლებად არის საინტერესო ბავშვებისათვის. როგორც დიდებისათვის, ისე მეტადრე პატარებისათვის უინტერესონი არიან მხლელად რე-გვარნი საგანნი: რომელთაც უოკელ-დღე ჰქნედკენ და კარგად იციან და რომელნიც სრულიად არ შეჰსებიათ მათს გონებას, მათს გრძნობას. წინააღმდეგ ამისა, ძლიერს ინტერესს აღვიძებს დიდშიაც და პატარაშიაც საგანი რომელიც ნახევრობით ცნობილია და ნახევრობით კი არა. ეს ელემენტარული განონია მსიხლგოვისა და მისი უცოდინარობა არავის არ მიეტყვება, მეტადრე მას, რომელიც კისრულაბს საბავშვო წიგნების გაკილვასა.

ვსტკვათ, თქვენ რჩი სურათი გაქვთ, ერთი ქათმისა, მეორე შავარდნისა. პირველ ფრინველს ბავშვები კარგად იცნობენ, რადგანაც უოკელ-დღე სედვენ, მეორეს ნახევრობით, რადგანაც თუმცა ბევრჯერ გაუგონიათ მისი სასული, მაგრამ ან სულ არ უნახავთ, ან თვალი მხლელად შორიდგან მოჰქრავთ. ჰკითხეთ ბავშვებს: რის სურათი უფრო გინდათ განკენოთ, ქათმისა, თუ შავარდნისაო, და უთუოდ ერთ-სმივ გთხოვენ შავარდენი გვიჩვენო.

რად არის ასე? იმიტომ რომ ბავშვს დიდი სურვილი აქვს საგნების სძურის გაგანიერებისა, გაფართოებისა. იგი ვიწროობას გრძნობს თავის სფერაში და სურს, გაიწროს ის საგნები, რომელნიც მის გონების ჰორიზონტის განაპირას არიან და მიიღოს მათგან ახალი ჩაბეჭდილება. ეს მოთხოვნილება ბავშვის ბუნებისა პირველ-დაწყებით სწავლამ უთუოდ უნდა შეასრულოს, თორემ გამაცნოველებელი ინტერესი ნაკლებად ექნება.

რისაკვირებელია, პირველ-დაწყებითი სწავლა უფრო იმსკედუნდა იუოს დამყარებული, რომ ბავშვის გრძნობა და გონება ჩაკვირვოს იმ სფეროს, რომელიც ბავშვის ხელ-ქვეით არის, იმ საგნებს, რომელთაც იგი უოკელ დღე ჰხვდავს და დახვიოს ასალის მსარეების შენიშვნას და გამორკვევას გაცნობილ საგნებში; მაგრამ მასლობელ საგნების უფრო დრმად გაცნობასთან, სფეროს გაცანიერებასაც უნდა ჰქონდეს ადგილი, თუმცა პირველში უფრო მცირედ.

აი სხვათა შორის, რისთვის უცხოეთურს საუკეთესო ანხანებში შინაურ ნივთთა და ცხოველთა სურათებ შორის შიგა-და-შიგ ურეკია იმისთანა საგანთა სურათებიც, რომელნიც უმაწვილს ბევრჯერ გაუგონია, მაგრამ ნახვით კი არ უნახავს. ვლადუგელის ანხანში, რომელიც მთელ ჩრდილოეთის გერმანიასი გავრცელებულია და რომელმაც პრემია მიიღო შარაიის და ვენის გამოფენებზედ, თავში, მეორე გაკვეთილში, გამოასახულია ბუ, გარეული ფრინველი, მესამე ადგილას დასატულია ვირი, რომელიც ჩრდილოეთ-გერმანიასი სრულიად არ მოიძებნება, მესამე გვერდზედ ვხვდავთ ძლარბსა, გარეულ ცხოველს, მეოთხე გვერდზედ ლომსა, ევანტორის ნადირს და დათვსა, ტყის ნადირს, მეშვიდე გვერდზედ სომალდსა და სხვ.. ზოლოერედერის ანხანში პირველს ადგილზედვე გამოასახულია ძლარბი, გარეული ცხოველი; შემდეგ ფურცლებზედ ვხვდავთ: მაიმუნსა, ბუსა, ირმებსა, ჰაერში სამოგზაურო ბუმტსა, სომალდსა, ლომსა და დათვსა. შინდლოერის ანხანში პირველს ადგილს დასატულია თევზი, წყლის ნადირი, შემდეგ დასატულნი არიან შიგა-და-შიგ: ძლარბი, ბუ, ლომი, ტყის ჩიტო, სხვა-და-სხვა გარეული ვევაილები და სომალდი. თუ მკითხველს გადაუფურცლავს რუსული საუკეთესო პირველ-საკითხავი წიგნები, ეს-



სომეხა, რომ ანხანში აქაც ურევია ზოგიერთა შორეული საგნების სურათები.

უღმობელს გადაღმიელს კი რომ ჭკითხოთ, ჩვენ მომაკვდინებელი ცოდო ვქენით, როდესაც «დედა-ენის» ანხანში, ისიც შუა წელში და ბოლოში, ჩაუერთეთ სურათები: ნავისა, კაჭკაჭისა, აწივისა და ფინჯნისა, იმ გვარ საგნებისა, რომელნიც შორეულადაც არ ჩათვლებიან. აი რა სეპრული შეცდომილება მოსდევს მას, როდესაც კაცს ამოუკითხნია ჰედაგოგიურის წიგნიდან ფრაზები: *ОТЪ ИЗВѢСТНАГО КЪ НЕИЗВѢСТНОМУ* (ცნობილიდან უცნობზედ) *ОТЪ БЛИЗКАГО КЪ ОТДАЛЕННОМУ* (ახლოურიდან შორეულზედ), მაგრამ მათი ნამდვილი აზრი და მოთხოვნილება ისე სწორედ გაუგია, როგორც სწორედ ესმით სკოპტებს ერთი ადგილი სახარებისა, რომლის ძალითაც სამაგლად იმხინჯებენ თავიანთ თავსა.

მეორე «დიდი» ნაკლულეგანებაც სურათებისა გამოუძენია გადაღმიელს. «რა არის ეს ნაკლულეგანება? ძამაცად ჭკითხავს თავის-თავსა და უფრო კიდევ ძამაცად უკებს: სურათების უსიმეტრიობა.» აი, მაგალითად, განაგრძობს იგი, ობობა ორი კამბეჩის ტოლსა, ბაყაფი ცხენზედ უდიდესია და სსვანი.» გაზვიადება აქაც არ დაიშურა; მაგრამ ეს იქით იყოს. გადაღმიელს რომ ცოტაოდნად მანც გაცნობილი ჭკონოდ საუკეთესო რუსული და ნემცურნი ანხანები, ეცოდინებოდან, რომ ეს უსიმეტრიობა ყოველგანა სუფიევს და მის აცილება არც შესაძლებელია და არც სასარგებლო. ავიღოთ, მაგალითად, კლაუეკლის სასკლმძვანელო: ბუსა, ვირსა და ლომის ერთი სიდიდე აქვთ, მუსა ჰატარას ლომზედ, ვაშლი (ნაყოფი) ორი კაცის ოდენსა, სომადლი თავის იალქნებით იქვე დახატულ კაცის სიმაღლეს, ობობას ქსელი ორი ლომის ოდენსა და სსვა-

ნი. უშინსკის წიგნში კიდევ უფრო მომეტებული უსიძეტრიობა არსებობს. ბუჩსა და ძეწნას, მეორე გვერდზე დასატულთა, ერთი სიდიდე აქვთ, სკა ორი საყდრის ოდენა არის, ბატუბი ძრახების ოდენანი არიან, სტერი ორჯერ უდიდესია სობზედ, კურდღელი ბევრით დიდია დადებულ შოკოსკაზედ, რომელიც აგრეთვე ბევრით უდიდესია სსლზედ.

თუ საბავშვო წიგნებს გარდა სამეცნიერო წიგნებსაც გავსინჯავთ, იქაც იმავე «უსიძეტრიობას» შევხვდებით. ბრემის თხზულებებში, მაგალითად, ყოველი პატარა ცხოველი ღ ფრინველი დიდად არის დასატული და დიდები კი პატარად გამოსახულიან...

ეს ასეც უნდა იყოს. სრულის სიძეტრიოთ დასატვას ნივთებისა და ცხოველებისა ყოვლად შეუძლებელია. მაგალითად: ბუჩი რომ თქვენ უზალთუნის ოდენა დასატოთ, კამბეჩის სურათს, თუ სიძეტრიოს გამოუდევით, იმოდენა სიდიდე უნდა მისცეთ, რომ ოც ფურცელზედაც არ დაეტივას; ობობა რომ პაპის ოდენა გამოსახოთ, ღომი უნდა ათ ფურცლის ოდენა სიგრძეზედ გააპარაშოთ.

მეორე მიზეზიც განსაკუთრებით უსიძეტრიობისა. სურათების მთავარი დანიშნულება ის არის, რომ სახე და ყოველი ნაწილი ნივთისა ან სუფდგმულისა ცხადად გამოხატოს, გარკვევით დაანახოს მტყერელსა. ეს დანიშნულება შეუსრულებელი დაჩნება, თუ იმისთანა პატარა ცხოველებს, როგორც ობობა, ბუჩი, კალია, ბაყაყი, დიდად არ გამოვსახავთ. ყოველ ამ გვარ ცხოველის სურათი, პატარად დასატული, ერთს შავს წერტილს ემგზავსება და არც ერთი მათი სახსარი შესამჩნევად არ გამოინატება. ჩვენს წიგნში ობობა, მაგალითად, რომ დიდად არ იყოს დასატული, თვალები სრულად არ გა-

მოუხნდებოდა, ასეა კი ვეკლას ბავშვს შეუძლიან გააჩიოს მისი თვალები და დასთვალოს. დიდ ცხოველებს კი: ლომს, კამბეჩს, ძროხას, დათვს, შატრახებადაც რომ დასატოთ, ყოველი ასეა და ნაწილი გარკვევით გამოუხნდებათ. ამიტომ ამ დიდ ცხოველებს წიგნებში შატრახებად ჰსატყვენ, მით უმეტეს, რომ მათი დიდად გამოასხვას წიგნს ერთი სამად და ოთხად გადაიდებდა და გააძვირებდა.

ვეკლას ეს შირველის კლასის მოწაიგებაც კი კარგად იცის; მაგრამ ეტყობა რომ ჩვენში იმისთანა კრიტიკოსებიც მოიპოვება, რომელნიც თუძვას სხვის სწავლებას ჩემულაბენ, მაგრამ ბავშვებსედ ნაკლები გაგება და მისვედრება აქვთ.

„წერს და ხაზვას, განუშორებულნი და-ძმანი კითხვისა სრულიად განდევნილნი არიან ღველა-ენიღვანაო“, ბძანებს გადადმიელი. ეს რომ მართალსა ჰგავდეს თქვენი უმოჩნილესი მოსამსახურე სწორედ წაწმენდილი გახლდებოდათ! სუმრობას, დვიდლის ძმისა და დის განშორება, მოსპობა ყოველივე კავშირისა მათ შორის, ურთი-ერთობის მოფუშვას! მაგრამ ეს ჩვენი მძიმე შეცოდებაც ისეთივე მოსიზმრებაა გადადმიელისა, როგორც სხვები. სადაც კი დედა-ენით სულმძვანელაბენ, ვეკლას კითხვასა და წერას ერთად ასწავლიან. საიდგან მოსიზმრებისა ამის წინააღმდეგი გადადმიელსა? უთუოდ იქადგან, რომ ბეჭდურს ანბანში სელთ-ნაწერი ანბანიც არ არის ჩართული. მაგრამ განა ეს ჩვენთვის, ქართველებისათვის, საჭიროა? სრულიადაც არა. თუ რუსულს და ნემეცურს ანბანებში სელთ-ნაწერიც არის მოქცეული, ეს იმიტომ რომ ბეჭდურის სელით წერს არ შეიძლება, რადგანაც ნაწერი და ბეჭდური ასოები ისე ძლიერ განიზიარებენ ერთმანერთისაგან, რომ თითქმის სხვა-დასხვა ანბანს შეადგენენ.

ეს გარემოება დიდად აბრკოლებს პირველ-დაწყებითს სწავლას, რადგანაც ბავშვმა ერთის ხმის წასაკითხავად და გამოსასატყვად ორი ნიშანი, ორი ასო უნდა დაისწავლოს: ერთი ბუკლეური და ერთი საწერი. იგი იძულებულია ერთსა და იმავე დროს ორს სიმბოლეს ებრძოდეს, რაიცა წინააღმდეგია შედაგობის კანონისა.

რუსისა და ევროპის შედაგობები სწუხან ამ გარემოებაზედ, მაგრამ რას იზიენ, თუ ცხოვრებას და ისტორიას ბუკლეური შრიფტი და ხელთ-ნაწერი ერთმანერთისაგან ძლიერ დაუშორებია, მიზგავსება და ერთობა მათ შორის გაუუქმებია! ზოგნი ცდილობდენ და ცდილობენ ბუკლეური შრიფტი დაუხსლოდონ და დაამტკიცონ ხელთ-ნაწერსა, რომ წერა-კითხვის გავრცელება გააადვილონ, მაგრამ ჭერ-ჭერობით ვერ ეწევიან თავის წადილს.

ჩვენი ქართული ანბანი სრულიად მოშორებულია ამ დამაბრკოლებელს ორ-გვარობას. ყოველი ასო, როგორც იბუკლეობა, ისე იწერება. თუ განსხვავება რამეა, ეს განსხვავება მხოლოდ ამარტივებს საწერს ასოს, მაგრამ მის თვისებას და სახეს სრულიად არა სცვლის. მთავარი საზები, მათი მიმართულება და ურთი-ერთობა ხელ-უსლებელი რჩება. ამიტომ თავდა-პირველი წერა ჩვენში მიუცდილებლად უნდა იყოს ბუკლეურის ხელისა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ მრგვალი, ბუკლეური ასოები უფრო ადვილად და მოხერხებულად ისმება საზების ბადეში (сѣтка), ვიდრე გარეულ, გაბმულის ხელის ასოები. ამ გვარი ერთობა კითხვისა და წერისა დიდად გააადვილებს ჩვენში წიგნის გავრცელებასა, და რად უნდა ვუღალატოთ ამ ერთობას, და ბრძა მიბამვის წყალობით ერთმანერთს დავაშოროთ და გავაცალკავოთ ორი ტყუპი მოქმედება, საწერის შრიფტი

ტის მიჩნებით ბავშვის ხელში? რაკდენად საჭიროდ და სასარგებლოდ მიაჩნიათ ჰელაგოგებს ერთობა ბექდურის და საწერის ასოებისა პირველ-დაწყებითს სწავლასში, ცხადად სწინს იქიდგან, რომ რუსის გამოჩენილმა ჰელაგოგმა ბარონ კორძმაკითხვასთან შეაერთა წერა ბექდურის შრიფტისა, თუმიცა ეს სრულიად ეწინააღმდეგება რუსის ანბანის ხასიათს. მაგრამ ერთი ნაკლულევანების ასაწილებლად მეორე უარესი ნაკლულევანება შეიძინა და, რუსული ანბანისა არ იყოს, ცუცხლიდგან ალში ჩავარდნა მოუვიდა. საქმე იმაშია, რომ რუსულის ბექდურ ასოების წერა თუმიცა კითხვის სწავლას ესმარება, მაგრამ თვითონ წერისათვის კი საშინლად მავნებელია, რადგანაც ბავშვი ეჩვევა იმისთანა ასოების წერას, რომელთაც თავის დღეში არ დასწერს და მეორე უთუოდ გადაეხვევა, თუ კანონიერ ასოების წერა უნდა. ეს ასირებული მაგალითი ცხადად გვიჩვენებს, თუ რა საუნჯეა ჩვენთვის ბექდურის და საწერის შრიფტის ერთობა და რაკდენად საჭირო და სასარგებლოა ბავშვმა წერა იწყოს მრგვალის ბექდურის ასოებით და ამითი კითხვის სწავლებაც გაიადვილოს და წერის საძირკველიც კარგი ჩასდგას. ეს აზრი ჩვენ მოკლედ, მაგრამ მეტყოფად გამოვსთქვიით დედა-ენის პირველ გამოცემის წინასიტყვაობაში, და მას ვეკლა სასწავლებელში ასრულებენ, რაკდენადაც ჩვენ ვიცით.

რაც შეეხება ხაზვას კერძოდ და წინამძღოლს ვარჯიშობას საზოგადოდ, ამის შესახად ჩვენ ამოვწერთ რაკდენსამე სტრიქონს დედა-ენის პირველ გამოცემის წინა-სიტყვაობიდგან: აჩვენა მეთოდა მიუტილებელ საჭიროებად ხდის წინამძღოლ ვარჯიშობასა. წერა-კითხვის სწავლება, მეტადრე ანალიზურის მეთოდით, რთული საქმეა. პირ-და-პირ მისი დაწ-

ეებს ბავშვის გონებისათვის მნელი დასაძლევი და ასატანი-საჭირთა, რომ მისი გონება ამ რთულ საგნის შესათვისებლად მომზადდეს უფრო მარტივ საგნების გაცნობით. ამ საგნებს უნდა ჰქონდეს პირ-და-პირი დამოკიდებულება წერტილთაგან და შეადგენდეს მის ელემენტებსა. წინამძღოლს ვარჯიშობას შეადგენს: პირველად, მდაბიური სახეობები, ძეგლად ხმების ანალიზი და შესამდგ საზნა. სასაუბროებს საგნად უნდა ჰქონდეთ: ბავშვების ნათესაობა, მათი კარ-მიღამო, სკოლის წესები და კუთვნილებანი, ათის რიცხვის თვლა, მათი ერთმანეთსედ მითვლა, გამთვლა, გამრავლება, გაყოფა და სხვანი. ხმების ანალიზი მდგომარეობს ფონების დაყოფაში სიტყვებად, სიტყვების დაყოფაში მარცვლებად და მარცვლების დაყოფაში ხმებად. ხატვა უნდა ჰქონდეს განისაზღვროს მხოლოდ მდგომარე და მწოდარე სახეების გაკლებით, მათის ერთმანეთსედ გადაბმით, ისე რომ რაიმე ბავშვების ნაცნობი საგნები გამოდიოდეს, მაგალითად: ჯოხი, ყვარჯენი, წერტილი, ჯვარი, ფოცხი, რთითი, სამითი, ჩანჯალი, სასწორი, ფანჯარა, სავარცხელი და სხვანი. შემდეგ მასწავლებელმა უნდა ასწავლოს მრგვალ საზის დასმა და შემდეგ საგნების გამო-სასვა: რკალისა, გასაღებისა კვერცხისა, წარისა, საათისა და კიდევ სხვებისა. ამ წინამძღოლს ვარჯიშობას რეგულარულად შეემატოს ან უნდა მოახმაროს მასწავლებელმა და შემდეგ უნდა წერტილთაგან სწავლებას შეუდგოს.

მოსწავლებელი სახეობი ხვენ პირველ გამოცემის დროს ხეზედ ამოვარჯიშონეთ, მერამ ბეჭდის დროს ისე გაურკვეველად და უხეიროდ გამოვიდნენ, რომ უკეთესად ჩავთვალეთ წიგნიდან იგინი ამოკვეთდო და მასწავლებლისათვის მიგვე-დო მათი ხატვა საკლასო ფიციარსედ. მართალია, ქვასედ შე-

იმდებოდა მათი ამოჭრა, ლიტოგრაფიაში ცალკე დაბეჭდვა და მეტყე წიგნში ჩართობა, მაგრამ ეს დიდ ფულს მოითხოვდა და წიგნის ფასსაც გააძლიერებდა. უოკელ შემთხვევაში სასურველია, რომ პირველ საკითხავს წიგნის თავში სამიოდ-ოთხი გვერდი სახსრატაებს ეწილადოს, თუმცა ზოგიერთს საუკეთესონემეტყურს სახელმძღვანელოებში ვერა ვპოვებთ სახსრატაებსა. მაგალითად ფრანდ გაგრეტელებული ზოლენდერის წიგნი, რომელიც ორის წლის წინად ორმოც-და-მეთოთხმეტე გამოცემად დაიბეჭდა, სრულიად მოკლებულია სახსრატაებსა.

შემდეგ ჩვენი უმძობელი კრიტიკოსი ანბანის ძირსებს გვიწუნებს: «წინადადებანი უსერიონი არიან, გონებას საკარჰიშოს არ ამლევენო», და დასამტკიცებლად მოჭყვავს ფრანგები: ბაყაჰა ბეერი იუვირა, ღორი დადალე და სხვანი.

უმთარესი დანიშნულება ანბანისა ის არის რომ კითხვის სწავლება გაუადვილდეს ბავშვსა, თვალი გაუტყდეს მას ასოების გარჩევაში, მიეჩვიოს მათს დასახელებას დროთი, სწრაფად. ამ თავის აზრს ანბანი მით უფრო ჩქარა მიეწევა, რადენადაც უფრო სშირად იმეორება სიტყვებში და ძირსებში ის ასო, რომელიც ბავშვმა უნდა შეისწავლოს. „გამეორება დედას სწავლისაო,“ ნათქვამია ძველთაგან. ამ ანდაზის აყოლას ისე არსად არ არის საჭირო, როგორც პირველ დაწყებითს სწავლაში. ეს აზრი მიგვიძღოდა წინ, როდესაც ვადგენდით დედა-ენის ანბანსა. ჩვენ ვცდილობდით რომ უოკელ ნორმალურ სიტყვის ანალიზის შემდეგ დაგვეწერა იმ გვარი სიტყვები და ფრანგები, რომლებშიაც სშირად იმეორება შესასწავლელი ასო. სადაც კი მოსერსდა შედგენა იმ გვარ კონკრეტულ წინადადებათა, რომელიც სსეებულს მოითხოვნილებას ძორმის მხრით ასრულებდენ, იქ მათ უშირატესობას

კამდეკვდით. სადაც ამ გვარ ძრასების შედგენა და თან შე-  
სწავლილ ასოს სშირი სმარება შეუძლებელი იყო, იქ იმ გვარ  
ძრასებსაც კვებდებოდით, რომელთაც საზოგადო შინაარსი  
აქვთ და საყოველ-დღეო მოკვლინებათა ხატვენ. უზრუნო წრას-  
ზას, რასაკვირველია, არას დროს არ კამდეკვდით ადგილს,  
თუნდაც რომ ფორმალურის მხრით იგი ძალიან მოხერხებუ-  
ლიც ყოფილიყო.

ამ გზით ჩვენის ანბანის ყოველი ფრასა აადვილებს და  
აჩქარებს კითხვის პრეტესის სწავლასა და ამასთან აძლევს  
მასალას არა მარტო ლოლიკურ გარჩევისას, არამედ სშირად  
ნივთიერისასაც. ავიღოთ თუნდა ერთი ზემოდ ამოწერილი  
ფრასა, რომელიც გადაღმიელს მოჭყვას ნიმუშად წინადადებათა  
უხერხობისა: „ბაყაყმა ბეკრი იყვირა.“ მასწავლებელი ჭკითხავს  
ბაყაყებს: რამ იყვირა? ბაყაყმა. რავდენი იყვირა? ბეკრი. რა  
არის ბაყაყი? სადა სცხორობს ეს სულდგმული? მიწის ბაყა-  
ყი კი არ არის? რა დროს იცის ბაყაყმა სშირი ყვირილი და  
სსკ... ამ გვარივე საუბარი შეიძლება გამართოს მასწავლებელმა  
ყოველის ძრასის შესახებ.

გადაღმიელი ამბობს, ფრასების მაგივრად რომ ანდაზე-  
ბი და ლექსები ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდაო. ცოტა მო-  
ძეტებული ჩაკვირების ძალა რომ ჭქონდა, თითონვე დაი-  
ნასაჯდა, რომ ეს არც შესაძლებელია და არც მარტებელი ყმა-  
წვილისათვის. პირველ სამ-ოთხ თვეს ბავშვს ძალიან უძნელ-  
დება იმისთანა მარტივ წინადადებათა კითხვაც, რომლებშიაც  
სამს-ოთხ სიტყვასედ ძეტი არის, და ასე მოკლე ანდაზები  
ათიოდე რომ გამოძებნო, ისიც კაი ქებაა, და ლექსები ხომ  
ასე მოკლე ყოვლად-შეუძლებელი არიან. წაკითხულ ლექსები-  
სა და ძეტადრე ანდაზების შინაარსის გაგებას გონების ხან-



გრძლივი გადაკენება ეჭირება და ამ გვარს ძალას ბავშვი ჯერედ მოკლებულია. გარდა ამისა როდესაც რავდენიმე ასო გაქვთ შესწავლილი და არა სრული ანბანი, ან სრულიად ვერ იპოვით ანდაზასა და ლექსსა, ამ ასოებიდგან შემდგარსა, და ან თუ მოსძებნით, შინაარსის უხეირობით ვერ დაიწუნებთ. რადგანაც სხვა გზა არა გაქვთ და არჩევანს მოკლებულნი ხართ. თუ თქვენ გავისინჯავთ ის ზოგიერთა ანბანი, რომლებშიაც ასოების შესწავლა რავდენჯერმე სწყდება და შესწავლილ ასოებიდგან შედგენილია ლექსები და მოთხრობები, შენიშნავდით რომ მათი ღარიბი და უინტერესო შინაარსი ნარცხნდაც არ მოვა იმ წიგნების შინაარსთან, რომლებშიც მოთხრობები და ლექსები მასუგან იწყება, როდესაც ბავშვი მთელს ანბანს ათავებს. შეადარეთ ბუნაკოვის პირველი წიგნი უშინსკის პირველ წიგნს და ჩვენის სიტყვების სიმართლე ცხადი იქმნება თქვენთვის. შინაარსის სიღარიბე და უინტერესობა აუცილებელი ნაკლულებია უნდა იყოს ყოველივე წიგნისა, ბუნაკოვის მეთოდისედ შედგენილისა, რადგანაც ვიწროებს ის გარემოება, რომ მხოლოდ რავდენიმე ასოსგან უნდა შეადგინოს საკით ხავი სტატეები.

ერთი პრაქტიკული დაბრკოლებაც ემატება ყველა ამას. ასოების შესწავლის შეწყვეტა რავდენსამე ადგილას ანდაზების, ლექსებისა და მოთხრობების ჩამატებით, კითხვის სწავლებას თითქმის მთელს წელიწადს გააჭიანურებს და ეს ძალიან არ ებიტანავება გლეხსა, რომელსაც სურს, რომ ბავშვმა, შემოდგომისედ შესულმა, საშობაოდ მაინც გაათავოს ანბანი, კითხვას ისწავლოს. ეს გარემოება ყველა ანბანის შემადგენელს უნდა თვალწინა ჰქონდეს, თორემ შეიძლება ხალხს გაუჭირვლდეს ის სურტი სურვილიც შვილების სწავლებისა, რომელსაც ეხლა მასში ვხედავთ.

ადვილს ანდაზებს, გამოცანებს, ლექსებს, მოთხრობებს უთუოდ უნდა ადგილი ჰქონდეთ ანბანის შესწავლის დროსაც, როგორც წინ მოვიხსენეთ, მაგრამ ესენი ანბანში კი არ უნდა იყვნენ ჩართულნი საკითხავად, მასწავლებლის სიტყვით, პირად გარდატეხით უნდა ისწავლებოდნენ ავშებებისაგან იმ საგნების და სურათების განხილვის დროსა, რომელთაც ეკუთვნის.

ძრანების გარდა ზოგიერთა სიტყვებსაც იწუნებს სასტიკი მკილავი. მას მოჰყავს რადენიმე საკუთარი სახელი პირკელის და მეორე გვერდიდან და ძლევას მოსილის კილოთი კითხულობს: «რას უნდა შეიძინოს ბავშვმა ამ სიტყვებიდანა?» იმას შეიძენს, რაც შესაძენი აქვს: კითხვის პრეტესს. ეს არის, როგორც წინუდაცა ვთქვით, პირ-და-პირი დანიშნულება ანბანის გაკვეთილებისა და ამ დანიშნულებას კარგს სამსახურს უწევს საკუთარი სახელებიც. შევცდებით ძალიან, თუ ვითვქვით, რომ ამ სიტყვების კითხვის დროს ბავშვის გონება უმოქმედო რჩება, არასიუერს წარმოიდგენს. ყოველი საკუთარი სახელი, მეტადრე ბავშვური, წიგნში ამოკითხული, მოაგონებს ბავშვს რომელსამე თავის ტოლს, დაუნატავს თავალ-წინ მის სახეს და ასოციაციის ძალით წარმოუდგენს არა ერთ შემთხვევას საკუთარის ცხოვრებიდან, არა ერთ სტენას ტოლ-ამხანაგებთან დროს გატარებისას. ამ მხრით საკუთარი სახელები ბევრით სჯობია საზოგადო სახელებს, რომელნიც არა ნამდვილს ხორც შესხმულს საგანს არ შეესაბამებია. ამასთან ისიც უნდა მივიღოთ ყურადღებაში, რომ პირველ გაკვეთილებში სხვა შედაგოვები სიტყვების შედგენას სრულიადაც კერ ახერხებენ და მათ მაგიერ უაზრო მარცვლებს ხმარობენ; და თუ ჩვენ ამ გვარ მარცვლების მაგიერ

გამოკლებნეთ საკუთარი სიტყვები, რომელნიც უფრო ბავშურნი არიან, ამას ნაკლულევანებად ჩასთვლის მხოლოდ უმეტესი, რომელიც სავსეს სურვილით რაიმე ცუდი სთქვას წიგნსად.

სხვა-ფორმაც ადევნებს კილოს სიტყვებს: ზოგიერთა მათგანი გაუგებარნი არიან იმიერ ბავშვებისათვისაც — ამბობს გადაღმიელი. მას მოჭყვას შემდეგი სიტყვები: თუთა, ნამი, თაღი, ნამკი, გუთანი, გემი, ჩაჭუნი, ძაყაში, ციყვი, ტაძარი, კნუტი, წიწკა, ჭერამი და სხვანი ამ გვარნი, და თითქმის მრისხანედ კითხულობს: „ახლა მიბრძანეთ, თუ ღმერთი გწამთ, ეს სიტყვები და რუსული სიტყვები: კოზლიკი, დომი, ნებო და ამ გვარები რომ ჩაუწერონ იმერელს ბავშვებს, რომელნი უფრო ეჩითირებათ? ან რა გონების სიბრძნეგმდის მიდის კაცი, როდესაც მას სულ-წასულობით სურს წიგნში აზოგოს ნაკლულევანება, რომელიც მასში არ არსებობს, მისდა საუბედურად! იმერეთში ბავშვს ვერ მოსძებნი, რომელსაც კარგად არ ესმოდას ჩამოთვლილი სიტყვები, რადგანაც სურამის მთის იქითაც ისე საყოველთაოდ იხმარება, როგორც აქედ. გადაღმიელმაც, რასაკვირველია, ეს კარგად უნდა იცოდეს, მაგრამ ის მაინც მათ წმინდა რუსულ სიტყვების გაუგებრობას აწერს. ნუ თუ იმას იმდენი არ ესმის, რომ ამ გვარ უძღურის მტრობით თავის - თავს არცხვენს და უგანასკნელ მნიშვნელობის ნამტვრის უკარგავს ყოველ თავის სიტყვას!...

ცუდი საქმე უფო გადაღმიელს ერთმა იმერმა: ჩვენის თხოვნით გულდადებით გადაიკითხა დედა-ენა, დაგვისახელა იმერელთათვის გაუგებარნი სიტყვები და ჩვენ ისინი, საცა კი შეიძლებოდა, შევცვალეთ იმისთანა სიტყვებსად, რომელნიც იხმარებინან იქით და აქით საქართველოში. რასაკვირველია,

ღელა-ენაში კიდევ მოიძებნება რადენიმე სიტყვა, იშვიათად სახმარი იმერეთში, მაგრამ მათ ბავშვი გაიგებს ან აზრის მიმდინარეობით, ან მასწავლებლის შემწეობით. იმ გვარად წიგნის გამოცემა, რომ მასში არ გამოყრის ზოგიერთი სიტყვა, იშვიათად სახმარი საქართველოს რომელსაღმე კუთხეში, შეუძლებელია და წიგნის დიფსებისათვისაც მავნებელი. წარმოადგინეთ მშენიერი სახალხო ლექსი, იმერეთში გავრცელებული, რომელშიაც ურკვია ერთი ცოტათი თუ ბევრად უცხო სიტყვა ქართულ ბავშვებისათვის. განა მოსაწონი იქნება, გამოკვლათ წიგნიდან ეს ლექსი იმ მიზეზით, რომ იმ წიგნის სიტყვის გავრცელების ბავშვს მოუნდება ჩაფიქრება, ან მასწავლებლის დახმარება? ეს ხომ დიდი საუნჯის დაკლება გამოვა პატარა დაბრკალების თავიდან აცილებისათვის?

ბოლოს ისიც უნდა გვასწავდეს, რომ საქართველოს ზოგიერთა კუთხეში ინმარების იმისთანა გამოთქმანი, რომელიც ზედ გამოჭრილი აჩიან საგანზედ, აზრზედ და რომელიც იშვიათად ინმარების დანარჩენს კუთხეში. პირველ-საკითხავმა წიგნმა უნდა გავრცელოს ეს მოხერხებული გამოთქმანი მთელს საქართველოში და გამარჯვება დაუშვიდოს მათ არსებითს ბრძოლაში. დავასახელებთ ერთს მაგალითს: იმერეთში ამბობენ: შენი წიგნი იქ დაკრეკე; ქართლში იტყვიან: შენი წიგნი იქ დაეგდე. პირველი სიტყვა ქართლის და კახეთის ბავშვს ეუცხოება, მაგრამ პირველ-საკითხავ წიგნში უთუოდ უნდა იყოს მოქცეული, რადგანაც ძიელ სჯობს ამ შემთხვევაში ქართულ სიტყვას, რომელიც ორ-აზროვანია. მხოლოდ ამ გვარ შემუშავებით შეუძლიან ახსრულოს პირველ-საკითხავმა წიგნმა ერთი უმთავრესი თავისი დანიშნულება; გაუვრცელოს, გაუფართოოს დვიძლის ენის ცოდნა ბავშვსა და

ღექსიკონი გაუძლიდროს. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ჰედანტიურ წერილმანობას ხეიმი არსად მოუტანია და არც საბავშვო წიგნს შესძენს სიკეთეს.

საქართველოს ყოველ კუთხისათვის ცალკე საკუთარი წიგნი უნდა შესდგეს, ამოებს გადაღმიელი. ამითი ის იმეორებს, თუცა უხეიროდ ჰედაგოგების აზრსა, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ყოველს განსაკუთრებულს კუთხეს, რომელიც სსკა კუთხეებიდგან განიჩქვას ბუნებით, ყოფა-ცხოვრებით და ენის კილოთი, უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი შიკველ-დაწყებითი წიგნი, რომელიც იმდენად უნდა განიჩქოდეს ამ გვარისაკე წიგნებიდგან, რამდენადც ეს კუთხე განსხვავდება სსკა კუთხეებისაგან. ეს აზრი გუშინ არ წარმოთქმულა, კაი ხანია არსებობს ჰედაგოგიის სტერაში, მაგრამ განსორციელებას კი ვერ მოესწრო და არც მალე მოესწრობა. ჰედაგოგები, რომელნიც ამ არის სიძარტლეს აღიარებენ თეორიით, საქმით დალატობენ მას და წიგნებს ადგენენ არა ერთის რომელიმე კუთხისათვის, არამედ მთელის სახელმწიფოსათვის. რუსის ჰედაგოგებმა, კოდგოგოზგმა და კორტმა ამ აზრის თანაგრძნობა გამოაცხადეს თავის ჰედაგოგიურ თხზულებებში, მაგრამ რაცა საკითხსაე წიგნებს მიჩქევს ხელი, რივიკმ იგინი მთელის რუსეთისათვის შეადგინეს და არა ერთის რომელისამე მხარისათვის. «როდნოე-სლოგო» უშინსკისა იხმარება მთელის რუსეთის სკოლებში, არსანგელსკიდან დაწყობილი ყარსამდის და კამბატკიდან მოკიდებული პოლშის დასავლეთ საზღვრებამდის. თუ რუსეთიდან გადავალთ ჰედაგოგიის სამშობლოში, გერმანიაში, აქაც ამისთანსაკე მოკლენას შეგვხვდებით: გლანგელის წიგნით ხელმძღვანელობენ მთელს ჩრდილოეთის გერმანიაში, კენისბერგიდან დაწყებული კელნის მაზრამდის.

ამსახვე ვხედვით სამხრეთ გერმანიაში და ევროპის სხვა სა-  
ხელმწიფოებში.

ამ მოკლენას აქვს თავისი მიზეზები და ძალიან სა-  
ფუძვლიანიც. თუ გვინდა რომ ყველა განსაკუთრებულს მხარეს  
ჭჭონდეს თავის საკუთარი პირველ-დაწყებითი წიგნი, ამისა-  
თვის საჭიროა ბევრი პირობა. პირველად, ეს კუთხე უნდა  
სავსე იყოს სკოლებით, თორემ რავდენიმე სკოლისათვის წიგნს  
არც არავინ შეადგენს და არც არავინ დაბეჭდავს; და თუ და-  
ბეჭდავს, ფასი ერთი სამად და ოთხად უნდა მეტი დაედოს  
წიგნსა, რადგანაც რავდენიმე წიგნი ცოტა ეგონებოდა იბეჭ-  
დება, იმდენად უფრო ბევრი ჯდება. მეორე ესა, ამ კუთხის  
ხალხის გონების ნაწარმოები: იგაკები, ზღაპრები, ლექსები,  
ანდაზები, გამოცანები და სხვანი უნდა შეკრებილ იყვნენ, რომ  
შედაგოგს ჭჭონდეს ხელში ადგილობრივი მასალა ადგილობ-  
რივის წიგნის შესადგენად. მესამედ, ამ კუთხეს უნდა ამოუჩ-  
ნდეს ნიჭიერი და გამოცდილი შედაგოგი, რომელსაც შეეძ-  
ლოს მასალის მოხმარება და ხეობიანის წიგნის შედგენა. ამ  
პირობებს მოკლებულნი არიან ჯერ-ჯერობით არამც-თუ რე-  
სუთის კუთხეები, არამედ ევროპისაც და ამიტომ ადგილობრივი  
საკითხავი წიგნები ან სულ არა ჩნდება და თუ ჩნდება, საყო-  
ველთაო წიგნებთან ბრძოლას ვერ იტანს და გასაკვალი არა  
აქვს. მომავალშიაც საეჭვოა, რომ ადგილობრივმა წიგნებმა  
კონკურენცია, გაუწიონ იმ წიგნებს, რომელნიც დედნ-ქალაქში  
იბეჭდებიან, რომელთა ავტორებს მთელის ხალხის ნაწარმოები  
მდიდარს მასალას აძლევს, რომელნიც საყოველთაო წიგნებს  
ათი-ათასობით ბეჭდავენ და რომელთა გამოცემინი, თუ იყა-  
ნით, თუ გარეგანის ღირსებით ადგილობრივ გამოცემებზედ  
დიდ-ხანს მანაც მალა იდგებიან.

ჩვენში ყველა ამას განსაკუთრებული გარემოებაც ერთვის ზედა. საქართველოს სსვა-და-სსვა ნაწილები დიდის ხნის განმავლობაში გაცალკეებულნი იყვნენ და ერთმანერთთან კავშირი მოსპობილი ჰქონდათ. დაასლოებას, ერთობას, გონებითს და ზნეობითს კავშირს მათ შორის ახალი გარემოება ესმატება, მაგრამ სანატრელს ხარისხამდის ეს ერთობა მხლელ მამინ მივა, რადესაც ჩვენ ყოველს ღონისძიებას ვინმერთ მის გაძლიერებისათვის, გამტკიცებისათვის. ერთი უძლიერესი ღონისძიება არის ახლის თაობის სწავლება და აღზრდა ერთ-გვარის გონების საზრდლოთი, ერთისა და იმავე წიგნებით, ერთისა და იმავე სახელმძღვანელოებით. ისე არასიუერს არ უძლიან დაასლოვოს, დააკავშიროს და გააერთოს მოზარდი თაობა საქართველოს სსვა-და-სსვა კუთხეებისა, როგორც საერთო ზირველ-საკითხავ წიგნსა, რომელიც სსვა შეიძებს წიგნებზედ მომეტებულის ძლიერებით მოქმედებს ბავშვის ნორჩს ბუნებაზედ და უღრმეს ჩაბუჭდილებას სახავს მის გონებაში. რადესაც ნორჩი იმერელი, გურული, მეგრელი, რაჭველი, ქართველი, კახელი და ფშავ-ხევსურელი ჩვილს გონებას ინსნის, იმდიდრებს ერთისა-და-იგივე საუკეთესო მოთხრობებით, არაკებით, იგავებით, ლექსებით, გამოცანებით, ანდასებით, ამითი ძვეიდრდება სამიარველი სულიერის ერთობისა, გონების კავშირისა და ზნეობით სიასლოვისა.

წარმოდგინეთ ახლა წინააღმდეგი სურათი: გურული ბავშვი ერთს წიგნში სწავლობს, მეგრელი მეორეში, იმერელი მესამეში, რაჭველი მეოთხეში, ქართველი მეხუთეში, კახელი მეექვსეში და სხვანი. ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ეს მოვლენა არ გადაღობება ერთობის გამტკიცებას, კავშირის გაძლიერებას, სიასლოვის დასწარებას?

რავენად უნდა ვეჩიებოდეთ ცალ-ცალკე წიგნების გამოცემას სხვა - და - სხვა კუთხეებისათვის, ცხადად გხვდავთ იქიდან რომ ამგვარის ადგილობრივი სასულძმევანელების შედგენა და გამოცემა ჩვენში ძალიან გულისათ სურთ ჩვენს ტაშკენტელებს, რომელთაც მჭიდრო ერთობის დამყარება ჩვენში სრულად არ ეპიტნავენათ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ გადაღმიელს თავისი აზრი ამ ვაჟ-ბატონებისაგან გაუგონია და მათს სურვილს უმეკვს, რომდესაც ამბობს, რომ გურულს ერთი წიგნი უნდა შეუდგინოთ, იმერელს მეორე, ქართველს მესამე, კახელს მეოთხე და სს...

უკანასკნელი ჩვენი აზრი ამ დიდ-მნიშვნელობიან საქმის შესახებ არის ის, რომ იმისთანა პატარა ქვეყანას, როგორც საქართველოა, სრულიად არ გამოადგება ადგილობრივი წიგნები პატარ-პატარა კუთხეებისათვის. ჩვენთვის საჭიროა საყოველთაო წიგნი, რომელშიაც უნდა იყოს მოქცეული საუკეთესო გონებითი საუნჯე მთელის ჩვენის სალხისა, რასაკვირველია ბავშვის გონებისათვის მისაწდომი და ადვილად შესათვისებელი. ადგილობრივს ელემენტს კი ვეროვანი, ფართო ადგილი უნდა მიეცეს დაკვირვებით სწავლაში (наглядное обучение), რომელიც ჩვენში საკუთარს საგანს უნდა შეადგენდეს და ბავშვს დაწვრილებით და განვითარებით გააძნობდეს თავის სამშობლო კუთხეს.

ახანანის შემდეგ გადაღმიელი პირველ-საკითხავ წიგნსა ჭკილავს უფრო კიდევ უარესის უსაფუძვლობით და უმეტრობით. მაგრამ ბასი ძლიერ გაგრძელდა და საჭიროა აქ შეესწავიროთ. სიტუვას გადაღმიელის შენიშვნების გულისათვის არც შემდეგში გავაგრძელებდით, მაგრამ ჩვენს კვსურს ზოგიერთა შედაგოგიურს საგნებსედ მოვილანაწაკოთ მკითხველ-



თან, და გაწდა ამისა მოკლე პასუხი გავცეთ «დედა-ენის» სხვა  
მკილაკებსაც, რომელთაც შეიძლება გულის დააკლდეთ. ამი-  
ტომ მკითხველს მეორე წერილსაც წარუდგენ «ივერიის»  
ფურცლებზედ.

ი. ზოგებაშვილი.

---

## ახალი წიგნები.

მერცხალი. შმიდტის მოთხრობიდან, გადმოკეთებული მ. ჯან  
—საგან. თბილისი. 1881.

დიდი ნიჭი, ენის კარგი ცოდნა და ყმაწვილების გულის  
ცნობა—აუცილებელი საჭიროებაა საყმაწვილო თხზულებების  
მწერალთათვის, მაგრამ ეს სამი პირობა უფრო მტკიცედ უნ-  
და იყოს შესრულებული, როდესაც ავტორი ბუნების მეცნიე-  
რებიდან მოგვითხრობს რამე. მერცხლების ცხოვრება, ბუდის  
გაკეთება, ბარტყების გამოჩეკა, დედ-მამის ზრუნვა მათზედ,  
წამთარში უფრო თბილს ქვეყნებში გაფრენა და საფხულში  
რქან დაბრუნება,—მართალია სასარგებლო გასაგონია ყმაწვი-  
ლებისათვის, მაგრამ სასიამოვნო და გასართობიც უნდა იყოს.  
თუ ავტორი მხოლოდ იმაზედა ჭფიჭობს, რომ ბავშვებს  
ცნობა შესძინოს რამე და გამართობლობაზედ კი არა ზრუ-  
ნავს, უეჭველია, შრომა ტყუილად ჩაუვლის და იქნება სარგებ-  
ლობის მაგვირვანად, ვნებაც მოიტანოს.

ჩვენდა სამწუხაროდ კერც-ერთს შემოხსენებულს პირო-  
ბას ვერ ასრულებს ეს პატარა წიგნი და ამის თქმა მით უფ-  
რო გვეზარება და გვეწუხება, რომ ამ წიგნის გამოცემა ავ-  
ტორს მხოლოდ კეთილის საქმის ერთგულებით განუზრანავს  
და თვალ-წინ მხოლოდ ეს აზრი ქმნის, ეგება, მეტ შეკმატო-  
რამე ჩვენს საყმაწვილო ლიტერატურასა. ამას ცხადად ამტკი-  
ცებს ის გარემოება, რომ წიგნი შვიდ ენაზედაა დირს და ვინც  
ოცზედ მეტს გამოიწერს, შაურად დაეთმობა. წიგნშია 33 პა-  
ტარა გვერდი და ძალიან სუფთად არის გამოცემული, ასე რომ  
რა გვეგონია ამ წიგნის გაყიდვით ავტორმა, თუ არ იზარა-  
ვდა, სარგებლობა ნახოს რამე.

ჩვენ ჩვენს თავს არ ვენდეთ და კვითხეთ თითონ ბავშვებს, რომელთაც ვი წავეითხათ, როგორ მოეწონათ ეს წიგნი. ჩვენ ვერ შევამჩნიეთ მათ სახესეოდ ის მხიარულების სხივი, რომელიც ბავშვს ყოველთვის დაეტყობა ხოლმე, როდესაც თავის საყვარელს წიგნს მოიგონებს.

წიგნის ბოლოში თითქო თითონვე ავტორი ცდილობს შეახინდლოს ბავშვს სწავლას და სასწავლებელიც:

«ოჰ რა მალე ზაფხული გავიდა, (თუ გავიდა ზაფხული?) ახლა კიდევ მოვიდა დრო სწავლისა, კიდევ უკოლა (სკოლა), მასწავლებლები, სწავლა... ოხ, რა კარგია რო შენ პატარა ხარ და შინ სწავლობ...»


განსაყვამწვილო წიგნის კვლია ყმაწვილს სწავლა და მასწავლებელი მოაძულეს!

ენა ამ წიგნში სუსტობს და მაგალითების ამოხსნაწინად რომ ადგილი გვჭირდება, თითქმის ყოველ გვერდზედ შეცდომას ვიპოვნიდით. მეტადრე ნაცვალ-სახელები აჭირებენ საქმეს. ქართულ ენას ეს დიდი სიკეთე სჭირს, რომ ხშირად თვითონ ზმნაშივეა ნაცვალ-სახელი მოქცეული და მისი გამეორება უადგილოც არის და წიგნის შთაბეჭდილებასაც ამცირებს.

ერთი რამ უნდა გურჩიოთ ავტორს; თუ კვლავ კიდევ არ დაიშალა და შეადგინა საყვამწვილო წიგნი, იმას მანტ ეტადოს ჭკუტიუგრად შეცდომილება არა შეეპაროს-რა:

მე-33 გვერდზედ მძა ეუძნება დას: „მერცხლები გაფრინდებიან შორს(.) ძალიან შორს, მზის ჩასვლის მსრებისკენ (თუ მხარესკენ) იქ, სადა მუდამ თბილა და ზამთარი არ იცის მთელი წლის განმავლობაში.“

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ავტორმა იცის, რომ მზის ჩასვლის მხარე დასავლეთია და მერცხლები ვი სამხრეთისკენ მიფრინავენ; ჩვენ დარწმუნებული ვართ ეს აჩქარებით მოხვლია, მაგრამ ამისთანა საქმეში აჩქარება რა კარგია და როგორ არ იცოდდა ავტორმა, რომ თავის ერთის შეცდომით, შეიძლება რამდენსამე ათასს ბავშვს შეეცდარი აზრი ჩაავლნოს.



სელის - მოწერა «დროება-ივერიის» მიიღება:

თბილისში, «დროება-ივერიის» რედაქციაში, (გალავინის  
პრესბუქტზედ, თ. ივ. კ. მუსხანსკის სახლებში, კლეუბის ქვე-  
მოედ).

ქუთაისში: «დროება-ივერიის» აგენტთან ი. ჭყონიასთან  
(სილაზედ, მიჩიან ჭყონიას სახლში.)

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ყურნალ-გაზეთი ამ ადრესით  
უნდა დაიბარონ:

Въ Тифлисъ. Въ Редакцію Дроэба-Иверіи.

უპანი:

«ივერია» ექვსის თვით («დროებასთან» ერთად) —	8 მან.
«ივერია» ექვსის თვით ცალკე — — — — —	4 მან.
«ივერია» ერთის წლით — — — — —	7 მან.

სელის-მომწერთ ფული ყურნალ-გაზეთის დაბარებისათა-  
ნაკე უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

გისაც ყურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, უმოწ-  
ჩილესად ვთხოვთ ძალე გკანონობოს რედაქციაში.